

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი



ქეთევან სტვილია

С ჰეპატიტის გავრცელების თავისებურებები ქ. თბილისის მოსახლეობაში და ჩატარებული სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ეფექტიანობა დაავადების ელიმინაციის თვალსაზრისით

დისერტაცია

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი

2022

ნაშრომი შესრულებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ნინო ვეფხვაძე, თსსუ-ის პრევენციული მედიცინისა და გარემოს ჯანმრთელობის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი

თენგიზ ცერცვაძე, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, სს ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრის გენერალური დირექტორი

სამეცნიერო კონსულტანტი:

ირაკლი მჭედლიშვილი, თსსუ-ის ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი

ექსპერტები:

1. დავით გელოვანი, მედიცინის დოქტორი, თსსუ-ის ეპიდემიოლოგიისა და

ბიოსტატისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

2. თამარ მეგრელიშვილი, მედიცინის დოქტორი, თსსუ-ის ინფექციურ სნეულებათა

დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

3. მაია ცინცაძე, მედიცინის დოქტორი, სს. ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და

კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრის ეპიდემიოლოგი

დისერტაციის მასალები მოხსენებული და მხარდაჭერილია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პრევენციული მედიცინისა და გარემოს ჯანმრთელობის მიმართულების, ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტის და პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებულ სხდომაზე 2021 წლის 20 დეკემბერს.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (ვაჟა-ფშაველას გამზ. #29).

დისერტაციის დაცვა შედგება 2022 წლის 15 აპრილს 16⁰⁰ სთ-ზე თსსუ-ის ადმინისტრაციული კორპუსის I სართულის სადისერტაციო დარბაზში (ვაჟა-ფშაველას გამზ. #33).

Tbilisi State Medical University

Ketevan Stvilia

**Characteristics of Hepatitis C Epidemic and Effectiveness of the Treatment and Prophylactic
Measures in the Population of Tbilisi in Terms of Disease Elimination**

**Thesis of Scientific Study for the
Academic Degree of PhD in Public Health**

Tbilisi 2022

The Scientific Study is completed in Tbilisi State Medical University

Scientific Tutors of Research:

Nino Vepkhvadze, MD, Ph.D, Professor

Tengiz Tsertsvadze, MD, Ph.D, Professor

Scientific Consultant: Irakli Mchedlishvili, MD, Ph.D, Professor

Experts:

- 1) David Gelovani, MD, Ph.D, Associate Professor
- 2) Tamar Megrelishvili, MD, Ph.D, Associate Professor
- 3) Maia Tsintsadze, MD, Ph.D, Assistant Professor

The Scientific materials are supported by the joint meeting of the Direction of Preventive Medicine and Environmental Health and Department of Epidemiology and Biostatistics of TSMU and Academy of Preventive Medicine Sciences (20.12.2021).

The Scientific Study is available in the Tbilisi State Medical University library (29, Vazha-Pshavela ave.).

Maintain a Thesis will take place on 15.04.2022, in TSMU administrative building (33, Vazha-Pshavela ave.).

შინაარსი

შემოკლებები	6
განმარტებები	7
თავი 1. შესავალი	9
თემის აქტუალობა	9
კვლევის მიზანი და ამოცანები	14
მეცნიერული სიახლე	14
კვლევის შედეგების თეორიული და პრაქტიკული (გამოყენებითი) ღირებულება	16
თავი 2	
ლიტერატურის მიმოხილვა	16
თავი 3	
კვლევის მეთოდოლოგია	63
თავი 4	
კვლევის შედეგები (ძირითადი მიგნებები)	66
თავი 5	
მიღებული შედეგების განხილვა	103
დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები	132
ციტირებული სამეცნიერო ლიტერატურის ნუსხა	138
დანართი 1. რეზიუმე ინგლისურ ენაზე	146
დანართი 2. პუბლიკაციები	150
დანართი 3. კვლევის კითხვარი	181

შემოკლებები

Anti-HCV AB – C ჰეპატიტის ვირუსის ანტიგენის საწინააღმდეგო ანტისხეულები

HIV ART – აივ ინფექციის სამკურნალო ანტირეტროვირუსული თერაპია

CDC – აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრი

CoC – მოვლის კასკადი

DAA medicines – პირდაპირი მოქმედების ანტივირუსული მედიკამენტები

ELIMC - C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციის ელიმინაციის პროგრამის მონაცემთა ბაზა

IBBSS – ქცევასა და ბიომარკერებზე ზედამხედველობის ინტეგრირებული კვლევა

HR – ზიანის შემცირება

HCC - ჰეპატოცელულური კარცინომა, ღვიძლის პირველადი კიბო

HCV – C ჰეპატიტის ვირუსი

MST – მწთ - მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპია

NCDC – საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

NSP – შპრიცისა და ნემსის პროგრამა

OST – ოპიოიდური ჩანაცვლებითი თერაპია

PLs – საზოგადოებრივი ლაბორატორიები

მსმ - მამაკაცი, რომელსაც სექსი აქვს მამაკაცთან

ნიმ - ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლები

რნმ – რიბონუკლეინის მჟავა

SVR - მყარი ვირუსოლოგიური პასუხი

ჯანმო – ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ბ ი

ქრონიკული B ჰეპატიტი	<p>B ჰეპატიტის ზედაპირული ანტიგენის (HBsAg) სულ მცირე 6 თვის განმავლობაში არსებობა.</p> <p>კლინიკურ პრაქტიკაში იყენებენ HBsAg -ზე დადებით ტესტს 6–თვიანი შუალედით ქრონიკული B ჰეპატიტის დასადასტურებლად.</p>
ქრონიკული C ჰეპატიტი	<p>ვირემიის (HCV რნმ ან HCV ბირთვის ანტიგენის) არსებობა სეროლოგიურად დადასტურებლ HCV ანტისხეულების არსებობასთან ერთად.</p>
ციროზი	<p>ღვიძლის მძიმე დაზიანება, რომელიც ხასიათდება ღვიძლის ხაგრძლივი ანთების ფონზე განვითარებული მეორადი ექსტენსიური ფიბროზით (F4 ქულა METAVIR შეფასების სისტემით).</p>
დეკომპენსირებული ციროზი	<p>დეკომპენსირებული ციროზისთვის დამახასიათებელი ნიშნები/სიმპტომები: ასციტი, ვარიცელური სისხლდენა, ღვიძლისმიერი ენცეფალოპათია, კოაგულოპათია, სიყვითლე.</p>
დაავადების , როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემის ელიმინაცია	<p>დაავადების ინციდენტობის, პრევალენტობის, ავადობისა და სიკვდილობის შემცირება იმ მაჩვენებლების დონემდე, როცა დაავადების არსებობა, როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემა, შეიძლება იყოს უგულებელყოფილი. ელიმინაციის სამიზნეებს, როგორც წესი, ადგენს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ცალკეული დაავადებისთვის.</p>
ჰეპატოცელულური კარცინოზა (HCC)	<p>ღვიძლის პირველადი კიბო, რომელიც ვითარდება ჰეპატოციტების სიმსივნური გადაგვარების შედეგად და შესაძლებელია გამოწვეული იყოს B ან C ქრონიკული ჰეპატიტებით.</p>
B ჰეპატიტის ზედაპირული ანტიგენი (HBsAg)	<p>HBV გარსის პროტეინი, რომელიც დიდი რაოდენობით გამომუშავდება და ადვილი გამოსავლენია სისხლის ტესტირებით ქრონიკული B ჰეპატიტის დროს.</p>
B ჰეპატიტის e ანტიგენი (HBeAg)	<p>HBV ვირუსული პროტეინი რომელიც დამახასიათებელია ვირუსის გამრავლების ფაზისთვის.</p>

HBV დნმ	HBV ვირუსის გენომი, რომლის გამოვლენა და რაოდენობის განსაზღვრა შესაძლებელია სისხლის შრატის ნუკლეინ მჟავის განმსაზღვრელი ტესტით კვლევის საფუძველზე.
HCV ანტისხეული	HCV -ს საწინააღმდეგო ანტისხეული, რომელიც სისხლში ვლინდება ვირუსის ორგანიზმში შეჭრიდან 2-6 თვიანი ინტერვალის შემდეგ.
HCV ბირთვის ანტიგენი (HCVcAg)	ნუკლეოკაფსიდის პეპტიდი 22, რომელიც გამოიყოფა სისხლის პლაზმაში ვირუსის აწყობის პროცესში და მისი განსაზღვრა შესაძლებელია ინფექციის ადრეული სტადიიდან მისი სრული კურსის განმავლობაში.
HCV რნმ	HCV ვირუსის გენომი, რომლის გამოვლენა და რაოდენობის განსაზღვრა შესაძლებელია სისხლის შრატის ნუკლეინ მჟავის განმსაზღვრელი ტესტით (NAT) კვლევის საფუძველზე.
სწრაფი ტესტი (RDT)	იმუნოლოგიური ტესტი, რომელიც ავლენს ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულს ან მის ანტიგენს და პასუხს იძლევა 30 წუთზე ნაკლებ პერიოდში. სწრაფი ტესტი შესაძლებელია იყოს სისხლის (კაპილარული ან პლაზმა), ან ნერწყვის.
ნუკლეინის მჟავის განმსაზღვრელი ტესტი (NAT)	მოლეკულური ტექნოლოგია, მაგალითად პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქცია (PCR), ან ნუკლეინის მჟავის სექვენირების ტესტი, რომლებიც იძლევა შესაძლებლობას განსაზღვროს ვირუსის მცირე რაოდენობაც კი და მოახდინოს მისი რაოდენობის შეფასება.
ვირუსისგან სპონტანურად გათავისუფლება	HCV ინფექციისგან გამოჯანმრთელება მკურნალობის გარეშე.
HCV მყარი ვირუსოლოგიური პასუხი (SVR)	HCV რნმ-ი არ ისაზღვრება სისხლში მკურნალობის დასრულებიდან 12 თვის შემდეგ. SVR 12 მიღებულია როგორც ქრონიკული C ჰეპატიტის განკურნების მარკერი.

თავი 1. შესავალი

თემის აქტუალობა

C ჰეპატიტი დღეისთვის ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს და მისი აქტუალობა დღითიდღე იზრდება.

C ჰეპატიტი ღვიძლის დაავადებაა, რომელსაც C ჰეპატიტის ვირუსი (HCV) იწვევს. დაავადების მიმდინარეობა შეიძლება იყოს მსუბუქი და გაგრძელდეს რამდენიმე კვირა, ან მძიმე და მკურნალობის გარეშე გაგრძელდეს პაციენტის სიცოცხლის ბოლომდე¹. C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციის შემთხვევები გამოვლენილია მოსახლეობის ყველა ასაკობრივ ჯგუფში, თუმცა უფრო ხშირია 30-49 წლის პირებში, მეტწილად მამაკაცებში².

მსოფლიოში C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებულთა სავარაუდო რაოდენობა 170 მილიონს აღემატება, მათ შორის 58 მილიონი დაავადებულია C ჰეპატიტის ქრონიკული ფორმით. ყოველწლიურად, სავარაუდოდ, 1.5 მილიონი ადამიანი ინფიცირდება C ჰეპატიტის ვირუსით³. ზოგიერთ ქვეყანაში C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებულია მოზრდილი მოსახლეობის 5-10%. გლობალურად ყოველწლიურად 350000-მდე ადამიანი იღუპება C ჰეპატიტით გამოწვეული გართულებებით. მეტწილად C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციაა მსოფლიოში ჩატარებული ღვიძლის ტრანსპლანტაციის დიდი ნაწილის მიზეზიც^{4,5}.

C ჰეპატიტი ინფექციური დაავადებაა, რომელსაც იწვევს ჰეპატოტროპული რნმ C ჰეპატიტის ვირუსი (HCV). ამ დროს ვითარდება ღვიძლის ანთებითი დაზიანება.

¹ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის C ჰეპატიტის ფაქტების ფურცელი, განაცხადებულია 2020 წლის 27 ივლისს. 2020 წ <https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/hepatitis-c>

²ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის C ჰეპატიტის ფაქტების ფურცელი, განაცხადებულია 2020 წლის 27 ივლისს. 2020 წ <https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/hepatitis-c>

³Progress report on HIV, viral hepatitis and sexually transmitted infections 2021. Geneva: World Health Organization; 2021

⁴ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის C ჰეპატიტის ფაქტების ფურცელი, განაცხადებულია 2020 წლის 27 ივლისს. 2020 წ <https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/hepatitis-c>

⁵ Ward JW, Hinman AR, Alter HJ. Time for the elimination of hepatitis C virus as a global health threat. Arias IM Wolkoff AW Boyer JL The liver: biology and pathobiology. 6th edn. John Wiley and sons, Chichester 2019: 935-952

დაავადებას აქვს **მწვავე და ქრონიკული ფორმა**. შემთხვევათა 70-85%-ში C ჰეპატიტი ქრონიკული მიმდინარეობისაა.

კლინიკური გამოვლინების მიხედვით **მწვავე ფორმა** შეიძლება იყოს

- სიმპტომური (სიყვითლით ან უსიყვითლო) და
- უსიმპტომო.

ქრონიკულ ფორმას კი შეიძლება ჰქონდეს:

- ლატენტური/ფარული მიმდინარეობა პერიოდული გამწვავეებით და მუდმივად პროგრესირებადი მიმდინარეობა.

C ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინა არ არსებობს, თუმცა სამეცნიერო კვლევები მისი შემუშავებისთვის მიმდინარეობს⁶.

C ჰეპატიტის მართვისა და მკურნალობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან გარღვევად ითვლება მაღალეფექტიანი პირდაპირი მოქმედების ანტივირუსული მედიკამენტების (DAAs) შემუშავება, რომლებიც დაავადებულთა >95%-ის სრული განკურნების შესაძლებლობას იძლევა. 2011 წლიდან მოყოლებული ქრონიკული C ჰეპატიტის სამკურნალოდ შემუშავებული იქნა აღნიშნული მედიკამენტების ათეული ფორმულა, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ამ დაავადების მკურნალობის და მართვის პრინციპები და რეალური გახადა C ჰეპატიტის ელიმინაციის პერსპექტივა, როგორც ცალკეულ ქვეყნებში, ისე გლობალურად⁷.

მიუხედავად მკურნალობის სფეროში შექმნილი აღნიშნული შესაძლებლობებისა, პირდაპირი მოქმედების ანტივირუსული მედიკამენტების მაღალი ღირებულების გამო, ექსპერტების ვარაუდით, იმ ქვეყნებში, სადაც ამ ინფექციის გავრცელება მაღალია, C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციის მკურნალობა, მისგან გამოწვეული ღვიძლის დაავადებების გართულებების მკურნალობის

⁶Forns X, Bukh J, Purcell RH. The challenge of developing a vaccine against hepatitis C virus. J Hepatol. 2002;37:684–95.

⁷ Ward JW, Hinman AR, Alter HJ. Time for the elimination of hepatitis C virus as a global health threat. Arias IM Wolkoff AW Boyer JL The liver: biology and pathobiology. 6th edn. John Wiley and sons, Chichester 2019: 935-952

ჩათვლით, ჯანდაცვის სექტორის მნიშვნელოვან ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. შესაბამისად, არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის ცოდნა ქვეყნებს აძლევს შესაძლებლობას, რომ დაავადებულთა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამების დაგეგმვის, მათ შორის დაავადების ელიმინაციის სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელებისას იხელმძღვანელონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული გათვლებით და დასახონ ელიმინაციის პროგრამის რეალისტური სამიზნეები.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, C ჰეპატიტის გავრცელების მხრივ საქართველო მაღალი პრევალენტობის ქვეყნებს მიეკუთვნება. ქ. თბილისში ჯერ კიდევ 2001-2002 წლებში ჩატარებული კვლევის მონაცემებით, C ჰეპატიტის სეროპრევალენტობა მთელ მოსახლეობაში 6,7%-ს შეადგენდა.

სამწუხაროდ, დაავადების გავრცელების განმსაზღვრელი მიზეზები სათანადოდ არ არის შესწავლილი. ერთ-ერთი ფაქტორი შესაძლოა იყოს 90-იან წლებში ჯანდაცვის სისტემის კოლაფსი, ასევე სამედიცინო მომსახურების დაბალი ხარისხი, რაც აფერხებდა უსაფრთხო ინტერვენციების პრაქტიკის დანერგვასა და სამედიცინო დაწესებულებებში წლების მანძილზე ინფექციის კონტროლისა და უსაფრთხო სისხლის სახელმწიფო პროგრამების სრულად ამოქმედებას. ყველა ეს პრობლემა, ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა შორის შპრიცების გაზიარების ფართო გავრცელებასთან ერთად, განაპირობებდა C ჰეპატიტის მაღალ გავრცელებას მთლიან პოპულაციაში.

საქართველოში C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამაში პირველი მნიშვნელოვანი წარმატება უკავშირდება სს ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრის განსაკუთრებული ძალისხმევით ჩვენს რეგიონში პირველად გლობალური ფონდის შიდსის პროგრამის ფარგლებში კო-ინფიცირებულ აივ დადებით პაციენტებში ინტერფერონ/რიბავირინის რეჟიმით მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას 2011 წლიდან. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაგროვილი მნიშვნელოვანი გამოცდილება გახდა საფუძველი უკვე 2013 წლიდან იგივე რეჟიმით მკურნალობაზე

ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ქრონიკული C ჰეპატიტის მქონე პაციენტებს შორის უკვე სახელმწიფო დაფინანსებით. ხოლო 2014 წლიდან სახელმწიფოს მიერ ჩატარებული წარმატებული მოლაპარაკებების შედეგად მნიშვნელოვანი ფასდაკლება იქნა მიღწეული ინტერფერონზე, რამაც შესაძლებელია გახადა მკურნალობის შეთავაზება ქრონიკული დაავადების მქონე მოსახლეობის წევრებისთვისაც. თუმცა, როგორც ცნობილია აღნიშნული რეჟიმით მკურნალობა იყო ხანგრძლივი (6-დან 12 თვემდე) და ასევე, მკურნალობის ფონზე პაციენტებს აღნიშნებოდა მძიმე გვერდითი მოვლენები.

C ჰეპატიტის სამკურნალო პირდაპირი მოქმედების ანტივირუსული მედიკამენტის, სოფოსბოვირის, გამოგონების შემდეგ 2015 წელს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (დკსჯეც)-ის და აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების მიერ ჩატარებული იქნა სეროპრევალენტობის პოპულაციური კვლევა ქვეყნის მასშტაბით, რომლის მიხედვით, C ჰეპატიტის ანტისხეულებზე დადებითი აღმოჩნდა ქვეყნის მოსახლეობის 7.7%, ხოლო რნმ-დადებითი, ანუ C ჰეპატიტის აქტიური ფორმით დაავადებული, აღმოჩნდა მოსახლეობის 5.4%, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა საქართველოში აღნიშნული დაავადების ფართოდ გავრცელება.

2015 წლის მთელი პოპულაციის კვლევის მიხედვით, C ჰეპატიტის აქტიური ფორმის მქონე პირთა 38.2%-მა აღნიშნა ნარკოტიკების ინტრავენური გზით მოხმარების გამოცდილება, 19.7%-მა კი – სისხლის გადასხმის ისტორია. საყურადღებოა, რომ კვლევის მონაწილე C ჰეპატიტის მქონე პირთა თითქმის ნახევარმა (46.7%) ვერ დაუკავშირა საკუთარი დაინფიცირება რაიმე რისკ ფაქტორს⁸.

საქართველოში C ჰეპატიტის მაღალი პრევალენტობა მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებთან არის ასოცირებული. აღნიშნულის საპასუხოდ, ქვეყნის მთავრობამ მიზნად დაისახა ქვეყანაში C ჰეპატიტის ეპიდემიის ელიმინაცია და

⁸ Prevalence and genotype distribution of hepatitis C virus in Georgia: a 2015 nationwide population-based survey. D. Baliashvili, A. Kasradze, G. Kuchukhidze, S. Salyer, A. Gamkrelidze, K. Zakhshvili, M. Alkhazashvili, G. Chanturia, N. Chitadze, R. Sukhiashvili, M. Shakhnazarova, P. Imnadze, J. Drobeniuc, C. Blanton, S. Russell, J. Morgan, F. Averhoff, L. Hagan, DOI: [https://doi.org/10.1016/S0168-8278\(17\)30870-X](https://doi.org/10.1016/S0168-8278(17)30870-X)

დაიწყო მზარდი ტექნიკური და ფინანსური რესურსების გამოყოფა დაავადების პრევენციისა და მართვისთვის მტკიცებულებებზე დამყარებული ინტერვენციების განსახორციელებლად. 2015 წელს შემუშავდა C ჰეპატიტის ელიმინაციის ეროვნული სტრატეგია⁹, რათა დაჩქარდეს და გაძლიერდეს C ჰეპატიტზე ეროვნული რეაგირება და, შედეგად, შემცირდეს დაავადებასთან დაკავშირებული ავადობა და სიკვდილიანობა. სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს დაავადების ეპიდემიოლოგიის უახლეს ტენდენციებს, ავადობის ტვირთს, ქვეყანაში არსებულ ინფრასტრუქტურას, პოტენციურ მომსახურების მიმწოდებელ მხარეებს, მათ როლებსა და შესაძლებლობებს, C ჰეპატიტზე ეფექტურ რეაგირებასთან დაკავშირებულ გამოწვევებისა და განხორციელების რისკების შესწავლის შედეგებს. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად განისაზღვრა გეგმის მიზანი და სტრატეგიული ამოცანები, რომლებიც უნდა განხორციელდეს სტრატეგიის ციკლის განმავლობაში - 2016–დან 2020 წლამდე. საერთაშორისო პარტნიორებმა - აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრმა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ - ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს აღნიშნული სტრატეგიის ჩამოყალიბებაში, რომელიც ითვალისწინებს უახლეს საერთაშორისო სტანდარტებს და ეფუძნება საუკეთესო პრაქტიკის შესახებ რეკომენდაციებს.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში დასახული იქნა სამიზნეები 90%-95%-95%, რაც გულისხმობს ქვეყანაში C ჰეპატიტის აქტიური ინფექციის მქონე პირთა 90%-ის გამოვლენას, მათგან 95%-ის ჩართვას მკურნალობის პროგრამაში და პაციენტთა 95%-ში განკურნების მიღწევას. აღნიშნული ამბიციური სამიზნეების მიღწევა მხოლოდ ერთიანი ეროვნული ძალისხმევით და უპრეცედენტო საერთაშორისო მხარდაჭერით არის შესაძლებელი, განსაკუთრებით კი აშშ ფარმაცევტული კომპანია „გილიად“-ის მიერ ძვირადღირებული პირდაპირი მოქმედების ანტივირუსული მედიკამენტების უსასყიდლოდ მოწოდების საშუალებით.

⁹ საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის 2016-2020 წლების ეროვნული სტრატეგია - http://gov.ge/files/57442_57442_192314_1704.pdf

ზემოთ აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით, საქართველოს ჯანდაცვის სისტემისათვის C ჰეპატიტის ელიმინაცია ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას წარმოადგენს.

დაავადების ელიმინაციის პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი იყო მთელ მოსახლეობაში ბოლო პერიოდში, ჩვენი კვლევის ფარგლებში კი გასული 16-17 წლის მანძილზე, დაავადების გავრცელების გზების შესწავლა და შეფასება, განხორციელებული ღონისძიებების შედეგების ანალიზი, რასაც გარდა თეორიულისა, დიდი პრაქტიკული ღირებულება აქვს ელიმინაციის პროგრამის ეფექტიანი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული დაგეგმვისათვის.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანს წარმოადგენს ქ. თბილისის მოზრდილი მოსახლეობის C ჰეპატიტის ვირუსით დაინფიცირების შედარებითი დახასიათება 2001-2002 და 2017–2018 წლებში და დაავადების გავრცელების თავისებურებებისა და ჩატარებული სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგების შეფასება დაავადების ელიმინაციის თვალსაზრისით.

კვლევის ამოცანები:

1. ქ. თბილისის მოსახლეობაში C ჰეპატიტის გავრცელების შესწავლა 2001-2002 და 2015–2016 წწ.;
2. C ჰეპატიტის გავრცელების დემოგრაფიული თავისებურებების, გადაცემის გზების და მაღალი რისკის ჯგუფების შესახებ 2001-2002 და 2015-2016 წლების მონაცემების შედარებითი დახასიათება;
3. ჩატარებული სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასება დაავადების ელიმინაციის გათვალისწინებით.

მეცნიერული სიახლე

ნაშრომი ეხება დღესდღეობით მსოფლიოში და საქართველოში მეტად აქტუალურ პრობლემას - ვირუსული C ჰეპატიტის გავრცელების თავისებურებების და

ამ მიმართულებით უკვე ჩატარებული სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ეფექტიანობის შესწავლას.

ნაშრომი ეხება დღესდღეობით მსოფლიოში და საქართველოში მეტად აქტუალურ პრობლემას - ვირუსული C ჰეპატიტის გავრცელების თავისებურებების და ამ მიმართულებით უკვე ჩატარებული სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ეფექტიანობის შესწავლას.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა თავისი შედეგებით მნიშვნელოვანია C ჰეპატიტის გავრცელების გზებისა და მისი ხელშემწყობი ფაქტორების შეფასების თვალსაზრისით როგორც მთლიანად საქართველოში ზოგადად, ისე კონკრეტულად ქალაქ თბილისში, სადაც ქვეყნის მოსახლეობის 40%-ზე მეტია კონცენტრირებული.

ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში მიღწეული შედეგების ანალიზი, დაავადების გავრცელების გზებთან და მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებთან მიმართებაში, რაც ჩვენს ქვეყანაში აქამდე არ ყოფილა შესწავლილი.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების და დასკვნების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვანი იქნება საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის მომავალში - 2021-2025 წლებში. კერძოდ, კვლევის შედეგები შესაძლებლობას იძლევა

- ✓ **დაიგეგმოს** C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციაზე როგორც მთელი მოსახლეობის, ისე ე.წ. მაღალი რისკის ჯგუფების მეტად ფოკუსირებული და მაღალი გამოსავლიანობის მქონე სკრინინგული კვლევების ინტერვენციები
- ✓ **გაუმჯობესებული იქნას** გამოვლენილი ქრონიკული C ჰეპატიტის მქონე პირების მკურნალობის პროგრამაში ჩართვის მაჩვენებლები, რაც საბოლოოდ
- ✓ **ხელი შეუწყოს** ქვეყანაში ქრონიკული C ჰეპატიტის ელიმინაციის მისაღწევას - დაავადების ავადობისა და სიკვდილიანობის ტვირთის/მაჩვენებლების ეტაპობრივ შემცირებას.

კვლევის შედეგების თეორიული და პრაქტიკული (გამოყენებითი) ღირებულება

კვლევის ფარგლებში ქ. თბილისის მოსახლეობაში C ჰეპატიტის გავრცელების თავისებურებების და გატარებული სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა:

1. დაავადების გავრცელების გზების, მაღალი რისკის ჯგუფებისა და წლების მანძილზე მათ განაწილებაში ცვლილებების განსაზღვრა;
2. გამოვლენილი ცვლილებების გავლენის შეფასება C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის განხორციელებაზე დაავადებულ პირთა ადრეული გამოვლენისა და მკურნალობის პროგრამაში დროული ჩართვის უზრუნველყოფის მხრივ;
3. მიღებული მონაცემების ექსტრაპოლაციით C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის შესაძლო ბარიერების დადგენა და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება;
4. რეკომენდაციების შემუშავება მაღალი რისკის ჯგუფებში C ჰეპატიტის გავრცელების პრევენციის, მათ შორის ნამკურნალებ პირთა რეინფექციის თავიდან აცილების მიზნით.

ასევე,

5. კვლევის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების დანერგვა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პაციენტთა მკურნალობისა და მოვლის სერვისების გაუმჯობესებისათვის, არამედ მთლიანად საქართველოში C ჰეპატიტის ეპიდემიის მართვის და ზეგავლენის მოხდენის კუთხითაც.

თავი 2. ლიტერატურის მიმოხილვა


C ჰეპატიტის ვირუსით ინფექცია იწვევს როგორც მწვავე, ისე ქრონიკულ დაავადებას. მწვავე ინფექცია, როგორც წესი, უსიმპტომოდ მიმდინარეობს და C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებული პაციენტების დაახლოებით 30% (15-45%) სპონტანურად თავისუფლდება ვირუსისგან. ინფიცირებიდან 6 თვის მანძილზე, ყოველგვარი მკურნალობის გარეშე. პაციენტების დარჩენილ 70% (55-85%)-ში,

ძირითადად ისევ უსიმპტო მიმდინარეობით, ვითარდება ქრონიკული C ჰეპატიტი. ქრონიკული ჰეპატიტის მქონე პაციენტების 15%-დან 30%-ში ინფიცირებიდან 15-20 წლის განმავლობაში დაავადება რთულდება ციროზით ან/და ჰეპატოცელულური კარცინომით (HCC, ღვიძლის პირველადი კიბო)¹⁰. აღნიშნული თავისებურებების გამო C ჰეპატიტს „აღერსიანი მკვლეელი“ უწოდეს.

C ჰეპატიტის ეტიოლოგია

ვირუსის აგებულება

C ვირუსული ჰეპატიტის გამომწვევი (HCV) მცირე ზომის (56-65 ნმ) ვირუსს წარმოადგენს. იგი ფლავივირიდე (*Flaviviridae*) ოჯახის ჰეპაცივირუსების (*Hepacivirus*) გვარის რნმ-ის ერთ ჯაჭვის მქონე ვირუსია¹¹. ვირუსი შედგება ლიპიდური მემბრანის გარსისგან, რომელშიც ჩართულია გარსის E1 და E2 ლიპოპროტეინები, რომელთა საშუალებით ვირუსი უკავშირდება მასპინძელ ღვიძლის უჯრედს. მემბრანის შიგნით მოთავსებულია 33-40 ნმ დიამეტრის მქონე ნუკლეოკაფსიდი, რომელიც იცავს შიგნით მოთავსებულ ვირუსის რნმ-ს¹² (სურათი #1).



სურათი #1. C ჰეპატიტის ვირუსის აგებულება (*Dubuisson, Jean; Cosset, François-Loïc (2014)*)

¹⁰ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის C ჰეპატიტის ფაქტების ფურცელი, განაცემებულია 2020 წლის 27 ივლისს. 2020 წ <https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/hepatitis-c>

¹¹"Genus: *Hepacivirus*". *International Committee on Taxonomy of Viruses*. July 2018.

15. Dubuisson, Jean; Cosset, François-Loïc (2014). "[Virology and cell biology of the hepatitis C virus life cycle – An update](#)". *Journal of Hepatology*. 61 (1): S3–S13.

C ჰეპატიტის ვირუსი აღმოჩენილი იქნა 1989 წელს ბრიტანელი მეცნიერის მაიკლ ჰოუგტონის (Michael Houghton) და მისი კოლეგების მიერ, თუმცა ამავე პერიოდში იგივე აღმოჩენა გაკეთდა ამერიკელი მეცნიერების ჰარვი ჯეი ალტერს (Harvey J Alter) და ჩარლ რაისს (Charles M Rice) მიერ. ამიტომ C ჰეპატიტის ვირუსის აღმოჩენისთვის 2020 წელს ნობელის პრემია აღნიშნულმა სამმა მეცნიერმა გაიყო¹³. აღსანიშნავია, რომ პირველად მედიცინის ისტორიაში დაავადების სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემა უფრო ადრე იქნა შემუშავებული (ამერიკული კომპანია Chiron, 1989 წელი), ვიდრე მოხდა მისი გამომწვევის გამოყოფა. მათ თავიდან ახალ ვირუსს არც-A და არც-B ჰეპატიტის ვირუსი უწოდეს.

ვირუსის აგებულება და მოლეკულური ბიოლოგია

C ჰეპატიტის ვირუსი ჰეპატოტროპული ვირუსია, რომელიც დაახლოებით 30-50 ნანომეტრის სიდიდისაა და მის გენეტიკურ მასალას წარმოადგენს რნმ-ის ერთმაგი ჯაჭვი. რნმ-ს გარს აკრავს ლიპიდური კაპსულა, ხოლო გენომი აკოდირებს პოლიპროტეინს, რომელიც წარმოდგენილია 9600 ნუკლეოტიდით¹⁴. C ჰეპატიტის ვირუსის გენომში კოდირებულია სტრუქტურული (C, E1, E2) და არასტრუქტურული ((NS1/p7, NS2, NS3, NS4A, NS4B, NS5A and NS5B) ცილები. სტრუქტურულ ცილებს მიეკუთვნება C-ბირთვის პროტეინი და გარსის ორი გლიკოპროტეინი (E1, E2), ხოლო ოთხ არასტრუქტურულ ცილას მიეკუთვნება ფერმენტები, რომლებიც მონაწილეობენ ვირუსის რეპლიკაციაში (მაგ. NS3- პროტეაზა/გელიკაზა, NS5-რნმ პოლიმერაზა). ვირუსის პოლიპროტეინის თითოეული ცილის მიმართ მასპინძელ ორგანიზმში გამომუშავდება ანტისხეულები (Anti-HCV), რომლებიც ვირუსმანეიტრალელებელი თვისებით არ ხასიათდება. ანტიგენური ცვლილების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მდგრადია ბირთვის C პროტეინი და არასტრუქტურული NS5-ცილა

¹³ The Nobel Prize Organisation. Press release: the Nobel Prize in Physiology or Medicine 2020.Oct 5, 2020 <https://www.nobelprize.org/prizes/medicine/2020/press-release/>

¹⁴ Kaito M, Watanabe S, Tsukiyama-Kohara K, Yamaguchi K, Kobayashi Y, Konishi M, Yokoi M, Ishida S, Suzuki S, Kohara M. Hepatitis C virus particle detected by immunoelectron microscopic study. J Gen Virol. 1994 Jul; 75 (Pt 7):1755-60. doi: 10.1099/0022-1317-75-7-1755. PMID: 7517432.

(რნმ პოლიმერაზა), ხოლო მაღალი ვარიაბელობით ხასიათდება გარსის E1 და E2 ცილები¹⁵.

უჯრედში ვირუსის შეჭრაში მონაწილეობს გარსის E1 და E2 ცილები, CD81 უჯრედები, B1 რეცეპტორი (SRB1), მჭიდრო ბმის პროტეინები: კლაუდინ 1 (CLDN1) და ოკლუდინი (OCLN) და ასევე, EGFR და EphA2 რეცეპტორები¹⁶. ბოლო კვლევების თანახმად, ვირუსის უჯრედში შეღწევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს Niemann-Pick C1-ს მსგავსი (NPC1L1) ქოლესტეროლის აბსორბციის რეცეპტორი და ტრანსფერინ 1 რეცეპტორი (TfR1)¹⁷. მიუხედავად დაგროვილი სამეცნიერო ცოდნისა, C ჰეპატიტის ვირუსის უჯრედში შეჭრის მექანიზმი ბოლომდე აღწერილი ჯერ კიდევ არ არის.


უჯრედში შეჭრილი ვირუსის რეპლიკაციაში მონაწილეობს მასპინძელი ღვიძლის უჯრედის სინთეზის მექანიზმები და ორგანელები. რეპლიკაციისთვის ვირუსი იყენებს უჯრედის მიტოქონდრიის ენერგიასაც. სხვა დადებითი ჯაჭვის მქონე რნმ ვირუსების მსგავსად, HCV გენომის სინთეზი ხდება ციტოპლაზმურ მემბრანაზე. ვირუსის გენომის აწყობა ხდება რეპლიკაციის კომპლექსის საშუალებით, რომელიც მოიცავს როგორც ვირუსის, ისე მასპინძელი უჯრედის ფაქტორებს. ვირუსის ნაწილაკის აწყობაში აქტიურად მონაწილეობს ვირუსის როგორც სტრუქტურული, ისე არასტრუქტურული ცილები, რომლის პირველად ნაბიჯს წარმოადგენს ვირუსის ბირთვის პროტეინის დაკავშირება ლიპიდურ ნაწილაკებთან ვირუსის გენომის რეპლიკაციის მიზნით¹⁸ (სურათი #2).

¹⁵ Simmonds P. Variability of hepatitis C virus. *Hepatology*. 1995;21:570–583.

¹⁶ Lupberger J, Zeisel M-B, Xiao F, Thumann C, Fofana I, Zona L, Davis C, Mee CJ, Turek M, Gorke S, Royer C, Fischer B, Zahid MN, Lavillette D, Fresquet J, Cosset F-L, Rothenberg SM, Pietschmann T, Patel AH, Pessaux P, Doffoel M, Raffelsberger W, Poch O, McKeating JA, Brino L, Baumert T-F. 2011. EGFR and EphA2 are host factors for hepatitis C virus entry and possible targets for antiviral therapy. *Nat Med* 17:589–595. doi:10.1038/nm.2341

¹⁷ Sainz B, Barretto N, Martin DN, Hiraga N, Imamura M, Hussain S, Marsh KA, Yu X, Chayama K, Alrefai WA, Uprichard SL. 2012. Identification of the Niemann-Pick C1-like 1 cholesterol absorption receptor as a new hepatitis C virus entry factor. *Nat Med* 18:281–285. doi:10.1038/nm.2581.

¹⁸ Ashfaq, U.A., Javed, T., Rehman, S. *et al.* An overview of HCV molecular biology, replication and immune responses. *Viral J* 8, 161 (2011). <https://doi.org/10.1186/1743-422X-8-161>



სურათი #2. C ჰეპატიტის ვირუსის მოლეკულური ბიოლოგია ¹⁹

მასპინძელი ორგანიზმის იმუნური პასუხი

C ჰეპატიტით ვირუსით ინფიცირების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ვირუსის გარსის ცილები, რომლებიც უკავშირდება ღვიძლის უჯრედების ზედაპირულ რეცეპტორებს, კერძოდ CD81-ს. ვირუსის უნიკალური უნარი, რომ თავი დააღწიოს მასპინძელი ორგანიზმის იმუნიტეტის ზეწოლას, სწორედ ზედაპირული ანტიგენების სწრაფ და მუდმივ ცვალებადობას უკავშირდება. ვირუსის ახალი კვაზისახეობების გამომუშავების სიჩქარე დღე-ღამეში 1000-ს აღემატება და მათი გენეტიკური განსხვავება დაახლოებით 10-15%-ს შეადგენს. ასეთი მაღალი ცვლადობის მქონე ვირუსთან გამკვლავება დიდ გამოწვევას წარმოადგენს ორგანიზმის T და B ლიმფოციტებისთვის და ხელს უწყობს ქრონიკული ინფექციის განვითარებას (Walters et al., 2009).

აღსანიშნავია, რომ C ჰეპატიტის ვირუსს აქვს უნარი, რომ შეაღწიოს მასპინძელი ორგანიზმის ლიმფოციტებსა და მაკროფაგებშიც და გამოიწვიოს დაავადების ექსტრაჰეპატური გამოვლინებები. აღნიშნულ უჯრედებში შეჭრილი ვირუსი მიუწვდომელია იმუნური პასუხისთვის, რაც ასევე ხელს უწყობს დაავადების ქრონიზაციას (Galossi, Guarisco, Bellis, & Puoti, 2007; Sansonno et al., 2004).

¹⁹ https://commons.wikimedia.org/wiki/File:Hegasy_Hep_C_Virus_EN-01.jpg

როგორც აღმოჩნდა, C ჰეპატიტის ვირუსის გენოტიპებს შორის პირველი გენოტიპი ხასიათდება მუტაციის ყველაზე სწრაფი ტემპით, რაც ართულებს ამ გენოტიპით გამოწვეული ქრონიკული ინფექციის მკურნალობას.

იმუნური პასუხისათვის, განსაკუთრებით ინფექციის საწყის ეტაპზე, მნიშვნელოვანი როლი უჭირავს პირველი ტიპის ალფა- და ბეტა ინტერფერონების პროდუქციას (Peters, 1996; Tilg, 1997).

მასპინძელი ორგანიზმის C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგოდ განვითარებულ ადგილობრივ და ზოგად იმუნურ პასუხში მონაწილეობენ NK უჯრედები, NKT უჯრედები ციტოპათიური ეფექტის მეშვეობით და ღვიძლის მაკროფაგები, კუფერის უჯრედები. ასევე, იმუნური პასუხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინფიცირებული უჯრედების მიერ ინტერფერონის საპასუხო პროდუქციაზე.

უჯრედული იმუნური პასუხისთვის კი აქტუალურია ანტისხეულების გამომუშავება B უჯრედების, ასევე CD4+ T ჰელპერების და CD8+ ციტოტოქსიური T ლიმფოციტების მიერ (Diepolder et al., 1996; Thimme et al., 2001). CD4+ T ჰელპერები იწვევენ მაკროფაგების, ანტიგენ სპეციფიური B უჯრედების და CD8+ T უჯრედების აქტივაციას. აქტივირებული CD8+ T უჯრედები ამოიცნობენ ინფიცირებულ უჯრედს და ახდენენ მის ციტოლიზს ან ინტერფერონ გამას და TNF α -ს სეკრეციის გზით ბლოკავენ ვირუსის გამრავლებას ინფიცირებულ უჯრედშივე, მისი დაზიანების გარეშე (Diepolder, et al., 1996).

ვირუსის გენოტიპები და მათი გავრცელება

C ჰეპატიტის ვირუსის გენომი მაღალი ვარიაბელურობით გამოირჩევა. ვირუსის გენოტიპები კლასიფიცირებულია 6 ძირითად ჯგუფად და 120-ზე მეტ ქვეჯგუფად²⁰. გენოტიპებისა და ქვეტიპების გავრცელება განსხვავებულია მსოფლიოში (სურათი #3)²¹. ბოლო კვლევების მიხედვით, გლობალურად ყველაზე მეტად გავრცელებულია

²⁰The Polaris Observatory [HCV](#) Collaborators. Global prevalence and genotype distribution of hepatitis C virus infection in 2015: a modelling study. *Lancet Gastroenterol Hepatol.* 2017;2:161–76.

²¹The Polaris Observatory [HCV](#) Collaborators. Global prevalence and genotype distribution of hepatitis C virus infection in 2015: a modelling study. *Lancet Gastroenterol Hepatol.* 2017;2:161–76.


გენოტიპი 1, რომლის გავრცელება ყველა გენოტიპის 46.2%-ს შეადგენს. გავრცელების მხრივ შემდეგ ადგილზეა გენოტიპი 3 (30.1%). ზოგ ქვეყანაში C ჰეპატიტის ვირუსის გავრცელება გენოტიპების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მაგალითად, ჩინეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, მაშინ როცა, ზოგ ქვეყანაში, მაგალითად, ეგვიპტესა და მონღოლეთში, გარკვეული ერთი გენოტიპია გავრცელებული. 1a და 1b გენოტიპები გავრცელებულია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. გენოტიპი 3 უფრო ხშირად გვხვდება ინდოეთში, ნეპალსა და პაკისტანში. გენოტიპი 4 გავრცელებულია აფრიკასა და შუა აღმოსავლეთში. გენოტიპი 5 კი გვხვდება სამხრეთ აფრიკაში. გენოტიპი 6 გავრცელებულია ჰონგ კონგსა და სახრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში²² [23]. 2014 წელს აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ მოხდა გენოტიპების კლასიფიკაციის განახლება, რომლის მიხედვით არსებობს C ჰეპატიტის ვირუსის 7 გენოტიპი და 67 ქვეტიპი²⁴.

პანგენოტიპური პირდაპირი მოქმედების ანტივირუსული მედიკამენტების შექმნამ მოხსნა მკურნალობის დაწყებამდე გენოტიპის განსაზღვრის აუცილებლობა და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი C ჰეპატიტის ვირუსით აქტიური ინფექციის მკურნალობის გაფართოებას მსოფლიოში, თუმცა ერთხელ უკვე ნამკურნალებ პაციენტებში დაავადების რელაფსის და რეინფექციის დიფერენცირებისთვის და შესაბამისი მკურნალობის რეჟიმის შერჩევისთვის კვლავ აქტუალური რჩება ვირუსის გენოტიპის ცოდნა.

²²Idrees M, Riazuddin S: Frequency distribution of hepatitis C virus genotypes in different geographical regions of Pakistan and their possible routes of transmission. *BMC Infect Dis* 2008, 8: 69. 10.1186/1471-2334-8-69

²³Idrees M, Riazuddin S: Frequency distribution of hepatitis C virus genotypes in different geographical regions of Pakistan and their possible routes of transmission. *BMC Infect Dis* 2008, 8: 69. 10.1186/1471-2334-8-69

²⁴Smith DB, Bukh J, Kuiken C, Muerhoff AS, Rice CM, Stapleton JT, Simmonds P. Expanded classification of hepatitis C virus into 7 genotypes and 67 subtypes: updated criteria and genotype assignment web resource. *Hepatology*. 2014;59(1):318-27.



სურათი #3. C ჰეპატიტის ვირუსის გენოტიპების გავრცელება მსოფლიოში

C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციის ბუნებრივი მიმდინარეობა და ფორმები

C ჰეპატიტის ვირუსით (HCV) გამოწვეული ინფექცია ხასიათდება როგორც მწვავე, ისე ქრონიკული მიმდინარეობით. დაინფიცირების მომენტში დაავადების ადრეული სიმპტომები გამოხატულია პაციენტთა დაახლოებით 20%-ში. ვირუსი თავისთავად, მკურნალობის გარეშეც, სრულად განიდევენება ორგანიზმიდან დაავადებულთა 30%-ში (15%-45%). პაციენტების დარჩენილ 70%-ს (55-85%) უვითარდება ქრონიკული ინფექცია, რომელიც იწვევს ღვიძლის ქსოვილის პროგრესირებად ფიბროზსა და ციროზს. ციროზის განვითარების რისკი მერყეობს 15%-დან 30%-მდე C ჰეპატიტის ვირუსით დაინფიცირებიდან 15-20 წლის შემდგომ²⁵. დასაწყის ეტაპზე ციროზი კომპენსირებულია, თუმცა, მოგვიანებით ვითარდება დეკომპენსირებული ციროზი თავისი გართულებებით, როგორცაა ვარიცელური

²⁵ Westbrook RH, Dusheiko G. 2014. Natural history of hepatitis C. J. Hepatol. 61(Suppl. 1), S58–S68. (10.1016/j.jhep.2014.07.012) [PubMed] [CrossRef] [Google Scholar]

სისხლდენები, ასციტი და/ან ენცეპალოპათია; პაციენტების დაახლოებით 1-3%-ში ციროზის ფონზე ვითარდება ჰეპატოცელულური კარცინომა (HCC, ღვიძლის კიბო)²⁶. კარცინომის განვითარება დამოკიდებულია პაციენტის ჯანრთელობის ზოგად მახასიათებლებსა და სარისკო ქცევებზე. ალკოჰოლის მიღება, თანმხლები აივ ინფექცია, B ჰეპატიტი, ან რაიმე სხვა მიზეზით გამოწვეული იმუნოსუპრესია ზრდის ციროზისა და/ან ჰეპატოცელულური კარცინომის განვითარების რისკს²⁷.

C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციის არალვიძლისმიერი გამოვლინებები

C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციის არალვიძლისმიერ მანიფესტაციათა შორის ყველაზე გავრცელებულია შემდეგი სამი: დეპრესია (აღნიშნება პაციენტთა 24%-ში), შაქრიანი დიაბეტი (15%) და თირკმლის ქრონიკული დაავადებები (10%). აღნიშნული დაავადებების განვითარება წარმოდგენილი პროცენტული მაჩვენებლებით პირდაპირ არის დაკავშირებული C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციასთან და ამიტომ განიხილება, როგორც დაავადების არალვიძლისმიერი მანიფესტირება, თუმცა მათი განვითარება არ არის პირდაპირ კავშირში C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციის ღვიძლისმიერ გამოვლინებებთან²⁸.

C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციაზე ტესტირების პრიორიტეტული ჯგუფები

ყველა ადამიანი, ყველა ასაკში შეიძლება დაინფიცირდეს C ჰეპატიტის ვირუსით, მაგრამ ინფექციის გადაცემის გზებიდან გამომდინარე ინფიცირების ყველაზე მაღალი რისკი აქვთ და ყველაზე ხშირად ავადდებიან მოსახლეობის გარკვეული ჯგუფები. C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციაზე კვლევისთვის ჯანმოს მიერ რეკომენდებულია მოსახლეობის შემდეგი ჯგუფების პრიორიტეტული ტესტირება:

²⁶ Hedegaard DL, et al. 2017. High resolution sequencing of hepatitis C virus reveals limited intra-hepatic compartmentalization in end-stage liver disease. *J. Hepatol.* 66, 28–38. (10.1016/j.jhep.2016.07.048) [PMC free article] [PubMed] [CrossRef] [Google Scholar]

²⁷Peters M.G, Terrault N.A. Alcohol use and hepatitis C. *Hepatology.* 2002 ;36(5 Suppl 1):S220-5

²⁸ El-Serag H.B. et al. Extrahepatic manifestations of hepatitis C among United States male veterans. *Hepatology.* 2002 ;36(6):1439-45 Cacoub P. et al. Extrahepatic manifestations associated with hepatitis C virus infection. A prospective multicenter study of 321 patients. The GERMIVIC. Groupe d'Etude et de Recherche enMedecine Interne et Maladies Infectieuses sur le Virus de l'Hepatite C. *Medicine (Baltimore).* 2000 ;79(1):47-56

- ❖ ნარკოტიკების ინექციური გზით აქტიური მომხმარებლები (ნიმ-ები), ან ასეთი ქცევითი გამოცდილების მქონე პირები (ექვემდებარებიან რეგულარულ ტესტირებას)
- ❖ პატიმრები, ან პატიმრობის ისტორიის მქონე და დახურულ დაწესებულებებში მყოფი სხვა პირები
- ❖ არაინექციური ნარკოტიკების მომხმარებელი პირები
- ❖ მსმ-ები
- ❖ სისხლის ან მისი პროდუქტების რეციპიენტები
- ❖ პირები, ვისაც ჩაუტარდათ რაიმე ინვაზიური სამედიცინო მანიპულაცია არასათანადო ინფექციის კონტროლის მქონე სამედიცინო დაწესებულებებში
- ❖ C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებული დედების ბავშვები
- ❖ აივ ინფიცირებული პირები და
- ❖ ტატუს ან პირსინგის მქონე პირები.

თუმცა, დაავადების გავრცელების მასშტაბების და უსიმპტომო მიმდინარეობის რისკის გათვალისწინებით, C ჰეპატიტზე ტესტირება რეკომენდებულია შემდეგ შემთხვევებშიც:

- ❖ სამედიცინო პერსონალი, ვისაც HCV ინფიცირებულ სისხლთან ჰქონდა პროფესიული კონტაქტი
- ❖ ორსულების დროს (ტესტი უნდა განმეორდეს ყოველ ორსულობაზე)
- ❖ პირები, რომელთა სექსუალური პარტნიორები HCV ინფიცირებულები არიან
- ❖ ჰემოდიალიზზე მყოფი პირები
- ❖ 18 წლის და უფროსი ასაკის პირებისთვის (უნდა ჩაიტარონ ტესტირება ცხოვრებაში ერთხელ მაინც).

C ჰეპატიტის დიაგნოსტიკა

C ჰეპატიტის ვირუსით ინფექცია, როგორც **წესი** მწვავე, ასევე ქრონიკული ფორმა, ძირითადად უსიმპტომოდ მიმდინარეობს. დაავადების უსიმპტომო მიმდინარეობის გამო, მწვავე პერიოდში ხდება ინფიცირებულთა ძალიან მცირე ნაწილის დიაგნოსტიკა და შესაბამისად, ვერ ხდება ინფიცირებულთა სრული

გამოვლენა. პაციენტებში, ვისაც აქვს ქრონიკული ინფექცია, დაავადება წლების განმავლობაში ასევე უსიმპტომოდ მიმდინარეობს და მხოლოდ გვიან სტადიაზე იჩენს თავს, როცა ღვიძლის ქსოვილის დიდი ნაწილი უკვე დაზიანებულია. შესაბამისად, დაავადების დიაგნოსტიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინფექციის გამოვლენის და მკურნალობის დროულად დაწყების მხრივ.

C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისთვის მოწოდებული ლაბორატორიული დიაგნოსტიკა ორ საფეხურად იყოფა:

C ჰეპატიტის დიაგნოსტიკა

C ჰეპატიტის ვირუსით ინფექცია, როგორც წესი, უსიმპტომოდ მიმდინარეობს. დაავადების უსიმპტომო მიმდინარეობის გამო, მწვავე პერიოდში ხდება ინფიცირებულთა ძალიან მცირე ნაწილის დიაგნოსტიკა. პაციენტებში, ვისაც აქვს ქრონიკული ინფექცია, დაავადება ასევე წლების განმავლობაში უსიმპტომოდ მიმდინარეობს და მხოლოდ გვიან სტადიაზე იჩენს თავს, როცა ღვიძლის ქსოვილის დიდი ნაწილი უკვე დაზიანებულია. შესაბამისად, დაავადების დიაგნოსტიკისთვის მოწოდებულია ლაბორატორიული კვლევები.

დაავადების ლაბორატორიული დიაგნოსტიკა ორ საფეხურად იყოფა:

1. C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულებზე (anti-HCV) სეროლოგიური ტესტირება. აღნიშნული კვლევა გვიჩვენებს, ადამიანი არის თუ არა C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებული.

სეროლოგიურ ტესტებს მიეკითვნება ე.წ. სწრაფი ტესტი (RDT), რისთვისაც გამოიყენება პერორალური სითხე (ნერწყვი), ან ვენური, ან კაპილარული სისხლი და იმუნოფერმენტული ტესტი (EIA), რომლის დროსაც გამოიყენება სისხლის ან პლაზმის ნიმუშები. RTD გამოიზიარა როგორც სამედიცინო ცენტრებში, ისე ე.წ. დაბალზღვრბლოვანი პრევენციული პროგრამების ცენტრებში, როგორცაა ზიანის შემცირების პროგრამები, ტესტირებისთვის. RTD-ის შედეგების მიღებას სჭირდება 5-20 წუთი. EIA-იმუნოფერმენტული ტესტი ტარდება სპეციალიზებულ

ლაბორატორიებში და შედეგები ხელმისაწვდომია რამდენიმე დღეში. მიუხედავად იმისა, რომ RDT-ს, რომელიც იყენებს კაპილარულ სისხლს ან ნერწყვს, გააჩნია თვით-გამოყენების პოტენციალიც, C ჰეპატიტის RDT-ს თვითტესტირებისთვის გამოყენების რეკომენდაცია ჯანმოს მიერ ჯერ-ჯერობით არ არის მოწოდებული, თუმცა მსგავსი რეკომენდაცია არსებობს აივ ინფექციაზე თვითტესტირებისთვის RDT-ს გამოყენებაზე (ჯანმო, 2016 წ).

ადამიანის ორგანიზმს სჭირდება 6-დან 24 კვირამდე დრო (და ზოგჯერ ცხრა თვემდე) ანტისხეულების გამომუშავებისთვის. საყურადღებოა, რომ სუსტი იმუნური სისტემის მქონე პირებს (რაც შეიძლება განპირობებული იყოს რომელიმე დაავადებით ან ზოგიერთი მედიკამენტით) ყოველთვის არ შეუძლია ანტისხეულების გამომუშავება. აღნიშნულს შეიძლება ადგილი ჰქონდეს აუტოიმუნური დარღვევების მქონე და აივ ინფიცირებულ პირებში.

2. თუ anti-HCV სეროლოგიური ტესტი დადებითია, **მეორე საფეხურზე ტარდება ვირუსის რნმ-ის ან ბირთვის ანტიგენის (cAg) განსაზღვრის ტესტები, რომლებსაც კონფირმაციული ტესტები ეწოდება და გვიჩვენებს C ჰეპატიტის აქტიური ფორმის არსებობას.**

ვირუსული დატვირთვის ტესტი (ეწოდება HCV RNA ან NAT-ნუკლეინის მჟავის ტესტირება) გამოიყენება C ჰეპატიტის ვირუსის არსებობის დასადგენად სისხლის ნიმუშში. HCV სტრუქტურული ანტიგენის ტესტი გამოავლენს C ჰეპატიტის ვირუსულ ანტიგენს, რომლის პოვნა შესაძლებელია სისხლში ინფიცირებიდან ორი კვირის განმავლობაში. HCV-ის სტრუქტურული ანტიგენზე (cAg) ტესტირება როგორც წესი, ხელმისაწვდომია დიდ ლაბორატორიებში.

არსებობს ვირუსული დატვირთვის ორი ტიპის ტესტი:

- **თვისობრივი ტესტი** ადგენს არის თუ არა C ჰეპატიტის ვირუსი სისხლში. ტესტის შედეგი დადებითია (ვირუსი გამოვლინდა სისხლში) ან უარყოფითია (ვირუსი არ გამოვლინდა).
- **რაოდენობრივი ტესტი** განსაზღვრავს ვირუსის ოდენობას სისხლში. ეს ტესტები გამოიყენება HCV მკურნალობის დროს მისი ეფექტურობის შესაფასებლად.

HCV სტრუქტურული ანტიგენი (HCV cAg) შეიძლება გამოვლინდეს სისხლში ვირუსის ანტისხეულის ტესტებზე უფრო ადრე ინფექციიდან ორი კვირის განმავლობაში. HCV სტრუქტურული ანტიგენის ტესტირება, რომელიც ეფუძნება ენზიმის იმუნოფერმენტული ანალიზის ტექნოლოგიას, უფრო მარტივია და უფრო იაფია ვირუსული დატვირთვის ტესტირებასთან შედარებით. თუმცა, ის ნაკლებად მგრძობიარეა, რაც ნიშნავს, რომ შეიძლება ამ ტესტირებისას არ დაფიქსირდეს ადრეული ინფექციის შემთხვევა („ცრუ უარყოფითი შედეგი“).

ქრონიკული ინფექციის დადასტურების შემთხვევაში პაციენტს უტარდება ღვიძლის დაზიანების ხარისხის (ფიბროზი, ციროზი) განმსაზღვრელი გამოკვლევა (ინვაზიური - ბიოფსია, ან არაინვაზიური კვლევები). აღნიშნული კვლევების შედეგები განსაზღვრავს მკურნალობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას და ასევე მკურნალობის დროს დაავადების მართვის პრინციპებს. არაინვაზიური ტესტები ეფუძნება ღვიძლის ენზიმების დონეს, თრომბოციტებს და პაციენტის ასაკს. მაგალითად, ინდექსი, რომელიც გულისხმობს ასპარტატ ამინოტრანსფერაზას შეფარდებას თრომბოციტების რაოდენობასთან (APRI) ან FIB-4.

ღვიძლის დაზიანება აგრეთვე შესაძლებელია შეფასდეს სხვა არაინვაზიური მეთოდებით, როგორცაა; ActiTest ან FibroTest ან ულტრაბგერითი გამოკვლევა ფიბროსკანით.

C ჰეპატიტის მკურნალობა

C ჰეპატიტის მკურნალობის ადრეულ ეტაპზე ერთადერთი ეფექტური საშუალება პეგილირებული ინტერფერონის და რიბავირინის კომბინაცია იყო, რომელიც მთელ მსოფლიოში ე.წ. „სტანდარტული ორმაგი თერაპიის“ სახელწოდებით იყო ცნობილი²⁹. აღნიშნული მკურნალობა იყო ხანგრძლივი და ხასიათდებოდა მნიშვნელოვანი გვერდითი მოვლენებით. ბოლო დროს C ჰეპატიტის მკურნალობაში დიდი წარმატებები იქნა მიღწეული, რაც

²⁹ Battaglia AM, Haggmeyer KO. Combination therapy with interferon and ribavirin in the treatment of chronic hepatitis C infection. *Ann Pharmacother.* 2000 Apr;34(4):487-94. doi: 10.1345/aph.19183. PMID: 10772437.

პანგენეტიკური პირდაპირი მოქმედების ანტივირუსული მედიკამენტების (DAA) შემუშავებას უკავშირდება და რის შედეგადაც C ჰეპატიტი გახდა ამჟამად ერთადერთი ქრონიკული ინფექცია, რომლისგანაც სრული განკურნება შესაძლებელია.

C ჰეპატიტის მკურნალობა ნაჩვენებია ქრონიკული ინფექციის მქონე ყველა პაციენტში. მკურნალობის მიზანი ქრონიკული ინფექციისგან პაციენტის სრული განკურნებაა. 2018 წლიდან ჯანმოს მიერ მოწოდებულია რეკომენდაცია, რომ C ჰეპატიტის მკურნალობა ჩაუტარდეს აქტიური ქრონიკული ინფექციის მქონე ყველა მოზრდილ და მოზარდ პაციენტს (> 12 წლის) დაავადების სტადიის მიუხედავად. ჯანმო ასევე იძლევა რეკომენდაციას, რომ 18 წელზე უფროს პაციენტებში გამოყენებული იყოს პანგენეტიკური პირდაპირი მოქმედების ანტივირუსული მედიკამენტები (DAA). DAA მედიკამენტების ეფექტიანობა >95%-ია და მკურნალობის კურსი მნიშვნელოვნად შემცირებულია (12-24 კვირა) ინტერფერონზე დაფუძნებულ რეჟიმებთან შედარებით. მართალია, DAA მედიკამენტების თავდაპირველი ღირებულება ძალიან მაღალი იყო, თუმცა, მოგვიანებით განვითარებადი ქვეყნებისთვის ხელმისაწვდომი გახდა მათი ჯენერიკული ალტერნატივები, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მკურნალობაზე ხელმოსაწვდომობის ზრდას მსოფლიოში.

12-17 წლამდე მოზარდებში, ან იმ პაციენტებში, რომელთა სხეულის წონა 36 კგ ან მეტია, ჯანმოს მიერ მოწოდებულია მკურნალობის ადაპტირებული რეჟიმები:

- ❖ sofosbuvir/ledipasvir 12 კვირა 1, 4, 5 და 6 გენოტიპის შემთხვევაში
- ❖ sofosbuvir/ribavirin 12 კვირა 2 გენოტიპის შემთხვევაში
- ❖ sofosbuvir/ribavirin 24 კვირა 3 გენოტიპის შემთხვევაში.


მართალია, 12 წლამდე ბავშვებში ჯერ-ჯერობით რეკომენდებულია მკურნალობისგან თავის შეკავება, მაგრამ მიმდინარე კვლევების გათვალისწინებით, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში შესაძლებელი იქნება C ჰეპატიტის მკურნალობა უფრო ადრეულ ასაკშიც.

ჯერ-ჯერობით ასევე არ არის მოწოდებული მკურნალობა ორსულობის პერიოდშიც.

მყარი ვირუსოლოგიური პასუხი (SVR) უჩვენებს C ჰეპატიტისგან განკურნებას და გულისხმობს პაციენტის ნიმუშში ლაბორატორიულად გაზომვადი HCV რნმ-ის არარსებობას მკურნალობის კურსის დასრულებიდან 12 კვირის შემდეგ. როგორც კვლევები გვიჩვენებს, 8-12 კვირის მკურნალობის კურსი საკმარისია პაციენტთა >90%-ის განკურნებისთვის ვირუსის გენოტიპის, მკურნალობის წინა გამოცდილების, ფიბროზის ხარისხის ან ციროზის არსებობის მიუხედავად³⁰. სურათი #4 სქემატურად ასახავს C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის, მკურნალობის რეჟიმების და მკურნალობის მონიტორინგის შესახებ ჯანმოს მიერ მოწოდებულ რეკომენდაციებს³¹.

³⁰American Association for the Study of Liver Diseases (AASLD); Infectious Diseases Society of America (IDSA). HCV guidance: recommendations for testing, managing, and treating hepatitis C. Alexandria and Arlington, VA: AASLD and IDSA; 2019. <https://www.hcvguidelines.org/external/icon>
-Terrault N, Monto A, Stinchon MR, Rusie E, Moreo K. New therapies, evidence, and guidance in hepatitis C management: expert practices and insights from an educational symposium at the AMCP 27th annual meeting expo. J Manag Care Spec Pharm 2015;21(9 Suppl):S1–17

ქრონიკული C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და მონიტორინგის ალგორითმ...
მოზარდული და მოზარდი პაციენტებისათვის



რეკომენდებულია:
* C ჰეპატიტის 3 გენოტიპის ვირუსით ინფექციის მქონე პირებს, რომელთაც უკვე აქვთ ჩატარებული მკურნალობა ინტერფერონით და/ან რიბავირინით მკურნალობა უნდა ჩაუტარდეთ 16 კვირიანი კურსით
** რეკომენდირებულია იმ ქვეყნებისთვის, სადაც გენოტიპების გავრცელება ცნობილია და 3 გენოტიპის გავრცელება არ აღემატება 5%-ს
*** მოზარდების მკურნალობა ჯერ-ჯერობით საჭიროებს გენოტიპის განსაზღვრას მკურნალობის ოპტიმალური კურსის დასანიშნად.
AFP: ალფა ფეტოპროტეინი; APRI: ასპერტატე-ალბუმინის ინდექსი; FIB-4 - ფიბროზული დაზიანების სკალია

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწოდებულია C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამისთვის დაავადების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონიტორინგის შემდეგი კასკადი (სურათი # 5³²):


- ❖ ქვეყნის ზრდასრული მოსახლეობა
- ❖ C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციაზე სკრინინგული ტესტით გამოკვლეული პირები

³² WHO Hepatitis C Care and Treatment Guideline, 2018
<https://www.who.int/publications/i/item/9789241550345>

მათ შორის

- ❖ C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციაზე სკრინინგული ტესტით დადებითი პირები
მათ შორის
- ❖ C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციაზე სკრინინგული ტესტით დადებითი პირები, ვისაც ჩაუტარდა კონფირმაციული/დამადასტურებელი კვლევა (რნმ ან ბირთვის ანტიგენის ტესტი)
მათ შორის
- ❖ დადასტურებული C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციის მქონე პირები
მათ შორის
- ❖ დადასტურებული C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციის მქონე პირები, ვინც აკმაყოფილებს მკურნალობაში ჩართვის კრიტერიუმებს
მათ შორის
- ❖ C ჰეპატიტის მკურნალობაში ჩართული პირები
მათ შორის
- ❖ პირები, ვინც დაასრულა C ჰეპატიტის მკურნალობის კურსი
მათ შორის
- ❖ პირები, ვისაც უწევს მყარი ვირუსოლოგიური პასუხის (SVR) ტესტი
მათ შორის
- ❖ პირები, ვინც ჩაიტარა მყარი ვირუსოლოგიური პასუხის (SVR) ტესტი
მათ შორის
- ❖ პირები, ვინც მიაღწია მყარ ვირუსოლოგიურ პასუხს - განკურნებას

დიაგრამა ვირუსული ჰეპატიტის მომსახურების და მკურნალობის დამყოლობის კასკადი



სურათი #5. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული C ჰეპატიტის მკურნალობის მონიტორინგის კასკადი ქრონიკულ მოვლაში

შენიშვნა: ქრონიკულ მოვლაში ერთვება ის დაავადებულები, რომელთა მკურნალობა ვერ დასრულდა სრული განკურნებით - ვირუსის სუპრესიით.

C ჰეპატიტის გადაცემის გზები³³

C ჰეპატიტი ძირითადად სისხლისმიერი გზით ვრცელდება. ადამიანის ინფიცირებისთვის საკმარისი შეიძლება აღმოჩნდეს ინფიცირებული პირის სისხლის მცირე რაოდენობასთან შეხებაც კი.

უფრო კონკრეტულად, C ჰეპატიტის გადაცემის გზები შემდეგია:

- ნარკოტიკების ინექციური გზით მოხმარებისას საზიარო საინექციო ინვენტარის გამოყენება (შპრიცი და ნემსი, წამლის მოსამზადებელი ჭურჭლი, ფილტრი და სხვ.);

მსოფლიოში C ჰეპატიტის წლიური ახალი შემთხვევების დაახლოებით 23-39% სწორედ ნარკოტიკული საშუალებების ინექციური გზით მოხმარებას უკავშირდება.

³³Guidelines for the Care and Treatment of Persons Diagnosed with Chronic Hepatitis C Virus Infection [Internet]. Geneva: World Health Organization; 2018 Jul. 2, Background. Available from: <https://www.ncbi.nlm.nih.gov/books/NBK531718/>

ასევე, ქრონიკული C ჰეპატიტის 5.5 მილიონი შემთხვევა (9.5%) უკავშირდება ნარკოტიკების ინექციურ მოხმარებას³⁴.

- სამედიცინო პრაქტიკაში არასათანადოდ გასტერილებული სამედიცინო ხელსაწყოების, მეტწილად შპრიცისა და ნემსის, გამოყენების ან მათი არაერთჯერადად გამოყენების გზით;

2010 წელს მსოფლიოში სამედიცინო ინექციების დაახლოებით 5% არასტერილური, მრავალჯერადად გამოყენებული საინექციო მასალით კეთდებოდა³⁵. სავარაუდოდ, ყოველწლიურად C ჰეპატიტის 315,000 ახალი შემთხვევა უკავშირდება უშუალოდ არასტერილურ სამედიცინო მანიპულაციებს³⁶. გარდა ამისა, საყურადღებოა დიდი რაოდენობით არააუცილებელი სამედიცინო ინექციებიც, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს დაავადების გავრცელებას³⁷. C ჰეპატიტის პრევენციის მიზნით, მნიშვნელოვანია უსაფრთხო სამედიცინო პრაქტიკის დანერგვა, განმეორებითი გამოყენების დაბლოკვის/შეზღუდვის ფუნქციის მქონე საინექციო მასალების გამოყენება და არასაკმარის მანიპულაციების რაოდენობის შემცირება³⁸.

- შეუმოწმებელი სისხლის და მისი პროდუქტების ტრანსფუზია;

1986 წლამდე ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით დონორთა სისხლის სავალდებულო გამოკვლევის შემოღებამდე, პოსტტრანსფუზიული C ჰეპატიტის პრევალენტობა მსოფლიოში 5-დან 13%-მდე მერყეობდა, ხოლო 1986 წლის შემდგომ იგი 0.6 – 3%-მდე შემცირდა³⁹.

³⁴ Trickey A, Fraser H, Lim AG, Peacock A, Colledge S, Walker JG et al. The contribution of injection drug use to hepatitis C virus transmission globally, regionally, and at country level: a modelling study. *Lancet Gastroenterol Hepatol*. 2019;4(6):435–44

³⁵ Pepin J, Abou Chakra CN, Pepin E, Nault V. Evolution of the global use of unsafe medical injections, 2000–2010. *PLoS one*. 2013;8(12):e80948]

³⁶ Pepin J, Abou Chakra CN, Pepin E, Nault V, Valiquette L. Evolution of the global burden of viral infections from unsafe medical injections, 2000–2010. *PLoS One*. 2014;9(6):e99677.

³⁷ Simonsen L, Kane A, Lloyd J, Zaffran M, Kane M. Unsafe injections in the developing world and transmission of bloodborne pathogens: a review. *Bull World Health Organ*. 1999;77(10):789–800.

³⁸ Janjua NZ, Butt ZA, Mahmood B, Altaf A. Towards safe injection practices for prevention of hepatitis C transmission in South Asia: challenges and progress. *World J Gastroenterol*. 2016;22(25):5837–52.

³⁹ Donahue JG, Muñoz A, Ness PM, Brown DE Jr, Yawn DH, McAllister HA Jr, Reitz BA, Nelson KE. The declining risk of post-transfusion hepatitis C virus infection. *N Engl J Med*. 1992 Aug 6;327(6):369-73. doi: 10.1056/NEJM199208063270601. PMID: 1320736.

- დაუცველი სქესობრივი კავშირით, რომელიც სისხლთან კონტაქტით ხასიათდება (მაგ., მსმ-ების შემთხვევაში. განსაკუთრებით იმ მსმ-ებში, რომლებიც აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის მიზნით ღებულობენ ექსპოზიციის წინა პროფილაქტიკურ მკურნალობას და ნაკლებად იყენებენ კონდომს).⁴⁰
- C ჰეპატიტის მქონე დედიდან შვილზე ვირუსის გადაცემის ალბათობა 4%-8%-ია. ახალშობილის ინფიცირება შესაძლებელია მოხდეს როგორც ორსულობის, ისე მშობიარობის დროს.

არ არსებობს არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ დედის რძით შესაძლებელია C ჰეპატიტის ვირუსის გადაცემა, ამიტომ ინფიცირებულ ქალებს შეუძლიათ უსაფრთხოდ გამოკვებონ ჩვილები. თუმცა, ქალებს, რომლებსაც აქვთ დაზიანებული, სისხლმდენი ძუძუს თავები, დროებით უნდა შეწყვიტონ ძუძუთი კვება, რადგან C ვირუსი ვრცელდება სისხლთან კონტაქტის გზით და არ არის დაასტურებული რამდენად უსაფრთხოა ეს პრაქტიკა.

თუ დედა ასევე ინფიცირებულია აივ-ით, დედიდან შვილზე C ჰეპატიტის ვირუსის გადაცემის რისკი 10.8-25%-მდე მატულობს⁴¹.

- საყურადღებოა, რომ C ჰეპატიტი შეიძლება ასევე გავრცელდეს **ტატუირებისა და პირსინგის გზით**⁴² ან

C ჰეპატიტის ვირუსის გადაცემა არ ხდება საკვებით, წყლით ან დაინფიცირებულ პირთან სოციალური კონტაქტებით, როგორცაა კოცნა, მოხვევა, საკვების, სასმელის გაზიარება.

მართალია, დაუზიანებელი კანი და ლორწოვანი გარსი ეფექტური ბარიერია ვირუსის საწინააღმდეგოდ, მაგრამ თუ მოხდა მათი დაზიანება სხვადასხვა ბასრი/მჭრელი საგნებით, რომლებიც შესაძლოა შეხებაში იყვნენ C ჰეპატიტით ინფიცირებულ

⁴⁰Danta M, Brown D, Bhagani S, Pybus OG, Sabin CA, Nelson M, et al. Recent epidemic of acute hepatitis C virus in HIV-positive men who have sex with men linked to high-risk sexual behaviours. *AIDS*. 2007;21(8):983–91.

⁴¹Benova L, Mohamoud YA, Calvert C, Abu-Raddad LJ. Vertical transmission of hepatitis C virus: systematic review and meta-analysis. *Clin Infect Dis*. 2014;59(6):765–73.

⁴²Jafari S, Copes R, Baharlou S, Etminan M, Buxton J. Tattooing and the risk of transmission of hepatitis C: a systematic review and meta-analysis. *Int J Infect Dis*. 2010;14(11):E928–E40.

სისხლთან, შეიძლება მოხდეს ინფექციის გადადება. ასეთი საგნები შეიძლება იყოს საპარსი, ფრჩხილების მაკრატელი, კბილის ჯაგრისი, გლუკომეტრი (თითოეულ ადამიანს უნდა ჰქონდეს საკუთარი გლუკომეტრი, აკრძალულია ვინმეს პირადი აპარატის გამოყენება). და სხვა ნივთები.

ცხრილში #1. მოცემულია C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებისთვის სარისკო ქცევები და მათთან დაკავშირებული რისკების შეფასება.

ცხრილი #1. C ჰეპატიტის ვირუსით დაინფიცირების რისკის შეფასება გადაცემის გზების მიხედვით


პოპულაცია/ გადაცემის გზები	რისკი
ნარტკოტიკების ინექციური მომხმარებლები (ნიმ-ები)	გლობალურად ნიმ-ების C ჰეპატიტის რისკი ყველაზე მაღალია და შეფასებულია როგორც 67%
დაინფიცირებული სისხლის და მისი პროდუქტების გადასხმა ან სამედიცინო მანიპულაციების დროს ინფექციის კონტროლის წესების დარღვევა	დაინფიცირების რისკი განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნებში და დამოკიდებულია ინვაზიური სამედიცინო მანიპულაციების სიხშირეზე და ინფექციის კონტროლის ზომების გატარებაზე. ქვეყნებში, სადაც ინექციების პრაქტიკა ხშირია და ინფექციის კონტროლი არ დგას სათანადო სიმძლავრეზე, C ჰეპატიტის პრევალენტობა მაღალია (მაგ. 2008 წელს 9.8% ეგვიპტეში)
დედიდან შვილზე C ჰეპატიტის ვირუსის გადაცემა	აივ ინფექციის არმქონე დედებიდან ახალშობილზე C ჰეპატიტის ვირუსის გადაცემის რისკი 4-8%-ია, ხოლო აივ ინფექციის მქონე დედიდან შვილზე გადაცემის რისკი -10.8-25%
სქესობრივი გზით გადაცემა	აივ ინფექციის არმქონე ჰეტეროსექსუალ და ჰომოსექსუალ წყვილებში C ჰეპატიტის გადაცემის რისკი არ არსებობს ან ძალიან მცირეა, თუმცა აივ ინფექციის მქონე პირებში შესაძლებელია C ჰეპატიტის გადაცემა დაუცველი სქესობრივი კავშირის გზით
აივ ინფექციის მქონე პირები	აივ ინფიცირებული პირები, განსაკუთრებით კი მსმ-ები არიან C ჰეპატიტის გავრცელების მაღალი რისკის ქვეშ დაუცველი სქესობრივი კავშირის შემთხვევაში
ტატუირება და პირსინგი	ტატუს მქონე პირებში C ჰეპატიტის გავრცელება უფრო მაღალია, ვიდრე ტატუს არმქონე პირებში (ფარდობითი რისკი 2,24, 95% CI 2.01-2,50)

C ჰეპატიტის ეპიდემიოლოგია

გავრცელება მსოფლიოში


C ჰეპატიტის ვირუსით ინფექცია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გვხვდება, თუმცა დაავადების გავრცელება განსხვავებულია ქვეყნებს შორის.

ჯანმოს 2021 წლის აივ ინფექცია/შიდსის, ვირუსული ჰეპატიტებისა და სვებიების პროგრესის ანგარიშის თანახმად, 2020 ბოლოსთვის მსოფლიო მასშტაბით სავარაუდოდ 15 მილიონმა ადამიანმა (C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციის მქონე სავარაუდო რაოდენობის (58 მილიონი) მხოლოდ 26%) იცოდა საკუთარი ინფექციის შესახებ და მხოლოდ 5 მილიონ ადამიანს ჰქონდა ჩატარებული მაღალეფექტური ანტივირუსული მკურნალობა პირდაპირი მოქმედების ანტივირუსული მედიკამენტებით. დაავადების ყველაზე მეტი შემთხვევა აღინიშნება ევროპისა და აღმოსავლეთი შუამდინარეთის რეგიონში - 12 მილიონი შემთხვევა, ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობა გამოვლენილი იქნა ამერიკის რეგიონში - 5 მილიონი შემთხვევა (სურათი #6)




სურათი #6. ქრონიკული C ჰეპატიტის გავრცელება მსოფლიოში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეგიონების მიხედვით, 2019 წ.

2019 წელს მსოფლიო მასშტაბით აღინიშნებოდა C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციის 1.2 მილიონი ახალი შემთხვევა, მათ შორის ახალი ინფექციების ყველაზე მეტი შემთხვევა კვლავ გამოვლენილი იქნა აღმოსავლეთი შუამდინარეთის რეგიონში - 470,000 ახალი შემთხვევა და ევროპის რეგიონში - 300,000 ახალი შემთხვევა, ყველაზე მცირე რაოდენობა - 67,000 გამოვლენილი იქნა ამერიკის რეგიონში (სურათი #7).



სურათი #7. ქრონიკული C ჰეპატიტის ახალი შემთხვევების რაოდენობა მსოფლიოში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეგიონების მიხედვით, 2019 წ.

**2019 წლის ბოლოს ჯანმოს რეგიონებში
C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მხრივ არსებული
მიღწევები**



სურათი #8. C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობაში არსებული მიღწევები ჯანმოს რეგიონებში 2019 წლის ბოლოს (წყარო: *Global progress report on HIV, viral hepatitis and sexually transmitted infections, 2021*)


2019 წლის ბოლოს მსოფლიოში C ჰეპატიტის ვირუსით ქრონიკული ინფექციის მხოლოდ 21 პროცენტი იყო გამოვლენილი და მათგან 13% ჩაერთო მკურნალობის პროგრამაში. დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მხრივ წამყვანი პოზიცია უკავია აღმოსავლეთ შუამდინარეთის რეგიონს, სადაც ინფიცირებულთა 37% იქნა გამოვლენილი და 33% ჩაერთო მკურნალობის პროგრამაში. ინფექციის შემთხვევების ყველაზე დაბალი გამოვლენა აღინიშნება აფრიკის რეგიონში, სადაც სავარაუდო პაციენტების მხოლოდ 5% იყო გამოვლენილი და 0% ნამკურნალები. ევროპის რეგიონი დაავადების შემთხვევების დიაგნოსტიკის მხრივ 24%-ით მესამე ადგილზეა, თუმცა მკურნალობაში ჩართვის პროცენტი ერთ-ერთი ყველაზე დაბალია. ევროპის რეგიონში ქრონიკული C ჰეპატიტის მქონე პირთა მხოლოდ 8% ჩაერთო მკურნალობის პროგრამაში⁴³ (სურათი #8).

სავარაუდოდ, ჰეპატიტებით გამოწვეული სიკვდილობის დაახლოებით 48% მოდის C ჰეპატიტით გამოწვეულ სიკვდილობაზე. სურათზე #9 წარმოდგენილია 2030 წლისთვის B და C ჰეპატიტების ელიმინაციისთვის საჭირო მოდელირებული

⁴³ Global progress report on HIV, viral hepatitis and sexually transmitted infections, 2021

პროგრესის ამსახველი გრაფიკები. როგორც 2019 წლის მაჩვენებლებიდან ჩანს - 3 მილიონი ახალი შემთხვევა და 1,1 მილიონი სიკვდილობა, მსოფლიო მასშტაბით განსაკუთრებით დიდი გამოწვევა იქნება ჰეპატიტების ახალი შემთხვევების შემცირება 2030 წლისთვის⁴⁴.

2030 წლისთვის ჰეპატიტების ელიმინაციის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სამიზნეები



სურათი #9. B და C ჰეპატიტების ელიმინაციისთვის პროგრესი 2019 წლის ბოლოს და 2030 წლის სამიზნეების მიღწევის მოდელირება (წყარო: Global Burden of Disease and WHO/UNAIDS estimates)

C ჰეპატიტის გავრცელება საქართველოში

საქართველოს მთელ მოსახლეობაში C ჰეპატიტის გავრცელების პირველი კვლევა ჯერ კიდევ 2001-2002 წლებში ჩატარდა, რომლის ფარგლებში შესწავლილი იქნა ქ. თბილისის მოზრდილ მოსახლეობაში C ჰეპატიტის პრევალენტობა და შეფასებული იქნა ინფექციის გავრცელების ხელშემწყობი რიკს-ფაქტორები. აღნიშნული კვლევის

⁴⁴Global Burden of Disease and WHO/UNAIDS estimates <http://ihmeuw.org/3pms>, <http://ihmeuw.org/3pmt>

თანახმად, ქ. თბილისის მოზრდილ მოსახლეობაში C ჰეპატიტის ვირუსის ანტისხეულების პრევალენტობამ შეადგინა 6.7%, ხოლო კვლევის იმ მონაწილეთა შორის, ვინც დაადასტურა ნარკოტიკების ინექციური გზით მოხმარება, ვირუსის ანტისხეულების პრევალენტობამ შეადგინა 84.4%⁴⁵.

2001 წელსვე ჩატარებულმა დონორული სისხლის ნიმუშების კვლევამ (გამოკვლეული სისხლის დონაციების რაოდენობა N=4970) ასევე დაადასტურა ქვეყანაში C ჰეპატიტის გავრცელების მაღალი მაჩვენებელი. კერძოდ, სისხლის დონორთა შორის C ჰეპატიტის ვირუსის ანტისხეულების პრევალენტობამ შეადგინა 7.3%, რომელთაგან 6.9% იყო დადასტურებული კონფირმაციული ლაბორატორიული ტესტით (RIBA - რეკომბინანტ იმუნობლოტინგის ტესტი)⁴⁶.

საქართველოში C ჰეპატიტის გავრცელების საყურადღებო მაჩვენებელი - ვირუსის ანტისხეულების 5%-იანი პრევალენტობა ასევე დაფიქსირდა ჯანდაცვის მუშაკებს შორის 2006 წელს ჩატარებული კვლევის ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1386 ჯანდაცვის მუშაკმა.⁴⁷

საქართველოში ქრონიკული C ჰეპატიტით ავადობის მაღალი ტვირთის განმსაზღვრელი მიზეზები სათანადოდ არ არის შესწავლილი. ერთ-ერთი ფაქტორი შესაძლოა იყოს 90-იან წლებში ჯანდაცვის სისტემის კოლაფსის ფონზე მიწოდებული სამედიცინო მომსახურების დაბალი ხარისხი, მათ შორის უსაფრთხო სამედიცინო მანიპულაციების პრაქტიკის დანერგვის მხრივ შექმნილი სირთულეები.

მიზეზებს შორის უნდა დასახელდეს სამედიცინო დაწესებულებებში წლების მანძილზე ინფექციის კონტროლის სათანადო სისტემების და უსაფრთხო სისხლის სახელმწიფო პროგრამების არარსებობაც. ყველა ეს პრობლემა, ნარკოტიკების

⁴⁵Stvilia K, Tsertsvadze T, Sharvadze L, Aladashvili M, del Rio C, Kuniholm MH, Nelson KE. Prevalence of hepatitis C, HIV, and risk behaviors for blood-borne infections: a population-based survey of the adult population of Tbilisi, Republic of Georgia. J Urban Health. 2006 Mar; 83 (2):289-98.

⁴⁶Butsashvili M, Tsertsvadze T, McNutt LA, Kamkamidze G, Gvetadze R, Badridze N. Prevalence of hepatitis B, hepatitis C, syphilis and HIV in Georgian blood donors. Eur J Epidemiol. 2001;17(7):693-5.

⁴⁷Butsashvili M, Kamkamidze G, Kajaia M, Morse DL, Triner W, Dehovitz J, McNutt LA. Occupational exposure to body fluids among health care workers in Georgia. Occup Med (Lond). 2012; 62:620-626.

ინექციურ მომხმარებელთა შორის შპრიცების გაზიარების პრაქტიკასთან ერთად, განაპირობებდა საქართველოში C ჰეპატიტის მაღალ გავრცელებას მთლიან პოპულაციაში.

2015 წელს ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულმა C ჰეპატიტის კვლევამ კვლავ დაადასტურა, რომ ბოლო ათეული წლის მანძილზე მნიშვნელოვნად არ შეცვლილა ამ დაავადების გავრცელება საქართველოში. კერძოდ, 2015 წლის კვლევის ფარგლებში C ჰეპატიტის ვირუსის ანტისხეულების პრევალენტობამ შეადგინა 7.7%, ხოლო მათგან აქტიური ინფექციის პრევალენტობამ 5.4%, რაც მოზრდილი მოსახლეობის რაოდენობაზე გადაანგარიშებით 150,000-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში C ჰეპატიტის პრევალენტობის მაჩვენებელი აღემატება აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნების მაჩვენებელს, გამონაკლისია უკრაინა და უზბეკეთი, სადაც აღნიშნული დაავადების გავრცელება 6.5% და 8%-ია შესაბამისად (9).

2015-2016 წლის მოსახლეობის კვლევის მიხედვით, C ჰეპატიტის აქტიური ფორმის მქონე პირთა 38.2%-მა აღნიშნა ნარკოტიკების ინტრავენური გზით მოხმარების, ხოლო 19.7%-მა კი – სისხლის გადასხმის გამოცდილება. საყურადღებოა, რომ კვლევაში მონაწილე C ჰეპატიტის მქონე პირთა თითქმის ნახევარმა (46.7%) ვერ დაუკავშირა საკუთარი დაინფიცირება რაიმე რისკ ფაქტორს⁴⁸.

ცხრილში #2 მოცემულია სხვადასხვა პოპულაციაში C ჰეპატიტის გავრცელების კვლევების შედეგები საქართველოში 1998 წლიდან 2015 წლის ჩათვლით.

⁴⁸ Prevalence and genotype distribution of hepatitis C virus in Georgia: a 2015 nationwide population-based survey. D. Baliashvili, A. Kasradze, G. Kuchukhidze, S. Salyer, A. Gamkrelidze, K. Zakhshvili, M. Alkhazashvili, G. Chanturia, N. Chitadze, R. Sukhiashvili, M. Shakhnazarova, P. Imnadze, J. Drobeniuc, C. Blanton, S. Russell, J. Morgan, F. Averhoff, L. Hagan, DOI: [https://doi.org/10.1016/S0168-8278\(17\)30870-X](https://doi.org/10.1016/S0168-8278(17)30870-X)

ცხრილი #2: C ჰეპატიტის გავრცელება სხვადასხვა პოპულაციაში საქართველოში⁴⁹

სამიზნე ჯგუფი	პრევალენტობა	წყარო
მთელი პოპულაცია		
კვლევები სისხლის დონორთა შორის	7.3%	სისხლის დონორები, თბილისი 1998
	7.8%	სისხლის დონორები, თბილისი, ბათუმი, ფოთი 1997-1999
	2%	„უსაფრთხო სისხლი“, საქართველოს სახელმწიფო პროგრამა, 2012
პოპულაციური კვლევა	6.7%	პოპულაციური კვლევა, თბილისი 2000-2002
მაღალი რისკის ჯგუფები		
ნიმ	63%	ინექციური გზით ნარკოტიკების ოდესმე მომხმარებელი, 1999 (თბილისი, ბათუმი, ფოთი)
	70%	ინექციური გზით ნარკოტიკების ოდესმე მომხმარებელი, 2002 (თბილისი)
	50%	ნიმ, 2006-2012 (საქართველოს ზიანის შემცირების ქსელი)
	66.2%	ნიმ, 2012 (BSS, საერთაშორისო ფონდი კურაციო)
აივ-ინფიცირებული ნიმ	73.4%	Chkhartishvili N et al 2014
სხვა		
სგგდ პაციენტი	11.3%	Tsertsvadze, 2008
ტუბერკულოზით დაავადებული	21%	Lomtadze et al. 2013
მსმ - თბილისი	7.1%	მსმ-ებს შორის ქცევითი ზედამხედველობის კვლევა, თბილისი, საქართველო, 2015
მსმ - ბათუმი	18.9%	მსმ-ებს შორის ქცევითი ზედამხედველობის კვლევა, ბათუმი, საქართველო, 2015

⁴⁹ საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის 2016-2020 წლების ეროვნული სტრატეგია

C ჰეპატიტის გავრცელება აივ ინფიცირებულ პირებში

C ჰეპატიტის გავრცელება ერთ-ერთი ყველაზე მაღალია აივ ინფიცირებულ პირებში, რომელთა სავარაუდო რაოდენობა მსოფლიოში 37 მილიონს აღწევს. მართალია, არ არის ცნობილი გლობალურად აივ ინფიცირებული პირებიდან რამდენია C ჰეპატიტის ვირუსის ანტისხეულების მტარებელი, თუმცა 2001 წლიდან 2015 წლის ჩათვლით გამოქვეყნებული კვლევების მეტაანალიზის საფუძველზე გაკეთებული შეფასებით მსოფლიოში დაახლოებით 2.3 მილიონი ადამიანი ცხოვრობს აივ და C ჰეპატიტის ვირუსებით კო-ინფექციით, მათგან დიდი უმრავლესობა (61%) ამავე დროს არის ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელი. აივ ინფიცირებულ მსმ-ებში C ჰეპატიტის ვირუსის ანტისხეულების გავრცელებამ 6.4%-ი შეადგინა. აივ ინფიცირების უცნობი გზის შემთხვევაში კი კო-ინფექციის პროცენტი არ აღემატება 2.4%-ს⁵⁰.

საქართველოში ყველა ახალ რეგისტრირებულ აივ ინფიცირებულ პაციენტს რუტინულად უტარდება C ჰეპატიტის ვირუსის ანტისხეულებზე ლაბორატორიული კვლევა. რეაქტიული ტესტის პასუხის მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომია C ჰეპატიტის ვირუსის კონფირმაციული კვლევა და, აქტიური ინფექციის დადასტურების შემთხვევაში, უფასო მკურნალობა C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

2019 წელს ჩატარებული რეტროსპექტული კვლევის თანახმად, რომელშიც 2004-2016 წლებში რეგისტრირებული 4560 აივ ინფიცირებული პაციენტის მონაცემი იქნა გამოყენებული, C ჰეპატიტის ვირუსის ანტისხეულები აღმოაჩნდა აივ ინფიცირებულთა 45.1%-ს. 2011 წლამდე, C ჰეპატიტის მკურნალობის ეფექტიანი შესაძლებლობების არსებობამდე C ჰეპატიტის ვირუსით ინფექცია აივ ინფიცირებულთა სიკვდილობის ერთ-ერთი მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენდა. ჯერ პეგილირებული ინტერფერონით, და შემდეგ კი პირდაპირი მოქმედების

⁵⁰ Platt L, Easterbrook P, Gower E, McDonald B, Sabin K, McGowan C, Yanny I, Razavi H, Vickerman P. Prevalence and burden of HCV co-infection in people living with HIV: a global systematic review and meta-analysis. *Lancet Infect Dis.* 2016 Jul;16(7):797-808.

ანტივირუსული მედიკამენტებით მკურნალობის ფონზე აღნიშნული სიკვდილობის მაჩვენებელმა იკლო 2.11-დან 0.79-მდე ყოველ 100 ადამიანი წელიწადში⁵¹. მნიშვნელოვანია, რომ 2019 წელს აღნიშნული ჯგუფი გამოცხადდა ერთ-ერთ პრიორიტეტულ პოპულაციად ქვეყანაში C ჰეპატიტის მიკროელიმინაციის მისაღწევად.

C ჰეპატიტის გავრცელება პატიმრებში

საერთაშორისო კვლევების მიხედვით, პატიმრებში საკმაოდ მაღალია C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციის გავრცელება. არსებული მონაცემებით, მსოფლიოში ყოველი მეოთხე პატიმარი C ჰეპატიტის ვირუსით არის ინფიცირებული⁵². როგორც 2018 წელს გამოქვეყნებულმა მეტანალიზმა აჩვენა, რომელიც ეფუძნებოდა 2000-2017 წლებში ავსტრალიის, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის და აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მასალებზე გამოქვეყნებულ 20-ზე მეტ სამეცნიერო სტატიას, განსაკუთრებით მაღალია C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირების რისკი პატიმრობის ინტორიის მქონე ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში, კერძოდ დაინფიცირების რისკმა ამ შემთხვევაში 21% შეადგინა (RR 1/21)⁵³.

საქართველოში 2013-2015 წლებში 13500 პატიმარს შორის ჩატარებული კვლევის თანახმად, C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების გავრცელებამ

⁵¹ Chkhartishvili N, Bolokadze N, Rukhadze N, et al. Impact of hepatitis C virus antibody positivity on mortality and causes of death in people living with HIV in Georgia. *International Journal of STD & AIDS*. 2019;30(12):1185-1193.

⁵² Larney S, Kopinski H, Beckwith CG, Zaller ND, Jarlais DD, Hagan H et al. Incidence and prevalence of hepatitis C in prisons and other closed settings: results of a systematic review and meta-analysis. *Hepatology*. 2013; 58(4):1215–24

⁵³ Stone J, Fraser H, Lim AG, Walker JG, Ward Z, MacGregor L, Trickey A, Abbott S, Strathdee SA, Abramovitz D, Maher L, Iversen J, Bruneau J, Zang G, Garfein RS, Yen YF, Azim T8, Mehta SH, Milloy MJ, Hellard ME, Sacks-Davis R, Dietze PM, Aitken C, Aladashvili M, Tsertsvadze T, Mravčik V, Alary M, Roy E, Smyrnov P, Sazonova Y, Young AM, Havens JR, Hope VD, Desai M, Heinsbroek E, Hutchinson SJ, Palmateer NE, McAuley A, Platt L, Martin NK, Altice FL, Hickman M, Vickerman P., Incarceration history and risk of HIV and hepatitis C virus acquisition among people who inject drugs: a systematic review and meta-analysis. *Lancet Infect Dis*. 2018 Dec;18(12):1397- 1409.

პატიმრებში 38% შეადგინა⁵⁴. მათგან 3840 (74%) გამოკვლეული იყო კონფირმაციული რნმ ტესტირებით და აქტიური ინფექცია დაუდასტურდა 2730 (71%) პატიმარს. მკურნალობის ჩვენება ამ პერიოდისთვის არსებული ალგორითმის მიხედვით ჰქონდა 880 (32.2%) პატიმარს, მკურნალობაში ჩაერთო 585 პატიმარი (66%).

C ჰეპატიტის გავრცელება ნარკოტიკების მომხმარებლებს შორის

2018 წლის მონაცემებით, მსოფლიოში 15-64 წლამდე ასაკის პირთა შორის ნარკოტიკების მომხმარებელთა სავარაუდო რიცხვი (იმ პირების რაოდენობა, ვინც 2018 წელს ერთხელ მაინც მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება) 269 მილიონს შეადგენდა, რაც პლანეტის მთელი მოსახლეობის დახლოებით 5.4%-ია⁵⁵. მათგან 53 მილიონი მოიხმარდა ოპიოიდების ჯგუფის ნარკოტიკებს, 29 მილიონი - ოპიატებს და ამფეტამინის ჯგუფის საშუალებებს ან სტიმულანტებს. ამავე წლის მონაცემებით, მსოფლიოში პრობლემური ნარკოტიკების მომხმარებელთა (ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებული პირები) სავარაუდო რაოდენობა იყო 35.6 მილიონი⁵⁶. ამ მხრივ ყველაზე მძიმე სიტუაცია აღინიშნება აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ევროპის, ასევე ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, სადაც 2018 წელს 15-64 წლამდე პოპულაციის წარმომადგენლებში ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებელთა წილი 4-ჯერ უფრო მაღალი იყო, ვიდრე მსოფლიო საშუალო მაჩვენებელი⁵⁷.

⁵⁴ Harris, A.M., Chokoshvili, O., Biddle, J. *et al.* An evaluation of the hepatitis C testing, care and treatment program in the country of Georgia's corrections system, December 2013 – April 2015. *BMC Public Health* **19**, 466 (2019). <https://doi.org/10.1186/s12889-019-6783-4>

⁵⁵United Nations Office for Drugs and Crime. World Drug Report 2020, Drug Use and Health Consequences, United Nations Office for Drugs and Crime, 2020. https://wdr.unodc.org/wdr2020/field/WDR20_Booklet_2.pdf [Accessed on February 22, 2021]

⁵⁶The Joint United Nations Programme on HIV/AIDS (UNAIDS). Miles to Go: Closing Gaps, Breaking Barriers, Righting Injustices, UNAIDS, 2018. <https://www.unaids.org/en/resources/documents/2018/global-aids-update> [Accessed on August 12, 2020]

⁵⁷European Monitoring Center for Drugs and Drug Addiction (EMCDDA), European Drug Report 2019: Trends and Developments (Luxembourg, Publications Office of the European Union, 2019). https://www.emcdda.europa.eu/system/files/publications/11364/20191724_TDAT19001ENN_PDF.pdf [Accessed on August 12, 2020]

გლობალურად, C ჰეპატიტის გავრცელება მაღალია ნარკოტიკების აქტიურ მომხმარებლებსა და იმ პირებში, რომლებიც ოდესმე მოიხმარდნენ ნარკოტიკულ საშუალებებს.

აღნიშნული პოპულაციის დაახლოებით ნახევარი ცხოვრობს C ჰეპატიტის ვირუსული ინფექციით, ხოლო ყოველი მერვე ინფიცირებულია აივ-ით⁵⁸.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (ჯანმო) რეკომენდაციას უწევს ფარმაკოლოგიურ ჩანაცვლებით თერაპიას, რომლის ფარგლებში ოპიოიდური ნარკოტიკული საშუალებების ჩანაცვლება ხდება მეთადონით ან ბუპრენორფინით. ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, ჩანაცვლებითი თერაპია უკვე გახდა ნარკოდამოკიდებულების მკურნალობის წამყვანი ინტერვენცია⁵⁹.

საერთაშორისო კვლევები ადასტურებს, რომ ჩანაცვლებით თერაპიაში პაციენტების დაყოვნებას დადებითი გავლენა აქვს C ჰეპატიტის მკურნალობის გამოსავალზე. რაც უფრო ხანგრძლივია ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში პაციენტის ჩართულობა, მით უფრო მაღალია C ჰეპატიტის წარმატებული მკურნალობისა და განკურნების ალბათობა ⁶⁰.

⁵⁸United Nations Office for Drugs and Crime. World Drug Report 2020, Drug Use and Health Consequences, United Nations Office for Drugs and Crime, 2020. https://wdr.unodc.org/wdr2020/field/WDR20_Booklet_2.pdf [Accessed on February 22, 2021]

-The Joint United Nations Programme on HIV/AIDS (UNAIDS). Miles to Go: Closing Gaps, Breaking Barriers, Righting Injustices, UNAIDS, 2018. <https://www.unaids.org/en/resources/documents/2018/global-aids-update>[Accessed on August 12, 2020]

⁵⁹World Health Organization (WHO) and United Nations Office on Drugs and Crime (UNODC). International Standards for the Treatment of Drug Use Disorders: revised edition incorporating results of field-testing. World Health Organization (WHO) and United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), 2020.

<https://www.unodc.org/documents/drug-prevention-and-treatment/UNODC>[Accessed on August 12, 2020]

- World Health Organization, Guidelines for the Psychosocially Assisted Pharmacological Treatment of Opioid Dependence, World Health Organization, 2009. https://www.who.int/substance_abuse/publications/Opioid_dependence_guidelines.pdf [Accessed on August 12, 2020]

1. ⁶⁰Jason Grebely, and Gregory J. Dore, Clinical, Treatment of HCV in Persons Who Inject Drugs: Treatment as Prevention Liver Disease – A multimedia review journal, 20 April, 2017. <https://aasldpubs.onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.1002/cld.626> [Accessed on August 20, 2020]
2. Grebely J, Robaeys G, Bruggmann P, Aghemo A, Backmund M, Bruneau J, et al. Recommendations for the management of hepatitis C virus infection among people who inject drugs. Int J Drug Policy 2015;26:1028-1038.
3. American Association for the Study of Liver Diseases and the Infectious Diseases Society of America. Recommendations for testing, managing, and treating hepatitis C. 2015. Available from: <http://www.hcvguidelines.org/> [Accessed on October 1, 2020]

C ჰეპატიტის გავრცელება ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებს შორის საქართველოში

ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც C ჰეპატიტის გავრცელების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სხვადასხვა წელს ჩატარებული კვლევების ფარგლებში გამოვლინდა ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებს შორის. აღნიშნულ ჯგუფში ინფექციის გავრცელების შეფასება გარკვეული პერიოდულობით ხდება პოპულაციის ზომის შეფასების განმეორებითი კვლევების (ქვეყანაში პრობლემური ნარკოტიკების მომხმარებელთა ზომის/რაოდენობის შეფასების მიზნით) და ინტეგრირებული ბიომარკერების პრევალენტობისა და სარისკო ქცევების შესწავლის კვლევების (IBBSS - Integrated Behavior and Biomarker Surveillance Survey) გამოყენებით. როგორც წესი, აღნიშნული კვლევები ჩვენს ქვეყანაში ორ წელიწადში ერთხელ ხორციელდება. ბოლო კვლევა ჩატარებული იქნა საქართველოს 6 დიდ ქალაქში 2017 წელს, რომლის შეფასებით საქართველოში პრობლემური ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვმა შეადგინა 52,500, მათ შორის 31% (დაახლოებით 16,000) იყო დამოკიდებული ოპიოიდების ჯგუფის ნარკოტიკულ საშუალებებზე და წარმოადგენდა მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის მიზნობრივ პოპულაციას. C ჰეპატიტის ვირუსის ანტისხეულების პრევალენტობა ნიმ-ებში აღნიშნულ 6 ქალაქში მერყეობდა 48.8%-სა და 63.1%-ს შორის. საყურადღებოა, რომ 2017 წლის კვლევის თანახმად, C ჰეპატიტის ვირუსის ანტისხეულების მაღალი

-
4. European Association for the Study of the Liver. EASL Recommendations on Treatment of Hepatitis C 2015. *J Hepatol* 2015;63:199-236.
 5. Guidelines for the care and treatment of persons diagnosed with chronic hepatitis C virus infection. Geneva: World Health Organization; 2018. Licence: CC BY-NC-SA 3.0 IGO. https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/111747/9789241548755_eng.pdf;jsessionid=64228297263D65E6FA8DA4458BBB048F?sequence=1 [Accessed on August 20, 2020]
 6. Hagan, H., Pouget, E. and Des Jarlais, D., 'A systematic review and meta-analysis of interventions to prevent hepatitis C virus infection in people who inject drugs', *The Journal of Infectious Diseases* 2011; 204, pp. 74–83.
 7. Turner, K., Hutchinson, S., Vickerman, P. et al., 'The impact of needle and syringe provision and opiate substitution therapy on the incidence of hepatitis C virus in injecting drug users: pooling of UK evidence', 2011; *Addiction* 106, pp. 1978–1988.
 8. Platt L Minozzi S Reed J et al. Needle syringe programmes and opioid substitution therapy for preventing HCV transmission among people who inject drugs: findings from a Cochrane Review and meta-analysis. *Addiction*. 2017; 113: 545-563

პროცენტული მაჩვენებლის ფონზე საკმაოდ დაბალი იყო აივ ინფექციის პრევალენტობა, რომელიც არ აღემატებოდა 2.3% (95% CI 1.63-3.12)^{61 62}.

C ჰეპატიტის გავრცელება ნარკოტიკების არაინექციურ მომხმარებლებს შორის

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი და საკმარისად რეპრეზენტატიული კვლევა არ არის ჩატარებული C ჰეპატიტის გავრცელების შესწავლის მიზნით ნარკოტიკების არაინექციურ მომხმარებლებს შორის, მაინც არსებობს მოსაზრება, რომ C ჰეპატიტის რისკი უფრო მაღალია ნარკოტიკების არაინექციურ მომხმარებლებს შორის ზოგად მოსახლეობასთან შედარებით. ეს შესაძლებელია უკავშირდებოდეს არაინექციური ნარკოტიკების მოხმარების დროს გამოყენებული ზიარი საყნოსი ჩხირების მოხმარებას და/ან აღნიშნული ტიპის ნარკოტიკების მოხმარების დროს დაუცველი სქესობრივი კავშირების ხშირ პრაქტიკას^{63 64}. მსოფლიოში, არაინექციური ე.წ. კლუბური ნარკოტიკებისა და სტიმულანტების მოხმარების მნიშვნელოვან ზრდასთან ერთად, აქტუალური ხდება C ჰეპატიტის რისკის, პრევალენტობისა და ინციდენტობის შეფასება ნარკოტიკების მომხმარებელთა ამ ქვეპოპულაციაში, რაც სამომავლო კვლევების საგანს წარმოადგენს.

C ჰეპატიტის გავრცელება მსმ-ებში

ჯანმოს მიერ 2020 წელს გამოქვეყნებული სისტემატიზირებული მეტა-ანალიზის ანგარიშის თანახმად, C ჰეპატიტის გავრცელება ასევე მაღალია მსმ-ებში.

⁶¹Curatio International Foundation, Bio-Behavioral Surveillance survey among People Who Inject Drugs in seven cities of Georgia, Curatio International Foundation, 2017. <http://curatiofoundation.org/wp-content/uploads/2018/02/PWID-IBBS-Report-2017-ENG.pdf>.

⁶²Population Size Estimation of People who Inject Drugs in Georgia 2016-2017, Curatio International Foundation, 2018. <http://curatiofoundation.org/wp-content/uploads/2018/02/PWID-PSE-Report-2017-ENG.pdf>

⁶³McMahon JM, Tortu S. A potential hidden source of hepatitis C infection among noninjecting drug users. J Psychoactive Drugs. 2003 Oct-Dec;35(4):455-60. doi: 10.1080/02791072.2003.10400492. PMID: 14986874.

⁶⁴van den Berg CH, van de Laar TJ, Kok A, Zuure FR, Coutinho RA, Prins M. Never injected, but hepatitis C virus-infected: a study among self-declared never-injecting drug users from the Amsterdam Cohort Studies. J Viral Hepat. 2009;16(8):568-577. doi:10.1111/j.1365-2893.2009.01105.

კერძოდ, ანალიზის კრიტერიუმების დამაკმაყოფილებელი 194 კვლევის შედეგების შეჯამების საფუძველზე შეფასებული ვირუსის ანტისხეულების გავრცელებამ მსმ-პოპულაციაში 3.4% (95% CI: 2.8-4.0) შეადგინა. C ჰეპატიტის პრევალენტობა განსაკუთრებით მაღალი 6.3% (95% CI: 5.3-7.5) იყო აივ კო-ინფექციის მქონე მსმ-ებში, მაშინ, როცა აღნიშნული მაჩვენებელი მხოლოდ 1.5% (95% CI: 1.0-2.1) იყო აივ უარყოფითი სტატუსის მქონე მსმ-ებში. როგორც ცნობილია, მსმ პოპულაციაში გავრცელებულია ნარკოტიკების როგორც ინექციური, ისე არაინექციური გზით მოხმარებაც. სისტემატიზირებული ანალიზის ანგარიშის თანახმად, C ჰეპატიტის გავრცელება ინექციური ნარკოტიკების მოხმარებელ მსმ-ებს შორის 45.6% იყო (95% CI: 21.6 – 70.7), წარსულში ასეთი ქცევის ისტორიის მქონე პირებში კი - 30.2%, (95% CI: 22.0-39.0), განსხვავებით 2.7%-სა (95% CI: 2.0-3.6) იმ მსმ-ებს შორის, ვისაც არასდროს მოუხმარია ნარკოტიკი ინექციური გზით. მეტა-ანალიზის ფარგლებში, ასევე შესწავლილი იქნა 46 კვლევა მსმ ჯგუფში C ჰეპატიტის ინციდენტობის შესაფასებლად. ანალიზის თანახმად, მსმ-ებში დაავადების ინციდენტობა 8.46-ია (95%CI: 6.78-10.32) 1,000 ადამიანი-წელიწადში. აღნიშნული მაჩვენებელი აღმოჩნდა 14.80 (95% CI: 9.65-20.95) 1,000 ადამიანი-წელიწადში იმ მსმ-ებს შორის, ვინც ჩართული იყო აივ ინფექციის მედიკამენტოზური პრევენციის (PrEP) პროგრამაში და კონდომის გამოყენების დაბალი კულტურით ხასიათდებოდა. ბოლო მონაცემის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მსმ-ებში, განსაკუთრებით კი PrEP პროგრამაში ჩართულ პირებში, C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციაზე რუტინული ტესტირების პროგრამების განხორციელება და მათთვის დაავადების მკურნალობაზე მაღალი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა⁶⁵.

C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციის პრევენცია

პირველადი პრევენცია

სამწუხაროდ, არ არსებობს C ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინა და შესაბამისად, დაავადების პრევენცია დამოკიდებულია სამედიცინო

⁶⁵ Prevalence and incidence of hepatitis C virus infection in men who have sex with men: a systematic review and meta-analysis. The Lancet Gastroenterology & Hepatology, ISSN: 2468-1253, Vol: 6, Issue: 1, Page: 39-56, Publication Year 2021 [Prevalence and incidence of hepatitis C virus infection in men who have sex with men: a systematic review and meta-analysis - The Lancet Gastroenterology & Hepatology](#)

დაწესებულებებში ინფექციის კონტროლის ზომების კეთილსინდისიერ შესრულებასა და მაღალი რისკის პირებში, როგორებიცაა ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლები და მსმ-ები (განსაკუთრებით ის პირები, რომლებიც აივ ინფექციის პრევენციის მიზნით ჩართული არიან ექსპოზიციის წინა არვ პროფილაქტიკურ (PreP) მკურნალობაში), სარისკო ქცევის შეცვლაზე. ანუ ყურადღება უნდა გამახვილდეს ვირუსით დაბინძურებულ მასალასთან შეხების ან ვირუსის მატარებელ ადამიანთან დაუცველი სქესობრივი კონტაქტის პრევენციის საკითხებზე.

პირველადი პრევენციის ღონისძიებებს მიეკუთვნება:

- ❖ სამედიცინო მანიპულაციების, ინექციების უსაფრთხოება და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში განხორციელება;
- ❖ სამედიცინო ნარჩენების, შპრიცებისა და ნემსების, სხვა მჭრელი/მჩხვლეტავი მასალის უსაფრთხო გაუვნებლება და გადაყრა;
- ❖ ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირების პროგრამების განხორციელება, მათ შორის ნიმ-ებისთვის სტერილური/ერთჯერადი საინექციო მასალის მიწოდება და წამალდამოკიდებულების მკურნალობის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ❖ დონორთა სისხლის ტესტირება B და C ვირუსულ ჰეპატიტებზე, (ასევე აივ ინფექციასა და სიფილისზე);
- ❖ სამედიცინო პერსონალის ტრენინგი უსაფრთხო მანიპულაციების და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ;
- ❖ სქესობრივი კავშირის დროს სისხლთან შეხების პრევენცია, კონდომის გამოყენება.

ცხრილებში ##3, 4 და 5 მოცემულია ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, გაეროს შიდსის პროგრამისა (UNADIS) და გაეროს ნარკოტიკული საშუალებებით გამოწვეული დაავადებების და დანაშაულის ოფისის (UNODC) მიერ მოწოდებული ნარკოტიკების მოხმარებასთან და დაუცველ სქესობრივ კავშირებთან დაკავშირებული დაავადების რისკის თავიდან აცილებისთვის პირველადი პრევენციის ღონისძიებების დეტალური ჩამონათვალი.

მეორეული პრევენცია

იმ პირებისთვის, ვინც უკვე ინფიცირებულია C ჰეპატიტის ვირუსით, ჯანმოს რეკომენდაციით, უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- ❖ პაციენტის ინფორმირება/განათლება დაავადების მოვლის და მკურნალობის მხრივ არსებულ შესაძლებლობებზე;
- ❖ პაციენტების ვაქცინაცია A და B ვირუსულ ჰეპატიტებზე, მათი ღვიძლის დაცვის მიზნით;
- ❖ მკურნალობის, მათ შორის - ანტივირუსული თერაპიის ადრეული დაწყება;
- ❖ რეგულარული მონიტორინგი ქრონიკული დაავადების ადრეულ სტადიაზე დიაგნოსტიკის მიზნით.

წყარო: WHO Key Facts on hepatitis C, July 27, 2020 <https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/hepatitis-c>

ცხრილი #3. WHO/UNODC/UNAIDS -ის მიერ რეკომენდირებული აივ ინფექცია/შიდსისა და ვირუსული ჰეპატიტების პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის კომპლექსური პაკეტი ნიმ-ებისთვის

1. სტერილური საინექციო მასალის, მათ შორის შპრიცისა და ნემსის დისტრიბუცია
2. ოპიოიდური ჩანაცვლებითი თერაპია და წამალდამოკიდებულების მკურნალობის მომსახურება
3. აივ ტესტირება და კონსულტირება
4. აივ ინფექცია/შიდსის ანტივირუსული მკურნალობა
5. სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენცია და მკურნალობა
6. კონდომების დისტრიბუცია ნიმ-ებისა და მათი პარტნიორებისათვის
7. მიზნობრივი საინფორმაციო და საგანმანათლებლო კომუნიკაცია ნიმ-ის და მათი პარტნიორებისათვის
8. ვირუსული ჰეპატიტების პრევენცია და ვაქცინაცია, დიაგნოსტიკა და მკურნალობა
9. ტუბერკულოზის პრევენცია, დიაგნოსტიკა და მკურნალობა

წყარო: UNAIDS: Joint United Nations Programme on HIV/AIDS; UNODC: United Nations Office on Drugs and Crime Source: WHO, UNODC, UNAIDS. Technical guide for countries to set targets for universal access to HIV prevention, treatment and care for injecting drug users. 2012 revision. Geneva: World Health Organization; 2012 (http://www.drugsandalcohol.ie/19190/1/IDU-Technical_Guide_2012_Revision.pdf accessed 30 January 2014).

ცხრილი #4. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები C ჰეპატიტის პრევენციისთვის ნიმ-ებს შორის*

1. ნიმ-ებისთვის B ჰეპატიტის სწრაფი ვაქცინაციის რეჟიმის შეთავაზება
2. ნიმ-ების წახალისება/დაინტერესება B ჰეპატიტის ვაქცინაციის რეჟიმის დასაცავად და ვაქცინაციის დასრულებისთვის
3. ნიმ-ებისთვის სპეციალური თვითგანადგურების ან ე.წ. low dead space ნემსებისა და შპრიცების მიწოდება
4. ნიმ-ებისთვის თანასწორთა მხარდამჭერი ინტერვენციის შეთავაზება ვირუსული ჰეპატიტების ინციდენტობის შემცირების მიზნით
5. ოპიოიდური ჩანაცვლებითი თერაპიის შეთავაზება ნიმ-ებისთვის ვირუსული ჰეპატიტების ინექციის გზით გავრცელების რისკის შემცირების, სარისკო ქცევის შეცვლისა და მკურნალობაზე დამყოლობის გაუმჯობესების მიზნით
6. ნიმ-ებისთვის ოპიოიდური დამოკიდებულებისა და C ჰეპატიტის მკურნალობის მომსახურებების ინტეგრირებული სერვისების შეთავაზება

* დამატებით ცხრილში 2.4. წარმოდგენილ ღონისძიებებზე

წყაროები: *Guidance on prevention of viral hepatitis B and C among people who inject drugs*. Geneva: World Health Organization; 2012 (http://apps.who.int/iris/bitstream/10665/75357/1/9789241504041_eng.pdf, accessed 10 March 2016). *WHO guidelines for the psychosocially assisted pharmacological treatment of opioid dependence*. Geneva: World Health Organization; 2009 (http://www.who.int/substance_abuse/publications/opioid_dependence_guidelines.pdf, accessed 10 March 2016).

ცხრილი #5. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები C ჰეპატიტის სქესობრივი გზით გავრცელების პრევენციისთვის

1. კონდომების სწორად და რეგულარულად გამოყენების მოწოდება
2. მაღალი პრევალენტობის ადგილებში კომერციული სექსმუშაკების რუტინული სკრინინგი C ჰეპატიტზე
3. პოპულაციის მოწყვლადი ჯგუფებისთვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და გენდერული დისკრიმინაციის და სქესობრივი ძალადობის საწინააღმდეგოდ ინტეგრირებული ღონისძიებების გატარება

წყაროები: *Prevention and treatment of HIV and other sexually transmitted infections for sex workers in low- and middle-income countries: recommendations for a public health approach*. Geneva: World Health Organization; 2012 (http://apps.who.int/iris/bitstream/10665/77745/1/9789241504744_eng.pdf, accessed 11 March 2016).
Prevention and treatment of HIV and other sexually transmitted infections among men who have sex with men and transgender people. Geneva: World Health Organization, Department of HIV/AIDS; 2011 (http://www.who.int/hiv/pub/guidelines/msm_guidelines2011/en/, accessed 11 March 2016).

C ჰეპატიტის ვირუსით ინფექცია და ზიანის შემცირების პროგრამები

ვინაიდან ნარკოტიკების მომხმარებლებში განსაკუთრებით მაღალია აივ ინფექციის, B და C ჰეპატიტების, სისხლით გადამდები სხვა ინფექციებისა და ნარკოტიკული საშუალებების ზედოზირების საშიშროება, აუცილებელია ამ ადამიანების საჭიროებებზე მორგებული ისეთი სამედიცინო-ფსიქოლოგიურ-სოციალური და სამართლებრივი დახმარების პროგრამების არსებობა, როგორცაა „ზიანის შემცირების პროგრამები“. ზიანის შემცირება ნარკოტიკების ავადმომხმარებლის პრობლემაზე საპასუხო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ღონისძიებაა და ბევრ ქვეყანაში ნარკოპოლიტიკის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. ზიანის შემცირება ეფუძნება ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებს და აღიარებს, რომ ნარკოტიკების მომხმარებელი ადამიანების ნაწილი ვერ ახერხებს, ვერ წყვეტს მათ მოხმარებას. ზიანის შემცირების საერთაშორისო ორგანიზაციის განმარტებით (66) ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა ზიანის შემცირება მოიცავს „სტრატეგიებს, პროგრამებსა და ღონისძიებებს, რომელიც მიმართულია ლეგალური თუ არალეგალური ფსიქოაქტიური საშუალებების მოხმარებით გამოწვეული ჯანმრთელობის, სოციალური და ეკონომიკური ზიანის შემცირებისკენ, და არა აუცილებლად მათი მოხმარების შემცირებისკენ“.

ზიანის შემცირებას მოაქვს სარგებელი როგორც იმ ადამიანებისათვის, ვინც მოიხმარს ნარკოტიკულ საშუალებებს, ასევე მათი ოჯახებისა და საზოგადოებისათვის. მსოფლიოში ცნობილია ზიანის შემცირების შემდეგი პროგრამები: 1) შპრიცებისა და ნემსების პროგრამა (შნპ), 2) ოპიოიდებით ჩანაცვლებით თერაპია, 3) გახანგრძლივებული მოქმედების მორფინით ჩანაცვლება, 4) უსაფრთხო მოხმარების ოთახები, 5) ზედოზირების პრევენცია და 6) წამალდამოკიდებულების სხვა ტიპის

⁶⁶ Harm reduction International www.ihra.net

მკურნალობები. აღნიშნული ჩამონათვალიდან, C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციის და ზოგადად სისხლისმიერი ინფექციების პრევენციის თვალსაზრისით, ყველაზე ღირებულია შპრიცებისა და ნემსების პროგრამა (შნპ) და ოპიოიდებით ჩანაცვლებით თერაპია.

1) შპრიცებისა და ნემსების პროგრამა (შნპ) ზიანის შემცირების ერთ-ერთი სტრატეგიაა და მოიცავს ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლებისთვის სტერილური საინექციო მასალის (შპრიცები, ნემსები, წვრილ ვენაში გადასხმის მოწყობილობები, ფილტრები, კოვზები, ლახტი, სპირტიანი ტამპონები, საინექციო წყალი, ასკორბინის მჟავა, ვენების მოვლის საშუალებები - მალამოები, ანტისეპტიკური და სადეზინფექციო ხსნარები) მიწოდებას და ამ გზით სისხლისმიერი გზით გადამდები დაავადებების გავრცელების პრევენციას.

2) ოპიოიდებით ჩანაცვლებით თერაპია (ოჩთ) არის არალეგალური ნარკოტიკის (მაგ.: ჰეროინის) ლეგალური, ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტით, ძირითადად მეთადონით ან ბუპრენორფინით ჩანაცვლების პროგრამა. საქართველოში მოქმედი ოჩთ პროგრამები რეგულირდება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული კლინიკური პრაქტიკის რეკომენდაციებითა (გაიდლაინი) და პროტოკოლებით (სუბოქსონით ჩანაცვლებითი თერაპია, 2016; ოპიოიდური დამოკიდებულების მეთადონით შემანარჩუნებელი ჩანაცვლებითი მკურნალობა კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი, 2016). აღნიშნული მიდგომის ეფექტურობა მეცნიერული მტკიცებულებებით არის გამყარებული და ბევრ ქვეყანაში აქტიურად არის დანერგილი (WHO, 2014c).

C ჰეპატიტის ელიმინაცია

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის C ჰეპატიტის ელიმინაციის სტრატეგია

2016 წლის მაისში ჯანმრთელობის 69-ე მსოფლიო ასამბლეის მიერ მიღებული იქნა 2016-2030 წლების ვირუსული ჰეპატიტების გლობალური ჯანმრთელობის სექტორის სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს 2030 წლისათვის C ჰეპატიტის ვირუსით დაავადების ელიმინაციას, რაც შესაძლებელი გახდა პირდაპირი

მოქმედების მაღალეფექტიანი ანტივირუსული მედიკამენტების (Direct-Acting Antiviral (DAA) medicines) შემუშავების შემდეგ. აღნიშნული მედიკამენტების ეფექტიანობა დაავადებისგან განკურნების თვალსაზრისით 95%-ს აღემატება ⁶⁷. სტრატეგიის შესაბამისად, მსოფლიო მასშტაბით 2030 წლისათვის C ჰეპატიტით დაინფიცირების ახალი შემთხვევები უნდა შემცირდეს 95%-ით, ხოლო სიკვდილობა – 65%-ით⁶⁷.

2021 წლის მონაცემებით, ქრონიკული C ჰეპატიტის მქონე სავარაუდო პაციენტების მხოლოდ 26%-მა (15 მილიონი) იცოდა თავისი დიაგნოზის შესახებ და მათგან მხოლოდ 5 მილიონს ჰქონდა ჩატარებული სპეციფიკური მკურნალობა. ელიმინაციის სამიზნეების მიხედვით კი ქრონიკული ინფექციის მქონე პაციენტების სულ მცირე 90% უნდა იყოს გამოვლენილი და მათგან სულ მცირე 80%-ს უნდა ჩაუტარდეს მკურნალობა 2030 წლისთვის დაავადების გლობალური ელიმინაციის მისაღწევად.

2021 წლის ივნისში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული იქნა C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ვალიდაციის ინდიკატორებიც ⁶⁸, რომელთა ტესტირება დაიწყო ამავე წლის აგვისტო-სექტემბრის თვეებში, მათ შორის საქართველოში, როგორც C ჰეპატიტის ელიმინაციის ერთ-ერთ ავანგარდ ქვეყანაში.

ქვემოთ (ცხრილი #6) მოცემულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ C ჰეპატიტის ელიმინაციის ვალიდაციის მიზნით მისაღწევი სამიზნეები:

⁶⁷Global Health Sector Strategy for 2016-2021, World Health Assembly, 2016

⁶⁸ Interim guidance for country validation of viral hepatitis elimination ISBN 978-92-4-002839-5 (electronic version) World Health Organization 2021

ცხრილი #6. მსოფლიოში C ჰეპატიტის ელიმინაციის 2030 წლის სამიზნეები და მიღწევები 2019 წლის ბოლოს

ქრონიკული C ჰეპატიტის, როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემის, ელიმინაციის სამიზნეები	
ინციდენტობა შემცირება 80%-ით	სიკვდილობა შემცირება 65%-ით
წლიური ინციდენტობა ≤5/100 000 (მთელი მოსახლეობა) ≤2/100 (ნიმ-ები)	წლიური სიკვდილობა ≤2/100 000 (მთელი მოსახლეობა)
<p>ტესტირება და მკურნალობა</p> <p>ქრონიკული C ჰეპატიტის მქონე პირების ≥90%-ის გამოვლენა გამოვლენილი ქრონიკული C ჰეპატიტის მქონე პირების ≥80%-ის მკურნალობა</p>	
<p>პრევენცია</p> <p>0% არასტერილური ინექციები 100% სისხლის და მისი პროდუქტების უსაფრთხოება 300 შპრიცისა და ნემსის დისტრიბუცია ერთ ნიმ-ზე წელიწადში</p>	

2017 წელს ანდრიუ ჰილისა და მისი კოლეგების მიერ მოწოდებული გათვლების მიხედვით, 2030 წლისთვის C ჰეპატიტის ელიმინაციის მისაღწევად ქვეყნებში ახალი ინფექციის ყოველ შემთხვევაზე უნდა მოდიოდეს განკურნებული სულ მცირე 5 პაციენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში ელიმინაციის მიღწევა ნაკლებად შესაძლებელია.

C ჰეპატიტის ელიმინაციის გეგმა საქართველოში


2015 წელს, ქვეყანაში C ჰეპატიტის ვირუსით ქრონიკული ინფექციის მძიმე ტვირთიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო პარტნიორების - აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის, ფარმაცევტული კომპანია „გილუადის“ და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) - აქტიური მხარდაჭერით, მიზნად დაისახა ქვეყანაში C ჰეპატიტის ეპიდემიის ელიმინაცია 2020

წლის ბოლოსთვის. ამ მხრივ საქართველო გახდა მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი სამოდერლო ქვეყანა.

ამავე წელს, მოწოდებული ჯანმოს რეკომენდაციების საფუძველზე, C ჰეპატიტის ელიმინაციისთვის ეროვნული რეაგირების დაგეგმვისა და ხელშეწყობისთვის შემუშავდა ხუთწლიანი სტრატეგიული გეგმა. ექსპერტთა ჯგუფთან კონსულტაციის შედეგად, განისაზღვრა გეგმის მიზანი და სტრატეგიული ამოცანები.

ელიმინაციის გეგმის სამიზნეები

გეგმის მიხედვით, 2020 წლისთვის საქართველო მიზნად ისახავდა C ჰეპატიტით ინფიცირებულთა 90%-ის გამოკვლევას, C ჰეპატიტის ქრონიკული ფორმის მქონე პირთა 95%-ის მკურნალობას და მკურნალობის შედეგად მათი 95%-ის განკურნებას (სურათი #10).



სურათი #10. C ჰეპატიტის ეროვნული სტრატეგიული გეგმის სამიზნეები პროცენტულ და აბსოლუტურ რიცხვებში.

სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებები გაერთიანებულია 4 ძირითადი სტრატეგიული ამოცანის ქვეშ (სურათი #11).

- 1 ვირუსული ჰეპატიტის შესახებ ცნობიერების დონის ამაღლება მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი მაღალი რისკის ჯგუფებში, ასევე სტიგმისა და დისკრიმინაციის შემცირება
- 2 ჰეპატიტებზე ჯანდაცვის სექტორის რეაგირების მონიტორინგი - ქრონიკული ჰეპატიტის ეროვნული ტვირთის შეფასება ეპიდზედამხედველობისა და ცალკეული ოპერაციული კვლევების მეშვეობით
- 3 ვირუსული ჰეპატიტების გადაცემის პრევენცია საზოგადოებაში და სამედიცინო დაწესებულებებში
C ჰეპატიტის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული გადაცემის პრევენცია (უსაფრთხო სისხლი, ინფექციის კონტროლი), საზოგადოებაში C ჰეპატიტისა და სისხლის გზით გადაცემადი სხვა ინფექციების გავრცელების პრევენცია (B ჰეპატიტის იმუნიზაცია, კონტროლის ღონისძიებები არასამედიცინო დაწესებულებებში) და C ჰეპატიტის ინციდენტობის შემცირება ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში
- 4 სკრინინგისა და მკურნალობის მოცვის გაფართოებით ახალი შემთხვევებისა და ვირუსული ჰეპატიტებით გამოწვეული სიკვდილობის შემცირება
C ჰეპატიტის ლაბორატორიული დიაგნოსტიკის თანამედროვე სისტემის დანერგვა, დიაგნოსტირებულ პაციენტთა წილის გაზრდა და დაავადებულ პირთათვის მკურნალობასა და მოვლაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სურათი #11. 2015-2020 წლების C ჰეპატიტის ეროვნული სტრატეგიული გეგმის ძირითადი ამოცანები

ელიმინაციის სტრატეგიის წინასწარი ფინანსური გათვლით, 5 წლის განმავლობაში საჭირო თანხა შეადგენდა 116 მლნ აშშ დოლარს, რომელიც ითვალისწინებდა როგორც სახელმწიფო, ისე დონორი ორგანიზაციების დაფინანსების შესაძლებლობებს იმ დროისთვის არსებული პროგნოზების შესაბამისად. აღნიშნული ბიუჯეტი არ მოიცავდა ფარმაცევტული კომპანია „გილუადის“ მიერ უსასყიდლოდ გადმოცემული მედიკამენტების ღირებულებას. ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების 44%-დან 54%-მდე ეტაპობრივად მზარდი წილი, საშუალოდ – 49%. აბსოლუტურ რიცხვებში კი 2016 წლიდან 2020 წლის ბოლომდე სახელმწიფოს უნდა დაეხარჯა წლიური 8 მლნ დოლარიდან - 14 მლნ დოლარამდე. დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროდ მოიაზრებოდა ასევე მკურნალობის წინა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონიტორინგისათვის საჭირო კვლევების თანაგადახდა, საშუალოდ 33%.

ბიუჯეტის 16-18%-მდე უნდა დაფარულიყო დონორული დაფინანსებით,

რომლის დიდი წილი მოდიოდა შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის დაფინანსებაზე, ძირითადად ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებზე მიმართული სერვისების დაფინანსების სახით.

სტრატეგიული გეგმის ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენდა 8.6 მილიონ აშშ დოლარს, თუმცა იქვე იყო გამოთქმული ვარაუდი, რომ მოსალოდნელი იყო როგორც დიაგნოსტიკური მეთოდების გაიაფება, ისე მკურნალობის რეჟიმების გამარტივება, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანი დანაზოგების და დეფიციტის აღმოფხვრის შესაძლებლობას შექმნიდა.

პროგრამის ბიუჯეტის ყველაზე დიდი წილი - 64% გათვლილი იყო C ჰეპატიტის სკრინინგისა და მკურნალობის ინტერვენციებზე. დაავადების პრევენციისთვის დაგეგმილი იყო ბიუჯეტის 35%-ის გამოყენება, დარჩენილი 1%-ის ათვისება კი უნდა მოხმარებოდა: ვირუსული ჰეპატიტების შესახებ ცნობიერების დონის ამაღლებას (1) და ჰეპატიტებზე ჯანდაცვის სექტორის რეაგირების მონიტორინგს (2) (ცხრილი 7). მკურნალობის მონიტორინგისთვის აუცილებელ დიაგნოსტიკურ კვლევებზე საჭირო ჯამური 75 მლნ. დოლარიდან სახელმწიფოს წილი ნავარუდები იყო 36 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო დანარჩენის დაფარვა მოხდებოდა თანაგადახდით ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დახმარების სახით, ან უშუალოდ პაციენტის მიერ.

C ჰეპატიტის ეროვნული სტრატეგიული გეგმის განხორციელების სტრუქტურულ ბარიერებად მიჩნეული იქნა:

- საზოგადოებაში, მაღალი რისკის ჯგუფებში, თუ სამედიცინო დაწესებულებებში C ჰეპატიტის შემთხვევათა დროული გამოვლენისა და ვირუსის გადაცემის კონტროლისაკენ მიმართული ფართომასშტაბიანი მკაცრი პრევენციული ღონისძიებების მოკლე ვადაში განხორციელების აუცილებლობა

ცხრილი #7. C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის მიზნებისა და ამოცანების დაფინანსება (ათასი აშშ დოლარი)

ამოცანები	2016	2017	2018	2019	2020	2016-2020	% წილი
1: ვირუსული ჰეპატიტების შესახებ ცნობიერების დონის ამაღლება	64	60.4	40.4	40.4	40.4	245.6	0.3
2: ჰეპატიტებზე ჯანდაცვის სექტორის რეაგირების მონიტორინგი	123.2	125	124.8	111.2	93.2	577.4	0.7
3: ვირუსული ჰეპატიტების გადაცემის პრევენცია	4,769.00	6,431.30	8,414.20	11,244.40	10,024.40	40,883.20	35
3.1 სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული გადაცემის პრევენცია	683.5	936.1	863.3	3,183.40	1,923.40	7,589.70	6.60
3.2: ინფექციის გავრცელების პრევენცია საზოგადოებაში	55	78.3	89.9	105	122.5	450.7	0.4
3.3: ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა შორის C ჰეპატიტის ინციდენტობის შემცირება	4,030.40	5,417.00	7,461.00	7,956.00	7,978.50	32,842.80	28.00
4: სკრინინგისა და მკურნალობის მოცვის გაფართოება	13,204.00	15,218.30	15,302.40	15,273.60	15,333.60	74,519.80	64.00
4.1. ლაბორატორიული დიაგნოსტიკის თანამედროვე სისტემის დანერგვა	143.8	87.4	26	26	26	309.2	0.3
4.2. ქრონიკული ჰეპატიტის გამოვლენის გაძლიერება	1,155.50	1,423.10	1,565.00	1,567.00	1,664.00	7,374.60	6.00
4.3. HCV მკურნალობასა და მოვლაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	11,904.70	13,707.80	13,711.40	13,740.60	13,771.40	66,836.10	57.70
სულ	18,160.10	21,835.10	23,881.80	26,729.60	25,619.50	116,226.10	

- სამკურნალო და ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მნიშვნელოვანი გაფართოების, დეცენტრალიზაციისა და განახლების საჭიროება

მკურნალობის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისა და მაღალი ხარისხის სტანდარტების შენარჩუნების მიზნით.

- C ჰეპატიტის ეპიდემიოდედველობის სისტემის გაძლიერება, ერთიანი ელექტრონული მართვის სისტემის შექმნა ელიმინაციის პროგრამაში მიღწეული პროგრესის მონიტორინგისათვის
- საზოგადოებასა და მაღალი რისკის ჯგუფებში ცნობიერების დონის ამაღლება C ჰეპატიტის გამოვლენის და ხელმისაწვდომი მკურნალობის შესახებ
- C ჰეპატიტთან დაკავშირებული სტიგმის მასშტაბების შეფასება და ადეკვატური ღონისძიებების გატარება მისი გავლენის შესამცირებლად
- მნიშვნელოვანი ტექნიკური და ფინანსური რესურსების მობილიზების საჭიროება საერთაშორისო და ადგილობრივი თანამშრომლობის ფარგლებში, პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფა

აღსანიშნავია, რომ ელიმინაციის პროგრამის ტექნიკური მხარდაჭერისთვის აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრებისა და ჯანმოს ინიციატივით შეიქმნა ტექნიკურ მრჩეველთა ჯგუფი (TAG), რომელშიც მოწვეული იქნა საერთაშორისო ექსპერტები სტრატეგიის მიმართულებების შესაბამისად.

სტრატეგიის მიხედვით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამისთვის წარმოადგენდა ნარკოტიკების ინექციურად მოხმარებელთა შორის C ჰეპატიტის პრევენცია არსებული რეპრესიული ნარკოპოლიტიკისა და ნარკოტიკების მოხმარებასთან ასოცირებული სტიგმის მაღალი დონის ფონზე, რაც, თავის მხრივ, ართულებდა C ჰეპატიტის ელიმინაციისთვის საჭირო ახალი შემთხვევების შემცირების მიღწევას პრევენციული და სკრინინგული ტესტირებით ნიმ-ების მოცვის გაფართოების გზით. კერძოდ, სტრატეგიული გეგმის მიხედვით, 2020 წლის ბოლოსთვის პრევენციული პროგრამებით უნდა ყოფილიყო მოცული ნიმ-ების სავარაუდო რაოდენობის 80%, ხოლო მეტადონით ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში უნდა ყოფილიყო ჩართული 10,000 ან მეტი ნიმ-ი.

სტრატეგიულ გეგმაში ხაზგასმით იყო აღნიშნული ზიანის შემცირების პროგრამებში C ჰეპატიტის კონფირმაციული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ინტეგრირების აუცილებლობა აღნიშნულ პოპულაციაში დაავადების ტვირთისა და ინციდენტობის შემცირების მისაღწევად.

ელიმინაციის გეგმის განხორციელების დაწყებისთვის ასევე დიდი ალბათობით ნავარაუდევია იყო, რომ ქრონიკული C ჰეპატიტით ავადობის მაჩვენებლები ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო თბილისში და რომ ელიმინაციის პროგრამის წარმატებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სწორედ დედაქალაქში დაავადების შემთხვევების დროულ გამოვლენასა და პაციენტების პირდაპირი მოქმედების ანტივირუსული მკურნალობის პროგრამაში სწრაფად ჩართვაზე მიმართული ღონისძიებების თანამიმდევრულ განხორციელებას.

თავი 3. კვლევის მეთოდოლოგია

ამოცანა 1 (ქ. თბილისის მოსახლეობაში C ჰეპატიტის გავრცელების შესწავლა 2001-2002 და 2015–2016 წწ.)

ამოცანა 2 (C ჰეპატიტის გავრცელების სოციო-დემოგრაფიული თავისებურებების, გადაცემის გზების და მაღალი რისკის ჯგუფების შესახებ 2001-2002 და 2015-2016 წლების მონაცემების ურთიერთდაპირისპირება და შედარებითი ანალიზის განხორციელება)

აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით კვლევის მასალას წარმოადგენს 2001–2002 წწ. და 2015–2016 წწ. ქ. თბილისის მაცხოვრებელთა მიერ შევსებული ანონიმური გამოკითხვის ანკეტები (კითხვარები) და კვლევის მონაწილეთა ვენური სისხლის სინჯები (3-5 მლ).

გამოყენებული კითხვარი მოიცავდა დემოგრაფიულ მონაცემებს, სამედიცინო ისტორიას და კითხვებს მონაწილეთა მაღალი რისკის ქცევების შესახებ (იხ. დანართი #3. კითხვარი, გვ 179).

სულ 2001-2002 წლებში კვლევის ფარგლებში გამოკვლეული იქნა 2000 ადამიანი, ხოლო 2015 წელს ქ. თბილისში 690 ადამიანი. კვლევის დიზაინი ორივე შემთხვევაში იყო ჯვარედინ-სექციური. მონაწილეთა შერჩევისათვის გამოყენებული იყო მულტი-კლასტერული შემთხვევითი შერჩევის მეთოდი.

კვლევის სუბიექტებს წარმოადგენდნენ 17 წლის ზემოთ ქ. თბილისის მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები სქესის მიუხედავად.

მოსახლეობის აღწერის მონაცემების გათვალისწინებით, მოხდა შინამეურნეობების შერჩევა კლასტერების შესაბამისად. პირველ ფაზაზე მოხდა კლასტერის პირველადი ფენის/სტრატის განსაზღვრა. 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების საფუძველზე თითოეულ სტრატში მოხდა მოსახლეობის დაფიქსირებული ზომის პროპორციულად მონაწილეთა რაოდენობის შერჩევა მრავალსაფეხურიანი სტრატეფიცირებული კლასტერული შერჩევის გამოყენებით (Multi-stage, stratified cluster sampling).

კვლევის ზომის პროპორციული შერჩევის გამოყენებით (PPS) განსაზღვრული პირველადი შერჩევის ერთეულების, იგივე კლასტერების რაოდენობამ შეადგინა 59. შემდეგ ეტაპზე გეოსტატის რუქების გამოყენებით თითოეულ კლასტერში, მარტივი რანდომიზებული შერჩევის შესაბამისად, შერჩეული იქნა უკვე შინამეურნეობები, 30 თითოეულ კლასტერში. და მესამე, ბოლო ეტაპზე უკვე შერჩეულ შინამეურნეობებში მოხდა ინდივიდების შერჩევა კვლევაში მონაწილეობის შესათავაზებლად. შინამეურნეობებში მოზრდილ წევრებს/მაცხოვრებლებს შორის მონაწილის შერჩევის მიზნით გამოყენებული იქნა კიშის მეთოდი.

ორივე კვლევაში მონაწილე მოქალაქეების სისხლის ნიმუშების პირველადი სკრინინგული გამოკვლევა შესრულდა C ჰეპატიტის ვირუსის ანტიგენის საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრის იმუნოფერმენტული მეთოდით. 2001-2002 წლების კვლევაში სკრინინგული კვლევით დადებითი ნიმუშების გადამოწმება მოხდა იმუნობლოტინგის მეთოდით, ხოლო 2015 წლის კვლევაში ჩატარდა HCV RNA ტესტირება C ჰეპატიტის აქტიური ინფექციის გამოვლენის მიზნით.

ორივე შემთხვევაში კითხვარისა და ბიომარკერის კვლევების შედეგები კოდირებული და შეტანილი იქნა SPSS სტატისტიკურ პროგრამაში (8.0 და 13.0 ვერსიები) შემდგომი სტატისტიკური ანალიზისთვის. სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა SAS 8.2 (SAS Institute, North Carolina, USA) სტატისტიკური პროგრამის გამოყენებით.

დემოგრაფიული და სხვა აღწერილობითი სტატისტიკური მონაცემები დათვლილი იქნა როგორც მთლიანად გამოკვლეულ პოპულაციაში, ასევე მცირე ქვეჯგუფებში სარისკო ქცევების შესაბამისად, კერძოდ, ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელ და არამომხმარებელ ჯგუფებში. კვლევების შედეგები შედარებული იქნა ლოჯისტიკური რეგრესიის ანალიზის მეშვეობით, რომლის დროსაც კონტროლირებად ცვლადებად გამოყენებული იყო მონაწილეთა ასაკი და სქესი. სარწმუნობის ინტერვალად გამოყენებულია $p < 0.05$.

ამოცანა 3-ის (ჩატარებული სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასება დაავადების ელიმინაციის თვალსაზრისით) განხორციელების მიზნით კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნა C ჰეპატიტის ელიმინაციის ეროვნული ელექტრონული ბაზის (ELIMC) და C ჰეპატიტის სკრინინგის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამების და დონორული დაფინანსებით განხორციელებული მიზნობრივი პილოტური პროგრამების და ინოვაციური ინტერვენციების ფარგლებში მოპოვებული მონაცემები. მოხდა აღნიშნული პროგრამების ელექტრონული ბაზების მონაცემების ანალიზი წლების და სამიზნე პოპულაციების მიხედვით C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ეროვნული კასკადის საფეხურებთან მიმართებაში ზოგადად ქვეყნის მოსახლეობისთვის, ქ. თბილისის მოქალაქეებისთვის დემოგრაფიულ, გეოგრაფიული მოცვის და სერვისების გამოყენების პრეფერენციების შესაბამისად.

თავი 4. კვლევის შედეგები (ძირითადი მიგნებები)

ამოცანა 1

აღწერილობითი სტატისტიკური მონაცემები

აღწერილობითი სტატისტიკური მონაცემები გაანალიზებული იქნა როგორც მთლიანი კოჰორტისთვის, ასევე ცალკე ნარკოტიკების ინექციური მოხმარების ისტორიის მქონე მონაწილეთა ქვეჯგუფისთვის.

2015 წლის კვლევაში მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისის 690 მაცხოვრებელმა. საკვლევი პოპულაციის მახასიათებლები იყო შემდეგი:

- ✓ *სქესობრივი განაწილების* მიხედვით, უმრავლესობა იყო ქალი - 61.9%
- ✓ ნარკოტიკების ინექციური მოხმარების ისტორიის მქონე 43 (6%) მონაწილიდან უმრავლესობა იყო მამრობითი სქესის (98.4%) , მხოლოდ ორი იყო ქალი.
- ✓ რაც შეეხება *ასაკობრივ განაწილებას*, კვლევაში ჩართული პირების ასაკი მერყეობდა 18-დან 92 წლამდე, საშუალო ასაკი იყო 41 წელი.
- ✓ უმრავლესობა - 181, ეკუთვნოდა 31-დან 41 წლის ასაკობრივ ჯგუფს. ყველაზე ნაკლები - 158 ადამიანი, წარმოდგენილი იყო >55 წლის კატეგორიაში.
- ✓ ნარკოტიკების ინექციური მოხმარების ისტორიის მქონე მონაწილეთა დიდი ნაწილი - 67.5% მოხვდა 31-დან 41 წლამდე და 41-დან 55 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში.
- ✓ მცირე ასაკობრივი განსხვავება დაფიქსირდა ოდესმე ნარკოტიკების ინექციურ მოხმარებელ და არამომხმარებელ ქვეჯგუფებში. კერძოდ, პირველ შემთხვევაში საშუალო ასაკი იყო 40 წელი და მერყეობდა 20-დან 63 წლამდე, ხოლო მეორე შემთხვევაში საშუალო ასაკი იყო 41 წელი და მერყეობდა 18-დან 92 წლამდე.

✓ სკრინინგული კვლევით C ჰეპატიტის ანტიხეულებზე დადებით პირთა საშუალო ასაკი იყო 46 წელი და მერყეობდა 22 წლიდან 85 წლამდე. მათ შორის, ნარკოტიკების ინექციური მოხმარების ისტორიის მქონე მონაწილეთა საშუალო ასაკი იყო 45 წელი და მერყეობდა 29 წლიდან 62 წლამდე. კვლევაში მონაწილეთა დიდი ნაწილი როგორც მთლიან კოჰორტაში, ისე ნიმ-ების ქვეჯგუფში იყო დაუქორწინებული – 60.1% და 65.1% შესაბამისად.

რაც შეეხებოდა *სქესობრივ გამოცდილებას*, შესწავლილი პოპულაციის დიდ ნაწილს - 67.7%-ს ცხოვრების მანძილზე ჰყავდა არაუმეტეს სამი სქესობრივი პარტნიორისა. თუმცა, მონაწილეთა 12,6%-მა აღნიშნა, რომ ჰყავდათ 6-ზე მეტი სქესობრივი პარტნიორი.

სურათი მნიშვნელოვნად განსხვავდება ნიმ-ების ქვეჯგუფში, სადაც მონაწილეთა ნახევარზე მეტს (51.1%) ან არ ახსოვდა ან საერთოდ უარი თქვა ამ კითხვაზე პასუხის გაცემაზე. როგორც მთლიან კოჰორტაში, ისე ნიმ-ების ქვეჯგუფში მონაწილეთა მცირე პროცენტმა აღნიშნა კონდომის რეგულარულად გამოყენება – 10.1% და 16.3% შესაბამისად.

სგვი ავადობის მაჩვენებელმა მთლიან ნიმუშში შეადგინა 9.3%, ხოლო ნიმ-ების ისტორიის მქონე მონაწილეთა შორის ის ზუსტად ორჯერ უფრო მაღალი იყო - 18.6%.

აღსანიშნავია, რომ *ინვაზიური სამედიცინო მანიპულაციების* ისტორია ჰქონდა მთლიანი კოჰორტის 46.2%-ს (319 პირი) და იგივე გამოცდილება აღმოაჩნდა ნიმ-ის ქვეჯგუფის მონაწილეების მხოლოდ 27.9%-ს (12 პირი).

სისხლის გადასხმა დასჭირდა კვლევაში მონაწილეთა მხოლოდ 7%-ს (48 მონაწილე), ნიმ-ების ქვეჯგუფიდან კი ასეთი ჩარევა დასჭირდა უფრო მეტ ადამიანს - 16.3% (7 პირი). მნიშვნელოვანია, რომ 1997 წლამდე, ანუ ქვეყანაში უსაფრთხო სისხლის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებამდე, სისხლის

გადასხმა ჰქონდა გაკეთებული მთლიანი ნიმუშიდან 28 პირს (4.1%) და ნიმ-ების ქვეჯგუფიდან – 2 (4.7%) ადამიანს.

ოდესმე *პატიმრობის ისტორია* ჰქონდა მთლიანი კოჰორტის 5.4%-ს, ანუ 37 მონაწილეს, ხოლო ნიმ-ების ქვეჯგუფიდან ოდესმე პატიმრობაში იმყოფებოდა 19 ადამიანი - 44.2%.

მონაწილეთა გარკვეულ რაოდენობას ჰქონდა გაკეთებული *ტატუ*: 11.5%-ს (79 პირი) მთლიან ნიმუშში და 46.5%-ს (20 პირი) ნიმ-ების ქვეჯგუფში.

სამწუხაროდ, მონაცემთა შეგროვებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გამო, რომელიც დაფიქსირდა ნარკოტიკების ინექციური მოხმარების დაწყების ასაკთან დაკავშირებით, ვერ მოხერხდა აღნიშნული ცვლადის გაანალიზება.

ცხრილში #8 მოცემულია აღწერილობითი სტატისტიკური ანალიზის დეტალური შედეგები

ცხრილი 8. კვლევაში მონაწილეთა სრული ნიმუშისა (N=690) და ნარკოტიკების ინექციური მოხმარების ისტორიის მქონე ქვეჯგუფის (N=43) ძირითადი მახასიათებლები

კატეგორიები	სრული ნიმუში		ნიმ-ები		
	N	%	N	%	
<i>დემოგრაფიული მონაცემები</i>					
მამაკაცი	263	38.1	41	95.4	
ოჯახური მდგომარეობა					
დაუქორწინებელი	142	20.6	7	16.3	
დაქორწინებული	415	60.1	28	65.1	
გამორეხული	17	2.5	3	7.0	
განქორწინებული	35	5.1	4	9.3	
ქვრივი	79	11.5	1	2.3	
ყავს პარტნიორი	2	0.3	0	0.0	
ასაკი					
18-30	179	25.9	10	23.3	
31-41	181	26.2	15	34.9	
42-55	172	24.9	14	32.6	
>55	158	22.9	4	9.3	
<i>ექსპოზიციის ისტორია</i>					
კონდომის რეგულარული გამოყენება	დიახ	70	10.1	7	16.3

ოდესმე სგვი დაავადებით ავადობა	დიახ	64	9.3	8	18.6
	არა	599	86.8	29	67.4
	არ მახსოვს/არ ვიცი	24	3.5	4	9.3
	უარი პასუხზე	3	0.4	2	4.7
ცხოვრების მანძილზე სქესობრივი პარტნიორების რაოდენობა	0-3	467	67.7	4	9.3
	4-6	39	5.7	5	11.6
	>6	87	12.6	12	27.9
	არ მახსოვს/არ ვიცი	87	12.6	21	48.8
	უარი პასუხზე	10	1.5	1	2.3
ინვაზიური სამედიცინო მანიპულაციები	დიახ	319	46.2	12	27.9
	არა	363	52.6	31	72.1
	არ მახსოვს/არ ვიცი	8	1.2	0	0.0
ოდესმე სისხლის გადასხმა	დიახ	48	7.0	7	16.3
ოდესმე ნარკოტიკების ინექციური მოხმარება	დიახ	43	6.2		
	არა	643	93.3		
	არ მახსოვს/არ ვიცი	3	0.4		
ოდესმე პატიმრობა	დიახ	37	5.4	19	44.2
	არა	651	94.5	23	53.5
	უარი პასუხზე	1	0.2	1	2.3
ტატუირება	დიახ	79	11.5	20	46.5
1997 წლამდე სისხლის გადასხმა	დიახ 1997 წლამდე	28	4.1	2	4.7
	დიახ 1997 წელს ან შემდგომ	20	2.9	5	11.6
	არა	642	93.0	36	83.7

C ჰეპატიტის გავრცელება

შეგროვებული სისხლის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ HCV ანტისხეულებზე დადებითი იყო კვლევის მონაწილეთა 8.1% (56 პირი), ხოლო კონფირმაციული კვლევის შედეგად აქტიური ინფექცია დაუდგინდა 36 მონაწილეს, რაც მთლიანი გამოკვლეული პოპულაციის 5.2%-ს შეადგენს.

C ჰეპატიტის მკურნალობის გამოცდილება

კვლევის მონაწილეთაგან 23-მა (ანტისხეულებზე დადებით პირთა 53.5%) აღნიშნა, რომ იცოდა, რომ ჰქონდა C ჰეპატიტი, თუმცა მათგან მხოლოდ 6-მა (26%) ჩაიტარა რაიმე ტიპის მკურნალობის კურსი.

ლოგისტიკური რეგრესიული ანალიზი

კვლევის ფარგლებში, პირველ რიგში, განხორციელდა ხი-კვადრატი (chi-square) ტესტი ბივარიაციული კორელაციის გამოსავლენად HCV ანტისხეულებზე დადებითობასა და ცალკეულ დემოგრაფიულ და სარისკო ქცევას შორის. აღნიშნულის შემდგომ განხორციელდა რეგრესიული ანალიზი HCV ანტისხეულებზე დადებითობისა იმ ცვლადებთან მიმართებით, რომლებზეც ბივარიაციული ანალიზის დროს გამოვლინდა მნიშვნელოვანი კორელაცია ($p < 0.05$).

აღნიშნულის შედეგები მოცემულია ცხრილში#9 (მოდელის აღწერილობა: $\chi^2 = 123.24$; $p < 0.0001$; pseudo $R^2 = 0.32$).

ხი-კვადრატ ტესტმა არ აჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ასოციაცია HCV ანტისხეულებზე დადებითობასა და კონდომის რეგულარულ მოხმარებას, თუ ინვაზიური სამედიცინო მანიპულაციების გამოცდილებასთან. შესაბამისად, აღნიშნული ცვლადები არ იქნა გამოყენებული რეგრესიულ მოდელში.

რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ნარკოტიკების ინექციური გზით მოხმარება (IDU_ever) და სისხლის გადასხმა HCV ანტისხეულებზე დადებითობის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორებია. კერძოდ, ნარკოტიკების ინექციური გზით მოხმარების ისტორიის მქონე პირებში 20-ჯერ უფრო მაღალია HCV ანტისხეულებზე დადებითობის მაჩვენებელი ($1/0.05=20$), ვიდრე არამომხმარებლებში. ასევე, სისხლის გადასხმის ისტორიის მქონე პირებში 10-ჯერ უფრო მაღალი იყო HCV ანტისხეულებზე დადებითობის ალბათობა ($1/0.10 = 10$), ვიდრე ასეთი გამოცდილების არ მქონე პირებში. ამავე მოდელმა აჩვენა სუსტი, სტატისტიკურად უმნიშვნელო განსხვავება მონაწილეების HCV ანტისხეულებზე დადებითობასთან მიმართებაში იმის მიხედვით, თუ როდის ჰქონდათ ჩატარებული ჰემოტრანსფუზია – 1997 წლამდე, თუ 1997 წელს და შემდგომ. მოდელის მიხედვით, ასევე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო განსხვავება ასაკოვან მონაწილეებსა და ახალგაზრდებს შორის. კერძოდ, 31 წლის და უფროს მონაწილეებში უფრო მაღალი იყო HCV ანტისხეულებზე დადებითობის რისკი, ვიდრე 31 წელზე უმცროს

მონაწილეთა შორის. თუმცა 31 წლის და უფროსი წლოვნების მონაწილეთა სამ ასაკობრივ ქვეჯგუფებს შორის ამ მხრივ მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირებულა.

ცხრილში #9 მოცემულია გავრცობილი ლოგისტიკური რეგრესიის მოდელი კვლევის სრულ ნიმუშზე და ასევე ყველა ის ცვლადი, რომელთან დაკავშირებით ბივარიაციულმა ანალიზმა აჩვენა მნიშვნელოვანი კორელაცია HCV ანტისხეულებზე დადებითობის მაჩვენებელთან ხი-კვადრატი ტესტის გამოყენებით.

ცხრილი #9. HCV ანტისხეულების დადებითობის ლოგისტიკური რეგრესიის მოდელი ქ. თბილისში ჩატარებული პოპულაციური კვლევის ფარგლებში (სრული ნიმუში, გაფართოებული მოდელი)“

შენიშვნა: მოდელის შესაბამისობის ფარდობითი მაჩვენებელი : $\chi^2 = 123.24$; $p < 0.0001$; ფსევდო $R^2 = 0.32$; მნიშვნელოვანი კორელაცია ნაჩვენებია მუქი ფონტით.

კატეგორია	OR	SE	z	P > z	95% CI	
დემოგრაფიული მონაცემები						
სქესი (საბაზისო - მამრობითი)						
მდედრობითი	0.83	0.58	-0.27	0.7860	0.21	3.29
ასაკი (საბაზისო 18-30						
31-41	7.41	5.06	2.93	0.0030	1.94	28.27
42-55	8.66	5.93	3.16	0.0020	2.27	33.11
> 55	9.54	6.73	3.20	0.0010	2.39	38.02
ექსპოზიცია						
ოდესმე სგვი ინფექციით						
ავადობა (საბაზისო - დიახ)						
არა	0.53	0.26	-1.30	0.1940	0.20	1.38
არ ვიცი/არ მახსოვს	0.97	0.77	-0.04	0.9710	0.20	4.62
უარი პასუხზე						
არ იქნა გამოყენებული ანალიზში, როგორც საუკეთესო პრედიქტორი						
ცხოვრების მანძილზე						
სქესობრივი პარტნიორების რაოდენობა (საბაზისო 0-3)						
4-6	1.93	1.62	0.78	0.4360	0.37	10.06
>6	2.05	1.60	0.92	0.3570	0.44	9.45
არ ვიცი/არ მახსოვს	1.74	1.30	0.74	0.4600	0.40	7.53
უარი პასუხზე						
არ იქნა გამოყენებული ანალიზში, როგორც						

	საუკეთესო პრედიქტორი						
ოდესმე სისხლის გადასხმა (საბაზისო - დიახ) არა		0.10	0.05	-4.50	0.0000	0.03	0.27
ოდესმე ნარკოტიკის ინექციური მოხმარება (საბაზისო - დიახ) არა		0.05	0.02	-5.93	0.0000	0.02	0.13
არ ვიცი/არ მახსოვს	არ იქნა გამოყენებული ანალიზში, როგორც საუკეთესო პრედიქტორი						
ოდესმე პათიმრობა (საბაზისო - დიახ) არა		0.58	0.34	-0.93	0.3540	0.18	1.85
უარი პასუხზე	არ იქნა გამოყენებული ანალიზში, როგორც საუკეთესო პრედიქტორი						
ტატუირება (საბაზისო - დიახ) არა		0.82	0.40	-0.41	0.6790	0.32	2.12
სისხლის გადასხმა 1997 წლემდე ან შემდგომ (საბაზისო - დიახ 1997 წლამდე) დიახ 1997 წელს ან შემდგომ არა		0.20	0.17	-1.86	0.0630	0.03	1.09
	არ იქნა გამოყენებული ანალიზში, როგორც საუკეთესო პრედიქტორი						

სამწუხაროდ, კვლევაში მონაწილე ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა მცირე რიცხვის გამო - 43 პირი, არ იყო შესაძლებელი ლოგისტიკური ანალიზის ჩატარება ამ ჯგუფში და ანალიზი შემოიფარგლა მხოლოდ არამომხმარებელი მონაწილეების რისკ ფაქტორების შეფასებით.

ცხრილი #10 C ჰეპატიტის ანტისხეულების დადებითობის ლოგისტიკური რეგრესიის მოდელი ინექციური გზით ნარკოტიკების არა-მომხმარებელ მონაწილეთა შორის

შენიშვნა: მოდელის ალბათობის ფარდობითი მაჩვენებელი: $\chi^2 = 26.29$; $p < 0.005$; ფსევდო $R^2 = 0.11$; მნიშვნელოვანი დამოკიდებულებები მოცემულია მუქი ფონტით.

კატეგორიები	<i>OR</i>	<i>SE</i>	<i>Z</i>	<i>P > z</i>	<i>95% CI</i>	
დემოგრაფიული მონაცემები						
სქესი (საბაზისო - მამრობითი)						
მდედრობითი	0.41	0.27	-1.34	0.1820	0.11	1.51
ასაკი (საბაზისო 18-30)						
31-41	2.71	1.88	1.44	0.1500	0.70	10.57
42-55	2.67	1.88	1.39	0.1630	0.67	10.61
> 55	3.62	2.48	1.88	0.0610	0.94	13.87
ექსპოზიციური ცვლადები						
ოდესმე სგგი (საბაზისო - დიახ)						
არა	0.56	0.33	-0.97	0.3320	0.18	1.79
არ ვიცი/არ მახსოვს	0.75	0.74	-0.29	0.7690	0.11	5.15
უარი პასუხზე						
						ამოღებული იქნა ახალიზიდან როგორც საუკეთესო პრედიქტორი
სქესობრივი პარტნიორების რიცხვი (საბაზისო 0-3)						
4-6	0.40	0.48	-0.76	0.4460	0.04	4.18
>6	0.79	0.64	-0.28	0.7770	0.16	3.89
არ ვიცი/არ მახსოვს	0.98	0.75	-0.02	0.9830	0.22	4.42
უარი პასუხზე						
						ამოღებული იქნა ახალიზიდან როგორც საუკეთესო პრედიქტორი
ოდესმე სისხლის გადასხმა (საბაზისო -დიახ)						
არა	0.14	0.06	-4.28	0.0000	0.06	0.35

როგორც ლოგისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, არამომხმარებელთა შორის მხოლოდ ოდესმე სისხლის გადასხმა აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პრედიქტორი C ჰეპატიტების ანტისხეულებზე დადებითობისა.

სხვა დანარჩენ ცვლადებთან დაკავშირებით კი დამოკიდებულება არ იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი (ცხრილი #10).

ამოცანა 2

აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით შედარებული იქნა 2001 და 2015-2016 წლების კვლევების მონაწილეთა ძირითადი მახასიათებლების პროცენტული მაჩვენებლები და კორელაციური და რეგრესიული ანალიზების შედეგები C ჰეპატიტის ანტისხეულებზე დადებითობის რისკ ფაქტორების შედარებითი ანალიზისთვის.

2001 წლის კვლევის მონაწილეთა საშუალო ასაკი – 39 წ. ნაკლები იყო 2015 წლის კვლევაში მონაწილეთა საშუალო ასაკთან შედარებით (43 წ.). თუ 2015 წლის კვლევის მონაწილეთა დიდი ნაწილი (60.1%) იყო დაქორწინებული, 2001 წლის კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა (67.8%) არ იყო დაოჯახებული. საინტერესო მიგნება იყო კონდომების რეგულარული მოხმარების პროცენტის 2-ჯერ და მეტი მაჩვენებელი 2001 წელს 2015 წ–თან შედარებით (20.8% vs 10.1%), თუმცა, მიუხედავად ამისა, სგვი ავადობის ისტორია არ იყო 2015 წლის პროცენტულ მაჩვენებელზე ნაკლები (10.6% 2001 წელს და 9.3% 2015 წელს). ცხოვრების მანძილზე სქესობრივი პარტნიორების რიცხვი ორივე შემთხვევაში 0-დან 3-მდე აღმოჩნდა. მნიშვნელოვანი განსხვავება აღინიშნა ინვაზიური სამედიცინო მანიპულაციების ისტორიის მონაცემების შედარებისას. კერძოდ, 2015–2016 წლების კვლევის მონაწილეთა 46.2%-ს ჰქონდა ჩატარებული რაიმე სახის ინვაზიური სამედიცინო ჩარევა, მაშინ როცა, მსგავსი მანიპულაცია ჩატარებული ჰქონდა 2001 წლის კვლევის მონაწილეთა მხოლოდ 8.3%-ს. დიდი იყო განსხვავება ასევე სისხლის რეციპიენტთა პროცენტში: 2015–2016 წწ. კვლევის მონაწილეთა 7%-ს გადაესხა სისხლი ან მისი პროდუქტები, მაშინ როცა 2001 წლის კვლევის მონაწილეთა შორის სისხლის რეციპიენტი მხოლოდ 2.3% აღმოჩნდა. რაც შეეხება ნარკოტიკების ინექციური გზით მოხმარებას,

აღნიშნული მცირედ, მაგრამ მაინც უფრო მაღალი იყო 2001 წლის კვლევის მონაწილეთა შორის - 8.1% vs. 6.2% (ცხრილი #11).

ცხრილი 11. 2015-2016 და 2001 წლების კვლევების მონაწილეთა ძირითადი მახასიათებლები

კატეგორიები	2015 წ		2001წ	
	N	%	N	%
<i>დემოგრაფიული მონაცემები</i>				
მამაკაცი	263	38.1	962	48.1
ოჯახური მდგომარეობა			1356	67.8
დაუქორწინებელი	142	20.6		
დაქორწინებული	415	60.1		
<i>ექსპოზიციის ისტორია</i>				
კონდომის რეგულარული გამოყენება	დიახ	70	416	20.8
ოდესმე სგგი ავადობა	დიახ	64	212	10.6
ცხოვრების მანძილზე სქესობრივი პარტნიორების რაოდენობა	0-3	467	2.6	2.5
ინვაზიური სამედიცინო მანიპულაციები	დიახ	319	165	8.3
ოდესმე სისხლის გადასხმა	დიახ	48	46	2.3
ოდესმე ნარკოტიკების ინექციური მოხმარება	დიახ	43	162	8.1

ასევე, 2015 წლის კვლევაში მონაწილე ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა მცირე რიცხვის გამო, შედარებული იქნა ორი კვლევის მხოლოდ ინექციური გზით ნარკოტიკების არამომხმარებელთა ნიმუშები. ცხრილში #12 მოცემულია 2001 წლის პოპულაციური კვლევის ინექციური ნარკოტიკების არამომხმარებელთა ფარდობითი რისკები. როგორც ამ კვლევაში, ასევე 2015 წლის კვლევაში მონაწილეთა ამ ნიმუშებში ოდესმე სისხლის გადასხმა იყო C ჰეპატიტის ანტისხეულებზე დადებითობის მნიშვნელოვანი პრედიქტორი.

თუმცა ფარდობითი რისკი მნიშვნელოვნად შემცირებულია 2015 წლის კვლევაში - 0.14 vs 6.2; 2015 წელს არამომხმარებელთა კოჰორტაში გამოვლინდა ახალი პრედიქტორიც, როგორცაა ინვაზიური სამედიცინო მანიპულაციების გამოცდილება, რომლის ფარდობითმა რისკმა 3.1 შეადგინა (ცხრილი #12).

ცხრილი #12. 2001 წლის პოპულაციური კვლევის ინექციური გზით ნარკოტიკების არამომხმარებელ მონაწილეთა C ჰეპატიტის ანტისხეულებზე დადებითობის ფარდობითი რისკები

კატეგორიები	2001 წ	
	OR (95%CI)	ინტერვალი
<i>დემოგრაფიული მონაცემები</i>		
მამაკაცი	3.9	1.4-10.9
ასაკი		
18-28	რეფერენსი	რეფერენსი
29-40	2.6	0.7-9.8
41-48	1.7	0.4-7.1
>48	1.2	0.3-5.3
<i>ექსპოზიციის ისტორია</i>		
კონდომის რეგულარული გამოყენება		
დიახ	1.4	0.5-4.0
ოდესმე სგგი ავადობა		
დიახ	1.8	0.6-5.5
ცხოვრების მანძილზე სქესობრივი პარტნიორების რაოდენობა -		
0-3	0.4	0.1-1.7
4-6	3.2	0.9-11.7
>6	0.9	0.2-3.7
ინვაზიური სამედიცინო მანიპულაციები		
დიახ	3.1	1.8-9.4
ოდესმე სისხლის გადასხმა		
დიახ	6.2	1.7-23.1

ამოცანა 3

საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის განხორციელებაში მიღწეული პროგრესი

2015 წლიდან დღემდე საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციისთვის უპრეცედენტოდ დიდი ძალისხმევა იქნა მიმართული როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სამედიცინო დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი სექტორის მხრიდან. C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამისთვის, როგორც მაღალი პრიორიტეტულობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამისთვის, გამოყოფილი იქნა მზარდი დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

2015-დან 2020 წლის ჩათვლით C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამისთვის ჯამურად სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილი იქნა 43 მილიონ

ლარზე მეტი ბიუჯეტი, რაც თითქმის სრულად - 99.4%-ით იქნა ათვისებული. წლების მიხედვით პროგრამის ფინანსური ხარჯები მოცემულია ცხრილში #13, რომლის თანახმად, ყველაზე დიდი დანახარჯი პროგრამის განხორციელებისას აღინა 2017 წელს - 9.5 მილიონი ლარი, რაც ასევე შეესაბამება C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში სკრინინგული, კონფირმაციული და სამკურნალო სერვისებზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის ზრდის პერიოდს. შემდგომ წლებში ფაქტიურმა ხარჯებმა შედარებით იკლო და თითქმის მიუახლოვდა 2015 წლის საწყის ნიშნულს - 6 მილიონ ლარს, რაც მეტწილად განაპირობა ქვეყანაში გავრცელებული კოვიდ-19 ეპიდემიის მძიმე ნეგატიურმა გავლენამ მოსახლეობის მიმართვიანობასა და ხელმისაწვდომობაზე; ზოგადად, ჯანმრთელობის დაცვის და კონკრეტულად C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სერვისებზე.

ცხრილი 13. C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის 2015-2020 წლების დაგეგმილი ბიუჯეტი და ფაქტიური ხარჯები ლარში.

	2015	2016	2017	2018	2019	2020	სულ
დაგეგმილი ბიუჯეტი (GEL)	6,061,833	7,585,284	9,518,120	6,407,000	7,167,490	6,355,230	43,094,957
ფაქტიური ხარჯი (GEL)	6,061,315	7,466,070	9,513,089	6,368,945	7,166,020	6,265,666	42,841,105

„C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამა“ დამტკიცებული იქნა 2015 წლის 20 აპრილს საქართველოს მთავრობის #169 დადგენილებით. პროგრამის პირველი ფაზა ღვიძლის დაზიანების მქონე 5000 პაციენტის მკურნალობას მოიცავდა.

პროგრამის მოსარგებლენი არიან:

- საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირები;

- პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული ბრალდებულები /მსჯავრდებულები, საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის არქონის მიუხედავად;
- „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის შესაბამისი წლის დადგენილებით დამტკიცებული – „აივ ინფექცია/შიდსის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ HCV კონფექციის მქონე ბენეფიციარები.
- პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები;
- „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის შესაბამისი წლის დადგენილებით დამტკიცებული „დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამის“ თირკმლის ტერმინალური დაავადების მქონე (ჰემოდიალიზზე ან პერიტონეალურ დიალიზზე მყოფი) ბენეფიციარები.
- ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მათთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000 ერთეულს;
- ვეტერანები.⁶⁹

2016 წლის 10 ივნისიდან ღვიძლის დაზიანების კრიტერიუმი გაუქმდა და პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობა მიეცა ყველა პაციენტს. პროგრამა ითვალისწინებს C -ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკას, კლინიკური მონიტორინგისთვის აუცილებელი კვლევების ჩატარებას, ექიმის კონსულტაციას, ფარმაცევტული პროდუქტით უზრუნველყოფასა და მედიკამენტების ლოჯისტიკას. პირველ ეტაპზე მკურნალობის წინა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონიტორინგისთვის საჭირო კვლევების თანაგადახდა შეადგენდა 70%, გარდა სოციალურად დაუცველთა ოჯახებისა

⁶⁹ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო - C -ჰეპატიტის მართვა <https://www.nha.gov.ge/ge/c/c-hepatiti>

(რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს), რომელთათვისაც თანაგადახდა შეადგენდა 30%-ს. თანაგადახდების დაფინანსება სრულად ან ნაწილობრივ ხორციელდებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ.

უახლოესი თაობის ანტივირუსულ მედიკამენტებს („ეპკლუსა“ და „ჰარვონი“, საჭიროების შემთხვევაში, „რიბავირინი“) პაციენტები უსასყიდლოდ ღებულობენ. 2017 წელს თბილისის მერიამ სამწუხაროდ შეწყვიტა C-ჰეპატიტის დიაგნოსტიკების დაფინანსება და მომსახურების თანადაფინანსება შეუნარჩუნდათ მხოლოდ სოციალურად დაუცველებს. აღნიშნულმა ნეგატიურად იმოქმედა მკურნალობის პროგრამაში პაციენტების ჩართვის დინამიკაზე. პაციენტთა მკურნალობაში ჩართვის პროცესის წახალისების მიზნით 2019 წლის აგვისტოდან მკურნალობის მთელ კურსს, დიაგნოსტიკიდან მკურნალობის პროცესის ჩათვლით (მედიკამენტები, მონიტორინგის კვლევები), 100%-ით ფარავს სახელმწიფო.

ქვეყანაში განხორციელებული მრავალმხრივი ინტერვენციებისა და ინოვაციური მოდელების დანერგვის შედეგად საქართველო, C-ჰეპატიტის ელიმინაციის სტრატეგიულ სამიზნეების მიღწევის მხრივ, გახდა როგორც რეგიონში, ისე მსოფლიო მასშტაბით ერთი-ერთი მოწინავე ქვეყანა. კერძოდ, 2021 წლის 31 მაისისთვის საქართველოში C-ჰეპატიტის ელიმინაციის სტრატეგიის ძირითადი სამიზნეების შესაბამისად მიღწეული იქნა შემდეგი აღსანიშნავი შედეგები (ცხრილი #14):

მოსახლეობის მოცვა C-ჰეპატიტის ვირუსის ანტისხეულებზე (antiHCV) სკრინინგული ტესტირებით

2015 წლიდან 2021 წლის მაისის ჩათვლით ქვეყანაში სულ ჩატარებული იყო C-ჰეპატიტზე 4.9 მილიონი სკრინინგული ტესტირება 1500 პროვაიდერი კლინიკის ბაზაზე.

ცხრილი #14. საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის სტრატეგიის ძირითადი სამიზნეების შესაბამისად მიღწეული შედეგები აბსოლუტურ და პროცენტულ რიცხვებში

ს ა მ ი ზ ნ ე ე ბ ი	მიღწეული მაჩვენებელი აბსოლუტურ რიცხვში	მიღწეული პროცენტული მაჩვენებელი
საქართველოს 2,85 მილიონი მოზრდილი მოქალაქის გამოკვლევა C ჰეპატიტზე სკრინინგული მეთოდებით	გამოკვლეულია 2.1 მილიონი	75.8
C ჰეპატიტის ქრონიკული ინფექციის მტარებელი 135 ათასი პირის (დაავადებულთა 90%) გამოვლენა	გამოვლენილია 92,341	68.4
ჰეპატიტის ქრონიკული ინფექციის მტარებელი 128,250 ათასი (გამოვლენილთა 95%) ადამიანის მკურნალობა	მკურნალობაში ჩაერთო 74,150	57.3

განმეორებითი სკრინინგების გამორიცხვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ტესტირებით მოცული იქნა 2.16 მილიონი პირი, ტესტით დადებითობის კუმულაციურმა მაჩვენებელმა შეადგინა 6.5%.


დიაგრამა #15-ზე გამოსახულია C ჰეპატიტის ვირუსის ანტისხეულებზე სკრინინგის, კონფირმაციული კვლევებისა და მკურნალობაში ჩართვის დინამიკა თვეების მიხედვით საქართველოში 2015 წლის იანვრიდან 2021 წლის მაისის ჩათვლით.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2015 წლიდან 2016 წლის ნოემბრამდე ქვეყანაში შედარებით მცირე რაოდენობით სკრინინგული ტესტები ტარდებოდა, თუმცა საკმაოდ მაღალი - 20%-დან 45%-მდე იყო ტესტით დადებითობის წილი. 2016 წლის ნოემბრიდან დაიწყო ქვეყანაში ტესტირების ეტაპობრივი გაფართოება. ყველაზე დიდი რაოდენობით ტესტირება - 130,000, ჩატარდა 2019 წლის სექტემბრის თვეში. ტესტირების რაოდენობის ზრდასთან ერთად მოხდა დადებითობის პროცენტული წილის შემცირება 3-4%-მდე.

მნიშვნელოვანი აღმოჩნდა კოვიდ-19 ეპიდემიის უარყოფითი გავლენა C ჰეპატიტის ანტისხეულებზე ტესტირების მაჩვენებლებზე კონფირმაციული

ტესტით გამოკვლეული და გამოვლენილი ქრონიკული დაავადების მქონე პირების მკურნალობაში ჩართვის მაჩვენებლებზე. კერძოდ, თუ 2019 წელს გამოკვლეულ პირთა რაოდენობა იყო 585,000, 2020 წელს ეს რაოდენობა განახევრდა და შეადგინა 288,000 პირი. 2020 წლის მაისის თვიდან 2021 წლის აპრილის ჩათვლით (12 თვე) სულ გამოკვლეული იყო 248,968 მოქალაქე, რომელთაგან 9,216 აღმოჩნდა სკრინინგ-დადებითი. სულ ერთი წლის განმავლობაში ჩატარდა 854,860 ტესტი, დადებითობის პროცენტმა შეადგინა 3.7%.

დიაგრამა #15.




<18 წლის ბავშვებისა და მოზარდების გამორიცხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ საქართველოში C ჰეპატიტზე სკრინინგი ჩატარებული აქვს 2,164,319 მოზრდილ პირს, რაც ეროვნული ელიმინაციის სტრატეგიის სამიზნე მაჩვენებლის 75.8%-ს შეადგენს (აქედან პირადი ნომრით იდენტიფიცირებულია 2,045,775 პირი). სკრინინგის შედეგად გამოვლენილი იქნა C ჰეპატიტის ვირუსის ანტისხეულზე დადებითი 160,012 პირი, რაც ასევე სამიზნე მაჩვენებლის 74.4%-ია. სკრინინგული კვლევით მოცულ მოზრდილებს შორის C ჰეპატიტის ანტისხეულებზე დადებითობის მაჩვენებელმა შეადგინა 7.4% (მ.შ. პირადი

ნომრით იდენტიფიცირებულ 141,469 მოზრდილთა შორის დადებითობის პროცენტმა შეადგინა 6.9).

დიაგრამაზე #16 მოცემულია C ჰეპატიტის ანტისხეულებზე მოსახლეობის სკრინინგული კვლევის შედეგები მოზრდილ მოსახლეობაში ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (მაისი, 2021).

დიაგრამა #16



სკრინინგული კვლევით მოცვის ყველაზე დიდი რაოდენობა - 1,087,284 აღინიშნება 30-დან 60 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში. ამავე ჯგუფშია ყველაზე მაღალი დადებითობის მაჩვენებელიც - 10.5% (114,683 პირი). სკრინინგული კვლევით მაღალი მოცვა გამოვლინდა ასევე 60 წლის ზემოთ მოზრდილ მოსახლეობაში, დადებითობის შედარებით დაბალი პროცენტული მაჩვენებლით - 6.19% (38,973 პირი). C ჰეპატიტზე სკრინინგული კვლევით მოზრდილი მოსახლეობის ყველაზე მცირე რაოდენობა - 6,333 მოცულია 18-დან 30 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, დადებითობის პროცენტმა ამ ჯგუფში შეადგინა 2% (დიაგრამა #16).

კოვიდ 19 ეპიდემიის უარყოფითი გავლენა C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაზე განსაკუთრებით დიდი აღმოჩნდა 2021 წელს, როცა პირველი 5 თვის მანძილზე სულ ჩატარებული იყო მხოლოდ 251.709 სკრინინგული კვლევა, მათ შორის ანტისხეულდადებითი იყო 2.908 ტესტი (გამოვლენის მაჩვენებელი - 1.16%). C ჰეპატიტზე გამოკვლეულთა შორის უნიკალურ პირთა რაოდენობამ კი შეადგენა მხოლოდ 65.703.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოვიდ-19 ეპიდემიის მიმართ ყველაზე მდგრადი აღმოჩნდა სწორედ სამ ინფექციაზე სკრინინგის ინტეგრირებული მოდელი პირველადი ჯანდაცვის ქსელის ბაზაზე, რადგან ამ პროგრამის ფარგლებში ჩატარებული სკრინინგული კვლევების რიცხვი 2019 წელთან შედარებით 2020 წელს მხოლოდ 12%-ით შემცირდა, მაშინ, როცა კუმულაციურად ჩატარებული კვლევების რაოდენობამ ამავე პერიოდში ზოგადად 51%-ით იკლო.

	სკრინინგით გამოკვლეულ პირთა რ-ბასულ	სკრინინგი პირველად ჯანდაცვაში
2019	585 000	255 000
2020	288 000	251 000


მიუხედავად გატარებული კომპლექსური ღონისძიებებისა, სამწუხაროდ, C ჰეპატიტზე სკრინინგული ტესტირებით მოცვა სამიზნესათან შედარებით დაბალი რჩება თბილისში - 65.9%, თუმცა, რაოდენობრივად ყველაზე მეტი - 519,007 მოზრდილი ადამიანი იქნა სკრინინგული ტესტით გამოკვლეული დედაქალაქში. თბილისში საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა ტესტით დადებითობის პროცენტული მაჩვენებელიც - 9.5%.

როგორც აღმოჩნდა, C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციის როგორც გავრცელება, ისე სერვისებით მოცვა განსხვავებულია მოქალაქეების სქესის მიხედვით.

სკრინინგული ტესტირებით პირადი ნომრით იდენტიფიცირებული მამრობითი სქესის მოზრდილი მოსახლეობის C ჰეპატიტზე უნიკალური სკრინინგით მოცვა შეადგენს 70.3%-ს, ხოლო სკრინინგით ანტისხეულდადებითი შემთხვევების გამოვლენის მაჩვენებელი 11,1%-ს.

ცხრილში #15 მოცემულია 2015-2020 წლებში მამაკაცებში C ჰეპატიტზე სკრინინგით დადებითი შემთხვევების გამოვლენის მაჩვენებლის დინამიკა სკრინინგის მომენტისთვის ასაკობრივ ჯგუფში.

ცხრილი #15. C ჰეპატიტის ანტისხეულებზე დადებითი შემთხვევების გამოვლენის დინამიკა მამაკაცებში 2015-2020 წლებში



როგორც ცხრილიდან #15 ჩანს, ანტისხეულდადებითი შემთხვევების გამოვლენის მაჩვენებელი პროგრამის დაწყების პირველ წლებში განსაკუთრებით მაღალი იყო 40 წლის ზემოთ ასაკის მამაკაცებში, მათ შორის 50%-ზე მეტი იყო აღნიშნული მაჩვენებელი 50-59 და 60-69 წწ. ასაკობრივ ჯგუფებში. სავარაუდოდ, აღნიშნულის არგუმენტირებული საფუძველია 2015-2016 წლებში სკრინინგული მომსახურებით მაღალი დაინტერესება იმ პირების მხრიდან, რომელთაც უკვე იცოდნენ თავიანთი სტატუსი და გეგმავდნენ მკურნალობის პროგრამაში ჩართვას. ხოლო 2017 წლიდან ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა სკრინინგით მოცვის მაჩვენებლები და, შესაბამისად,

მოხდა სკრინინგით დადებითი შემთხვევების პროცენტული შემცირება სკრინინგით მოცული მოქალაქეების დიდი რაოდენობის ფონზე.

2015-2020 წლებში მამრობითი სქესის მოსახლეობაში ანტისხეულდადებითი პირების გამოვლენის ასაკობრივი განაწილება ზუსტად იმეორებს 2015 წელს ჩატარებული პოპულაციური კვლევის მონაცემებს. აღნიშნული შედეგების გათვალისწინებით, მამრობითი სქესის C ჰეპატიტზე გამოსავლენი ანტისხეულდადებითი პირები კონცენტრირებულია ძირითადად 30-49 წლის ასაკობრივ ჯგუფში და შესაბამისად სკრინინგით მოცვის კუთხით ძირითადი აქცენტი უნდა გამახვილდეს ამ ასაკობრივ კოჰორტებზე (ცხრილი #16).

ასევე მნიშვნელოვანია, რომ სკრინინგით გამოვლენილი მამრობითი სქესის C ჰეპატიტზე ანტისხეულდადებითი პირებიდან 17.3 ათასი პირი ჯერაც არ ჩართულა შემდგომ დიაგნოსტიკურ კვლევებში, ხოლო კონფირმაციით დადებითი პირებიდან 12.9 ათასს ჯერ არ მიუმართავს მკურნალობის დასაწყებად სპეციალიზებული სამედიცინო დაწესებულებებისთვის.

ცხრილი #16. მამაკაცებში C ჰეპატიტის ანტისხეულებზე სკრინინგული ტესტით მოცვის მაჩვენებლები და დარჩენილი სამიზნეები 2021-2025 წლებისთვის

ასაკი	რაოდენობა ქვეყანაში	AntiHCV დადებითები 2015 წლის კვლევის მონაცემებით	ასაკი სკრინინგის დროს		დარჩენილი სამიზნე 2021-2025 წლებისთვის		
			რაოდენობა რომელთაც ჩაუტარდა სკრინინგი	სკრინინგით დადებითთა რაოდენობა	დარჩენილი სკრინინგით მოსაცველი რაოდენობა	სკრინინგით დადებითთა სავარაუდო რაოდენობა	გამოვლენის სავარაუდო %
18-29	299,061	10,467	169,171	2,549	129,890	7,918	6.1
30-39	261,520	40,013	184,959	15,316	76,561	74,697	32.3
40-49	234,335	52,022	162,952	33,341	71,383	18,681	26.2
50-59	236,989	23,462	148,939	29,977	88,050	0	0
60-69	176,342	15,165	136,998	15,658	39,344	0	0
>70	127,838	10,866	136,512	7,084	0	3,782	0
სულ	1,336,085	155,000	939,531	103,925	405,228	55,078	13.6

რაც შეეხება ქალებს, პირადი ნომრით იდენტიფიცირებული მდედრობითი სქესის მოზრდილი მოსახლეობის C ჰეპატიტზე სკრინინგით მოცვამ შეადგინა 72.6%, ხოლო სკრინინგით ანტისხეულდადებითი შემთხვევების გამოვლენის მაჩვენებელი ქალებში აღმოჩნდა 3,4% (ცხრილი #17).

ცხრილი #17. ქალებში C ჰეპატიტის ანტისხეულებზე სკრინინგული ტესტით მოცვის მაჩვენებლები და დარჩენილი სამიზნეები 2021-2025 წლებისთვის

ასაკი	რაოდენობა ქვეყანაში	AntiHCV დადებითები 2015 წლის კვლევის მონაცემებით	ასაკი სკრინინგის დროს		დარჩენილი სამიზნე 2021-2025 წლებისთვის		
			რაოდენობა რომელთაც ჩაუტარდა სკრინინგი	სკრინინგით დადებითთა რაოდენობა	დარჩენილი სკრინინგით მოსაცველი რაოდენობა	სკრინინგით დადებითთა სავარაუდო რაოდენობა	გამოვლენის სავარაუდო %
18-29	282,350	3,106	176,461	1,425	105,888	1,681	1.59
30-39	263,186	6,580	218,582	3,917	44,604	2,663	5.97
40-49	243,273	9,001	167,425	6009	75,848	2,992	3.94
50-59	269,385	11,853	164,815	7,351	104,570	4,502	4.31
60-69	234,353	11,952	171,911	7,890	62,442	4,062	6.51
>70	230,913	12,931	207,049	10,952	23,864	1,929	8.29
სულ	1,523,460	55,423	1,106,244	37,544	417,216	17,829	4.29

როგორც ცხრილი #17-დან ჩანს, C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებული მდედრობითი სქესის პირები კონცენტრირებულნი არიან სამ ასაკობრივ ჯგუფში 40-დან 70 წლამდე. შესაბამისად, სკრინინგით მოცვის კუთხით ძირითადი აქცენტი უნდა გამახვილდეს სწორედ ამ ასაკობრივ კოჰორტებზე, რომელშიც სავარაუდოდ კონცენტრირებულია დარჩენილი გამოსავლენი ანტისხეულ-დადებითი ქალების დიდი ნაწილი.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ სკრინინგით გამოვლენილი მდედრობითი სქესის C ჰეპატიტზე ანტისხეულდადებითი პირებიდან 8.7 ათასი პირი არ ჩართულა შემდგომ დიაგნოსტიკურ კვლევებში, ხოლო კონფირმაციით დადებით 5 ათას ქალს არ მიუმართავს მკურნალობის დასაწყებად სამედიცინო დაწესებულებებისთვის.

ცხრილში #18 წარმოდგენილია 2015-2021 წლის მაისის ჩათვლით სკრინინგით იდენტიფიცირებული C ჰეპატიტზე ანტისხეულდადებითი პირების შემდგომ დიაგნოსტიკურ კვლევებსა და მკურნალობაში ჩართვის შედეგები. როგორც ცხრილიდან ჩანს, კონფირმაციული კვლევების რეკორდული რაოდენობა ჩატარდა 2016 წელს - 26,249 ტესტი, დადებითობის პროცენტმა შეადგინა 86% და შესაბამისად, ქრონიკული აქტიური C ჰეპატიტი დაუდასტურდა 22,594 პაციენტს. ასევე, დიდი რაოდენობით კონფირმაციული

კვლევა - 21,099 ჩატარდა 2019 წელს, რომელთაგან აქტიური C ჰეპატიტი დაუდასტურდა 15,725 პაციენტს, დადებითობის პროცენტმა შედარებით იკლო და შეადგინა 75%.

კოვიდ ეპიდემიის უარყოფითი გავლენა მნიშვნელოვანი აღმოჩნდა კონფირმაციულ კვლევებზე მიმართვიანობაზეც. 2020 წლიდან 2021 წლის მაისის ჩათვლით სულ ჩატარდა 14,579 კვლევა და გამოვლინდა აქტიური ინფექციის მქონე 9,820 პაციენტი, დადებითობის პროცენტმა იკლო 68%-მდე.


ცხრილი #18. 2015 წლიდან 2021 წლის მაისის ჩათვლით სკრინინგით იდენტიფიცირებული C ჰეპატიტზე ანტისხეულდადებითი პირების შემდგომ კონფირმაციულ დიაგნოსტიკურ კვლევებში ჩართვის შედეგები.

წლები	კონფირმაციული ტესტებით გამოკვლეულ პირთა რაოდენობა	კონფირმაციული კვლევით დადებით პირთა რაოდენობა	კონფირმაციული კვლევით დადებითობის %	კონფირმაციით დადებითების საშუალო თვიური რაოდენობა
2015	17,353	14,932	86	1867
2016	26,249	22,594	86	1883
2017	16,388	13,762	84	1147
2018	23,157	17,712	76	1476
2019	21,099	15,725	75	1310
2020	12,273	8,247	67	687
2021 (5 თვე)	2,306	1,573	68	393

2016 წელი ასევე გამორჩეული აღმოჩნდა C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამაში ჩართული პაციენტების რაოდენობის მხრივაც. სწორედ ამ წელს ჩაერთო მკურნალობის პროგრამაში პაციენტების რეკორდული რაოდენობა - 21 566, რაც კონფირმაციული კვლევით ამავე წელს დადასტურებული პაციენტების 95.5%-ს შეადგენს. 2016 წლის შემდეგ მკურნალობაში ჩართული პაციენტების რაოდენობამ იკლო და პრეკოვიდურ პერიოდში ეს მაჩვენებელი დაეცა 10,139-მდე 2018 წელს. 2020-2021 წლებში (მაისის ჩათვლით) კოვიდ 19 ეპიდემიის დროს მკურნალობაში ჩართული იქნა 9871 პაციენტი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ პერიოდში სულ კონფირმაციული კვლევით დადებითი იყო 9820 პაციენტი, მკურნალობაში ჩართვის მაჩვენებელი კოვიდ19 ეპიდემიის გათვალისწინებით უაღრესად მაღალია, რაც მიუთითებს სავარაუდოდ იმაზე, რომ მხოლოდ

მკურნალობის მაღალი მოტივაციის მქონე პაციენტებმა ჩაიტარა კონფირმაციული კვლევები (დიაგრამა #3) .

დიაგრამა #3.




2021 წლის მაისის ბოლოსთვის სულ კუმულაციურად ქვეყანაში გამოვლენილი იყო C ჰეპატიტის ვირუსის ანტისხეულდადებითი 143,207 პირი, აქტიური ინფექცია დაუდასტურდა 92,341 პირს და მკურნალობაში ჩაერთო 74,150 პაციენტი. დიაგრამაზე #4 მოცემულია C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სრული კასკადი საქართველოში 2015 წლის 28 აპრილიდან 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით. მკურნალობა დაასრულა 70 ათასზე მეტმა პაციენტმა, რომელთაგან განკურნების დამადასტურებელი SVR ტესტი ჩაიტარა მხოლოდ 52,646 პაციენტმა, რომელთა 98.9%-ში რეალურად დადასტურდა ქრონიკული აქტიური C ჰეპატიტისგან სრული განკურნება. აღნიშნული მაჩვენებელი საუკეთესოა მსოფლიო მასშტაბით და კიდევ ერთხელ ადასტურებს პირდაპირი

მოქმედების ანტივირუსული მედიკამენტებით მკურნალობის მაღალ ეფექტიანობას.

დიაგრამა #4. საქართველოში C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სრული კასკადი 2015 წლის 28 აპრილიდან 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით.


C ჰეპატიტის მკურნალობის კასკადი 2015 წლის 28 აპრილი – 2021 წლის 31 მაისი



დიაგრამაზე #5 მოცემულია საქართველოში C ჰეპატიტის მკურნალობაში ჩართვის ყოველთვიური მონაცემები 2015 წლის აპრილიდან 2021 წლის მაისამდე. როგორც დიაგრამიდან ჩანს, პაციენტების მკურნალობის ჩართვის მაჩვენებლები მაღალი იყო 2016 წლის ივლისი- ოქტომბრის შუალედში და ყველაზე დაბალ ნიშნულზე დავიდა 2020-2021 წლებში, რაც მეტწილად კოვიდ-19 ეპიდემიასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან გამოწვევებს და ჯანდაცვის სისტემის სრულად ამ პრობლემის მართვაზე გადასვლას უკავშირდება. მაგალითისთვის, 2020 წელს 2019 წელთან შედარებით 31%-ით ნაკლები (8,273 vs. 11,957) პაციენტი ჩაერთო C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამაში.


დიაგრამა #5. საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში მკურნალობაში ჩართული პაციენტები თვეების მიხედვით 2015 წლის 28 აპრილიდან 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით

HCV ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში მკურნალობაში ჩართული პაციენტები, 2015 წლის აპრილი – 2021 წლის მაისი



რაც შეეხება თბილისს, 2021 წლის მაისის მდგომარეობით სულ გამოკვლეული იყო სამიზნე პოპულაციის (17 წელზე უფროსი მოსახლეობა) მხოლოდ 58.4%. პოპულაციური კვლევის მიხედვით, სავარაუდო ანტისხეულდადებით პირთა რაოდენობა უნდა ყოფილიყო 74,626. ამ პერიოდისთვის ქ. თბილისში სკრინინგული ტესტით გამოკვლეულთა შორის დადებითი აღმოჩნდა 49,197 პირი, რაც სავარაუდო რაოდენობის 66.2%-ს შეადგენს. ანტისხეულდადებით პირთა 83.6%-მა ასევე ჩაიტარა კონფირმაციული კვლევა, აქტიური ინფექცია დაუდასტურდა 32,943 პირს (78.0%), მათი 85.1% კი ჩაერთო მკურნალობის პროგრამაში (დიაგრამა #6).

დიაგრამა #6. ქ. თბილისში C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობაში ჩართვის მაჩვენებლები 2015 წლის 28 აპრილიდან 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით



ელიმინაციის პროგრამის 90%-95%-95% სამიზნეების უშუალოდ ქ. თბილისზე გადმოტანით და ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოვლენილი ქ.თბილისში აქტიური ინფექციის მქონე პირთა ხვედრითი წილის - 5.2%-ის გამოყენებით, 2020 წლის ბოლოსთვის მხოლოდ ქ. თბილისის სამიზნეები ასე გამოიყურება:



აღნიშნულ სამიზნეებთან მიმართებაში კი მიღწეული შედეგები შემდეგია:

ქრონიკული ინფექციის მქონე პირთა გამოვლენა - 71.6%

გამოვლენილ პაციენტთა მკურნალობაში ჩართვა - 64.0%


როგორც წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, ქ. თბილისის მოსახლეობის C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის და მკურნალობის კასკადში ყველაზე პრობლემური

მისი პირველი საფეხურია - >17 წლის მოსახლეობის მოცვა C ჰეპატიტის ვირუსის ანტისხეულებზე სკრინინგული კვლევით.

კვლევის ფარგლებში ასევე შესწავლილი იქნა საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ერთ-ერთ ძირითად სამიზნე პოპულაციაში - ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლები, C ჰეპატიტზე სკრინინგული და კონფირმაციული ლაბორატორიული კვლევებითა და მკურნალობის პროგრამით მოცვის მაჩვენებლები, ზიანის შემცირების შპრიცისა და ნემსისა და მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამების მონაცემებზე დაყრდნობით.

შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის შპრიცისა და ნემსის პროგრამის მონაცემებით, 2016 წელს 25% და მეტი გაიზარდა ნიმ-ებში C ჰეპატიტის ანტისხეულებზე ტესტირებაზე მოთხოვნა და სკრინინგული ტესტი ჩაიტარა 24,658-მა ნიმ-მა, მათგან 44% იყო ტესტით დადებითი (დიაგრამა #7). ტესტირების მაჩვენებლის მეორე მსგავსი პიკი დაფიქსირდა 2018 წელს, როცა 24,842 ნიმ-ი იქნა გამოკვლეული C ჰეპატიტის ანტისხეულებზე, თუმცა, დადებითობის პროცენტმა იკლო და შეადგინა მხოლოდ 17%. 2020 წელს, მიუხედავად კოვიდ-19 ეპიდემიისა, ქვეყანაში სულ მცირედ შემცირდა C ჰეპატიტის ანტისხეულებზე გამოკვლეული ნიმ-ების რიცხვი - 23,587, თუმცა, დადებითობის პროცენტი 10%-მდე დაეცა.

დიაგრამა # 7.




ზიანის შემცირების პროგრამის ეფექტიანობის ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს ერთ ნიმ-ზე ქვეყანაში წლის განმავლობაში დარიგებული შპრიცებისა და ნემსების რაოდენობა. C ჰეპატიტის ელიმინაციის მიზნებისთვის აღნიშნული ინდიკატორის სამიზნეს წარმოადგენს 300 ცალი შპრიცისა და ნემსის გავრცელება ნიმ-ებს შორის წლის განმავლობაში. ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის მონაცემებით კი 2020 წლის ბოლოს აღნიშნულმა ინდიკატორმა ქვეყანაში ნიმ-ების სავარაუდო რაოდენობასთან მიმართებით მხოლოდ 70 ცალი შპრიცი და ნემსი შეადგინა, ხოლო უშუალოდ პროგრამის ბენეფიციარებზე გათვლით 107 ცალი. ცხრილში #19 მოცემულია 2016-2020 წლებში ნიმ-ებში გავრცელებული შპრიცისა და ნემსის წლიური რაოდენობების დინამიკა საქართველოში.

დიაგრამაზე #8 წარმოდგენილია ნიმ-ების სექსობრივ პარტნიორებში C ჰეპატიტის ანტისხეულებზე სკრინინგული კვლევის მონაცემები. როგორც დიაგრამიდან ჩანს, ნიმ-ების სექსობრივი პარტნიორების დაინტერესება ყველაზე მაღალი იყო 2017 წელს, როცა ნიმ-ის 3124 პარტნიორი იქნა გამოკვლეული, მათ შორის დადებითობის პროცენტმა შეადგინა 10.6. შემდეგ

ცხრილი #19. 2016-2020 წლებში ნიმ-ებში გავრცელებული შპრიცისა და ნემსის წლიური რაოდენობების დინამიკა საქართველოში

	2016	2017	2018	2019	2020
ზიანის შემცირების პროგრამის ფარგლებში დარიცხული შპრიცების და ნემსების რაოდენობა	3824016	3824016	3763324	3964912	3677707
ნიმ-ების სავარაუდო რაოდენობასთან მიმართებით გავრცელებული შპრიცებისა და ნემსების რაოდენობა ერთ ნიმ-ზე	77	77	71.68	76	70.1
ზიანის შემცირების პროგრამის ბენეფიციარების რაოდენობის შესაბამისად ერთ ნიმ-ზე გავრცელებული შპრიცებისა და ნემსების რაოდენობა	133.2	133.2	123	108	107.1


დიაგრამა #8. ზიანის შემცირების შპრიცისა და ნემსის პროგრამის ფარგლებში C ჰეპატიტის ანტისხეულებზე სკრინინგული კვლევით მოცული ნიმ-ების სქესობრივი პარტნიორების აბსოლუტური და პროცენტული რაოდენობები 2016-2020 წლებში



წლებში გამოკვლეულ პარტნიორთა რიცხვმა ეტაპობრივად იკლო და 2020 წელს შეადგინა მხოლოდ 1821. დადებითობის პროცენტი ასევე შემცირდა და შეადგინა მხოლოდ 2.9%.

უშუალოდ ქ. თბილისში ფუნქციონირებს ზიანის შემცირების შპრიცისა და ნემსის პროგრამის 4 სერვის ცენტრი და, შესაბამისად, C ჰეპატიტის ანტისხეულებზე სკრინინგული კვლევით მოცული ნიმ-ების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ თბილისში იყო გამოკვლეული. კერძოდ, მხოლოდ 2020 წელს სულ სკრინინგული ტესტირებით მოცული ნიმ-ების 40.7% (9,599 ნიმ-ი) გამოკვლეული იყო ქ. თბილისში. ამავე წელს გამოვლენილი C ჰეპატიტის ანტისხეულებზე დადებითი ნიმ-ების 35.4% ასევე იყო გამოვლენილი ქ. თბილისში. ზოგადად, 2020 წელს ქ. თბილისში გამოკვლეულ ნიმ-ებში C ჰეპატიტის ანტისხეულებზე დადებითობის პროცენტი ოდნავ ჩამოუვარდებოდა ამავე წელს ქვეყანაში სულ გამოვლენილი C ჰეპატიტის ანტისხეულებზე დადებითი ნიმ-ების პროცენტულ მაჩვენებელს შესაბამისად - 8.3% თბილისში და 9.5% სრულიად საქართველოში (დიაგრამა #9).

დიაგრამა # 9.



C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანის - ნიმ-ებში C ჰეპატიტის აქტიური ინფექციის პრევალენტობისა და ინციდენტობის შემცირებისთვის კრიტიკულ აუცილებლობას წარმოადგენს C

ჰეპატიტის ანტისხეულებზე სკრინინგული ტესტით დადებითი ნიმ-ების შემდგომი დროული გამოკვლევა C ჰეპატიტის კონფირმაციული კვლევებით და აქტიური ინფექციის მქონე ნიმ-ების ჩართვა მკურნალობის პროგრამაში, ასევე მათი მხარდაჭერა მკურნალობის დასრულების მიზნით, და ბოლოს, მკურნალობის საბოლოო შედეგის შესაფასებლად მკურნალობის დასრულებიდან სამი თვის თავზე მდგრადი ვირუსული პასუხის ტესტის (SVR 12) ჩატარება.

ქვეყანაში არსებული მკაცრი ნარკოპოლიტიკის და ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული მაღალი სტიგმის გამო ზიანის შემცირების შპრიცისა და ნემსის პროგრამის ფარგლებში ნიმ-ების რეგისტრაცია არ ხდება პიროვნების სახელმწიფო რეგისტრაციის ნომრით, არამედ სპეციალური ალგორითმის საფუძველზე ისინი რეგისტრირდებიან 15–ნიშნა ინდივიდუალური კოდით.

C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ბაზაში თავდაპირველად მოქალაქეების რეგისტრაცია ხდებოდა მხოლოდ სახელმწიფო რეგისტრაციის პირადი ნომრის საფუძველზე და მხოლოდ მოგვიანებით, 2018 წლიდან, გახდა შესაძლებელი C ჰეპატიტის ანტისხეულებზე გამოკვლეული ნიმ-ების რეგისტრაცია 15–ნიშნა ინდივიდუალური კოდით, თუმცა სკრინინგით დადებითი ნიმ-ების ამავე ბაზაში შემდგომ სერვისებზე რეგისტრაციისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სახელმწიფო რეგისტრაციის პირადი ნომრის დაფიქსირება, რაც გარკვეულ ბარიერს ქმნის ნიმ-ების მიერ მომსახურების მიღებისთვის. კერძოდ, ნიმ-ებში სკრინინგული ტესტის დადებითი შედეგის დაფიქსირების შემთხვევაში:

ა) C ჰეპატიტის ანტისხეულებზე დადებითი ნიმ-ი უარს ამბობს C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შემდეგი მომსახურების მიღებაზე;

ან

ბ) ნიმ-ი მიმართავს C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სპეციალიზებულ დაწესებულებას ისე, რომ არ ამჟღავნებს, რომ არის ნარკოტიკის ინექციური მომხმარებელი;

ან


გ) ნიმ-ი თანახმაა წარმოადგინოს სახელმწიფო რეგისტრაციის პირადი ნომერი ზიანის შემცირების შპრიცისა და ნემსის სერვის ცენტრშივე და მათი დახმარებით მიიღოს C ჰეპატიტის კონფირმაციული კვლევის მომსახურება.

C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ბაზაში ნიმ-ების რეგისტრაციის არსებული მოთხოვნების ფონზე გართულებულია C ჰეპატიტის ანტისხეულებზე სკრინინგული კვლევით დადებითი ყველა ნიმ-ის შემდგომი მიდევნება მომსახურების სრული კასკადის ანალიზისთვის და აღნიშნული ანალიზი შემოიფარგლება მხოლოდ იმ ნიმ-ებით, ვინც თანხმობა განაცხადა C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ელექტრონულ ბაზაში (ELIMC) სახელმწიფო პირადი ნომრით რეგისტრაციაზე.

კვლევის ფარგლებში გაანალიზებული იქნა 2018 წლის განმავლობაში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ელექტრონულ ბაზაში (ELIMC) რეგისტრირებული C ჰეპატიტის ანტისხეულებზე დადებითი ნიმ-ების შემდგომი სადიგნოსტიკო და სამკურნალო ნაბიჯები C ჰეპატიტის მკურნალობის კასკადის საფეხურების შესაბამისად. აღმოჩნდა, რომ 2018 წელს ზიანის შემცირების შპრიცისა და ნემსის პროგრამის ფარგლებში სკრინინგული ტესტირებით მოცული 20,958 ნიმ-იდან გამოვლენილი ტესტით დადებითი 4,969 პირიდან ELIMC-ში რეგისტრირებული იყო მხოლოდ 2,780 (55.9%) ნიმ-ი, მათგან მხოლოდ 1,626 (58.5%) ჩაიტარა კონფირმაციული კვლევა, აქტიური C ჰეპატიტი დაუდასტურდა 1370 (84.3%) ნიმ-ს, რომელთაგან მკურნალობის პროგრამაში ჩაერთო მხოლოდ 75.1% (1029) ნიმ-ი. ანალიზის პერიოდისთვის მკურნალობა დასრულებული ჰქონდა 892 (86.7%) ნიმ-ს, თუმცა განკურნების დამადასტურებელი მდგრადი ვირუსული პასუხის ტესტი (SVR 12) ჩატარებული ჰქონდა მხოლოდ 55.4%-ს (454). აღსანიშნავია, რომ იმ ნიმ-ებში, ვინც ჩაიტარა

განკურნების დამადასტურებელი SVR 12 ტესტი, მდგრადი ვირუსული პასუხი, ანუ სრული განკურნება დადასტურდა 97.6%-ში (დიაგრამა #10).

დიაგრამა #10. 2018 წელს ზიანის შემცირების შპრიცისა და ნემსის პროგრამის ბენეფიციარი C ჰეპატიტის ანტისხეულებზე დადებითი ნიმ-ების C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კასკადის მონაცემები



არსებული მკაცრი ნარკოპოლიტიკის პირობებში ნიმ-ებისთვის უშუალოდ C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, 2017 წლიდან აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრების საგრანტო პროგრამის დახმარებით, დაწყებული იქნა ზიანის შემცირების შპრიცისა და ნემსის პროგრამის სერვის ცენტრებში ინტეგრირებული C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამა. პროგრამის

განხორციელება ტექნიკურად შესაძლებელი გახდა *საერთაშორისო ორგანიზაციის FIND - ინოვაციური დიაგნოსტიკის ფონდის* მიერ ერთ-ერთი სამეცნიერო კვლევის ფარგლებში ამ ცენტრებისთვის შესყიდული ე.წ. მოვლის ადგილზე (point of care) გამოყენებადი გამარტივებული რნმ დიაგნოსტიკის აპარატით GeneXpert. აღნიშნულმა აპარატურამ შესაძლებლობა შექმნა უშუალოდ ზიანის შემცირების ქსელის ცენტრში მომხდარიყო სკრინინგით დადებითი ნიმ-ების კონფირმაციული ტესტირება ადგილზე და პასუხის მიწოდება 1 საათის განმავლობაში. კონფირმაციული კვლევის შესაძლებლობას დაემატა ადგილზევე მკურნალობის მომსახურებაც, რამაც შექმნა უნიკალური შესაძლებლობა ნიმ-ებისთვის, რომ ზიანის შემცირების ცენტრშივე მიიღონ C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სრული მომსახურება.

მიუხედავად უფრო ამბიციური გეგმებისა, 2020 წლის ბოლოსთვის ქვეყანაში ფუნქციონირებდა ზიანის შემცირების ცენტრებთან ინტეგრირებული მხოლოდ 4 ცენტრი. ცხრილში #20 წარმოდგენილია აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დიაგნოსტირებული და ნამკურნალები ნიმ-ების რაოდენობები წლების მიხედვით.


ცხრილი #20. ზიანის შემცირების შპრიცისა და ნემსის პროგრამის სერვის ცენტრებში ინტეგრირებული C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამის ფარგლებში დიაგნოსტირებული და ნამკურნალები ნიმ-ების რაოდენობა (2017-2020 წწ.)

ზიანის შემცირების პროგრამებში ინტეგრირებული C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამა	2017	2018	2019	2020
ნიმ-ების რაოდენობა ვისაც დაუდასტურდა აქტიური ინფექცია	1021	856	747	396
ნიმ-ების რაოდენობა, ვინც ჩაიტარა მკურნალობა	47	206	307	264

კვლევის ფარგლებში ასევე გაანალიზებული იქნა 2019 წლის ბოლოსთვის მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის (მჩთ) პროგრამაში ჩართული ნიმ-ების C


ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კასკადი (დიაგრამა #11). მთ პაციენტების (ვინც მიიღო მეთადონის თუნდაც ერთი დოზა წლის განმავლობაში) საერთო რაოდენობამ 2019 წლის ბოლოს შეადგინა 10,498 პირი. C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ელექტრონულ ბაზაში (ELIMC) რეგისტრირებული C ჰეპატიტის ანტისხეულებზე გამოკვლეული მთ პაციენტების რაოდენობა იყო 6,828, რაც პაციენტების საერთო რაოდენობის 65%-ს შეადგენს. ანტისხეულების ტესტით დადებითი იყო 5843 (86%) პაციენტი, მათგან 5476-მა (94%) ჩაიტარა აქტიური ინფექციის დამადასტურებელი კონფირმაციული ტესტირება. C ჰეპატიტის ვირუსით აქტიური ინფექცია დაუდასტურდა 5275 მთ პაციენტს, რაც კონფირმაციული ტესტით გამოკვლეულ პაციენტთა 96%-ს შეადგენს. C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამაში ჩაერთო 4000 (76%) პაციენტი. ანალიზის პერიოდისთვის მკურნალობა დასრულებული ჰქონდა 3772 (94%) პაციენტს, მდგრადი ვირუსული პასუხის SVR 12 ტესტის ჩატარება ეკუთვნოდა 3715 (93%) პაციენტს. რეალურად, აღნიშნული ტესტი ჩატარებული ჰქონდა პაციენტთა მხოლოდ 70%-ს, თუმცა განკურნების მაჩვენებელი ნიმ-ების ამ ჯგუფშიც მაღალი აღმოჩნდა - 97%.

დიაგრამა #11. 2019 წლის ბოლოსთვის მეთადონით ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში ჩართული ნიმ-ების C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კასკადი




იგივე კასკადი გაანალიზებული იქნა ცალკე ქ. თბილისში მცხოვრები მთ პაციენტებისთვის (დიაგრამა #12). აღმოჩნდა, რომ C ჰეპატიტის ვირუსის ანტისხეულებზე სკრინინგული ტესტით გამოკვლეული მთ პაციენტების დიდი უმრავლესობა, კერძოდ კი 78% (5304 პირი) ქ. თბილისის მცხოვრებელია. მათგან 87% (4605 პირი) სკრინინგული ტესტით დადებითი აღმოჩნდა, მათგან კონფირმაციული კვლევით აქტიური ინფექცია დაუდასტურდა 92%-ს (4251 პაციენტს), მკურნალობის პროგრამაში ჩართო აქტიური ინფექციის მქონე მთ პაციენტების 77% (3279 პირი), დაასულა მკურნალობა 3110 პაციენტმა (95%), მათ შორის ვინც ჩაიტარა მდგრადი ვირუსული პასუხის დამადასტურებელი SVR12 ტესტი სრულად განიკურნა 2135 პაციენტი.

დიაგრამა #12.



კვლევის ფარგლებში ჩვენს მიერ გაანალიზებული იქნა C ჰეპატიტის ანტისხეულებზე სკრინინგული ტესტირებისთვის მთ პაციენტების მიმართვიანობა სხვადასხვა პროფილურ სამედიცინო დაწესებულებებში და ასევე გეოგრაფიული კუთხით (დიაგრამა #13).

დიაგრამა #13. მჩთ პროგრამაში ჩართული ნიმ-ების C ჰეპატიტის ვირუსის ანტისხეულებზე სკრინინგული ტესტირებისთვის მიმართვიანობა სკრინინგის დაწესებულებების მიხედვით



აღმოჩნდა, რომ მჩთ პაციენტების 56%-მა C ჰეპატიტის ვირუსის ანტისხეულებზე სკრინინგული ტესტირებისთვის მიმართა დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სკრინინგის კაბინეტს, ან მისივე ზონალურ ან რეგიონულ ლაბორატორიებს. მჩთ პაციენტების 11% C ჰეპატიტის ვირუსის ანტისხეულებზე გამოკვლეული იყო ჰოსპიტლებში, 7%-ს სკრინინგული ტესტი ჩაუტარდა შპრიცისა და ნემსის პროგრამის ფარგლებში, 6%-ს – უშუალოდ მჩთ პროგრამის კლინიკაში, თანაბრად 4-4%-ს პირველადი ჯანდაცვის კლინიკაში, C ჰეპატიტის ეროვნულ სკრინინგ-ცენტრში და C ჰეპატიტის სპეციალიზებულ სამკურნალო ცენტრებში.

თავი 5. მიღებული შედეგების განხილვა

ამოცანა 1

ჩვენს მიერ განხორციელებული ქ. თბილისის მოსახლეობის C ჰეპატიტის ვირუსის ანტისხეულების პრევალენტობის და შესაბამისი რისკ-ფაქტორების კვლევის მონაცემების ანალიზის საფუძველზე გაკეთებული შეფასების თანახმად, C ჰეპატიტის

ვირუსის ანტისხეულებზე დადებითია მოსახლეობის საკმაოდ დიდი რაოდენობა - 8.1%, რაც ეროვნულ მონაცემთან შედარებით ოდნავ, 0.3%-ით, უფრო მაღალია⁷⁰. აღნიშნული მაღალი მაჩვენებელი თავის მხრივ, სავარაუდოდ, ასოცირდება ქ. თბილისის მოსახლეობაში C ჰეპატიტის გავრცელების ისეთი რისკ-ფაქტორების მაღალ პრევალენტობასთან, როგორცაა ინვაზიური სამედიცინო მანიპულაციების გამოცდილება, რაც ჩატარებული ჰქონდა რესპოდენტთა 42.6%-ს, ნარკოტიკების ინექციური მოხმარება, რაც დაადასტურა მონაწილეთა 6%-მა, მრავლობითი სქესობრივი პარტნიორების ყოლა - 12.6%, სგგი ავადობა - 9.3%; სისხლი ან მისი პროდუქტები გადაესხა მონაწილეთა 7%-ს, პათიმრობის ისტორია ჰქონდა 5.4%-ს, ხოლო ტატუირება - 11.5%-ს. რაც შეეხება კონფირმაციული კვლევით დადასტურებული აქტიური ინფექციის მაჩვენებელს, ის ქ. თბილისში მცხოვრებ რესპოდენტებს შორის პირიქით, ოდნავ უფრო დაბალია საერთო ეროვნულ მონაცემებთან შედარებით - 5.2% vs. 5.4%.

გარდა იმისა, რომ ნიმ-ები თავისთავად წარმოადგენენ C ჰეპატიტის მაღალი რისკის ჯგუფს, რის გამოც კვლევაში მონაწილე ნიმ-ების 55.8% (24/43) დადებითი აღმოჩნდა C ჰეპატიტის ვირუსის ანტისხეულებზე კვლევისას, მათში უფრო მაღალია ასევე C ჰეპატიტთან ასოცირებული სხვა სარისკო ქცევებიც, კერძოდ, ორჯერ და მეტად მაღალია მრავლობითი სქესობრივი პარტნიორების ყოლა - 27.9%, სგგი ავადობა - 18.6%, ოდესმე სისხლის გადასხმა - 16.3%. ნიმ-ებში განსაკუთრებით მაღალი აღმოჩნდა პათიმრობის (44.2%) და ტატუირების ისტორია (46.5%). ერთადერთი რისკ ფაქტორი, რომელიც უფრო დაბალი იყო ნიმ-ებში, ვიდრე მთლიან კოჰორტაში, არის ინვაზიური სამედიცინო მანიპულაციების გამოცდილება, რამაც, მიუხედავად იმისა, რომ 1.7-ჯერ უფრო ნაკლები იყო ნიმ-ებში, მაინც შეადგინა საყურადღებო - 27.9%.

კვლევის შედეგებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ლოგისტიკური რეგრესიის ანალიზის შედეგები, რამაც შესაძლებლობა მოგვცა ჩამოთვლილიდან გამოგვეყო ის რისკ-ფაქტორები, რომელთა ასოცირება C ჰეპატიტის ვირუსის გავრცელებასთან აღმოჩნდა სტატისტიკურად სარწმუნო ქ. თბილისის მოსახლეობაში.

⁷⁰ Hagan, L.M., Kasradze, A., Salyer, S.J. *et al.* Hepatitis C prevalence and risk factors in Georgia, 2015: setting a baseline for elimination. *BMC Public Health* **19**, 480 (2019). <https://doi.org/10.1186/s12889-019-6784-3>

როგორც ლოგისტიკური რეგრესიის ანალიზმა აჩვენა, წარმოდგენილი სარისკო ქცევებიდან მხოლოდ ნარკოტიკების ინექციური გზით მოხმარება და სისხლის გადასხმა აღმოჩნდა HCV ანტისხეულებზე დადებითობის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორები. კერძოდ, ნარკოტიკების ინექციური გზით მოხმარების ისტორიის მქონე პირებში 20-ჯერ უფრო მაღალი იყო HCV ანტისხეულებზე დადებითობის მაჩვენებელი ($1/0.05=20$), ვიდრე არამომხმარებლებში. ასევე, სისხლის გადასხმის ისტორიის მქონე პირებში 10-ჯერ უფრო მაღალი იყო HCV ანტისხეულებზე დადებითობის ალბათობა ($1/0.10 = 10$), ვიდრე ასეთი გამოცდილების არმქონე პირებში.

რისკ ფაქტორებთან დაკავშირებული აღნიშნული შედეგების შედარება საერთო ეროვნულ მონაცემებთან 2015-2016 წლებისთვის მოცემულია ცხრილში # 21.

ცხრილი #21. ქ. თბილისში ჩატარებული კვლევის ფარგლებში მიღებული C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციის რისკ ფაქტორებთან დაკავშირებული შედეგების შედარება საერთო ეროვნულ მონაცემებთან 2015-2016 წლებისთვის

კატეგორიები	ქ. თბილისი		ეროვნული მონაცემი	
	N	%	N	%
<i>დემოგრაფიული მონაცემები</i>				
მამაკაცი	263	38.1	2428	46.2
<i>ექსპოზიციის ისტორია</i>				
ოდესმე სგგი ავადობა	64	9.3	212	10.6
დიახ				
ცხოვრების მანძილზე სქესობრივი პარტნიორების რაოდენობა				
0-3	467	67.7	4232*	75.0
ინვაზიური სამედიცინო მანიპულაციები				
დიახ	319	46.2	3857	62.8
ოდესმე სისხლის გადასხმა				
დიახ	48	7.0	479	7.0
ოდესმე ნარკოტიკების ინექციური მოხმარება				
დიახ	43	6.2	208	4.2
ტატუირება				
დიახ	28	4.1	639	12.2

როგორც ცხრილიდან #21 ჩანს, ყველა ჩამოთვლილი რისკ ფაქტორის გავრცელება ქ. თბილისში უფრო დაბალია, ვიდრე ერთიანი ეროვნული მონაცემები. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ოდესმე ნარკოტიკების ინექციური გზით

მოხმარება, რაც 1.5-ჯერ უფრო მაღალი იყო ქ. თბილისში საერთო ეროვნულ შედეგებთან შედარებით.

საყურადღებოა ასევე რეგრესიული ანალიზის შედეგები, რომელმაც აჩვენა, რომ ქ. თბილისში მცხოვრებ რესპოდენტებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო განსხვავება ასაკოვან მონაწილეებსა და ახალგაზრდებს შორის HCV ანტისხეულებზე დადებითობის რისკის მხრივ. ცალსახად, 31 წლის და უფროს მონაწილეებში უფრო მაღალია HCV ანტისხეულებზე დადებითობის რისკი, ვიდრე 31 წელზე უმცროს მონაწილეთა შორის, რაც მნიშვნელოვანია C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში ეფექტიანი ღონისძიებების დასაგეგმად.

ელიმინაციის პროგრამის პროგრესის შეფასებისთვის მნიშვნელოვან მიგნებას წარმოადგენს ასევე, რომ, კვლევის მონაცემების მიხედვით, ქ. თბილისში მცხოვრები C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებული მოსახლეობის 46%-ზე მეტს არ ჰქონდა ჩატარებული ტესტირება და არ იცოდა საკუთარი ინფექციის შესახებ ელიმინაციის პროგრამის დაწყებამდე, 2015-2016 წლამდე. იმ პირებს შორის, რომელთათვისაც ცნობილი იყო ინფიცირების შესახებ, მხოლოდ 26%-ს ჰქონდა ჩატარებული რაიმე ტიპის მკურნალობა.

ამოცანა 2

აღნიშნული ამოცანის ფარგლებში მნიშვნელოვანი იყო ქ. თბილისის მოსახლეობაში როგორც დაავადების პრევალენტობის შედარება 2001 წელსა და 2015-2016 წლებში, დაავადების გავრცელების შეფასებისთვის, ასევე, მნიშვნელოვანი იყო რისკ ფაქტორების შედარებითი შეფასება ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში სისტემური გადაწყვეტილებების მიღებისა და ეფექტიანი ღონისძიებების დაგეგმვა/გაფართოებისთვის.

დაავადების პრევალენტობის მონაცემების შედარებამ აჩვენა, რომ 2001 წლიდან 2015 წლამდე პერიოდში, სავარაუდოდ, ქ. თბილისის მოსახლეობაში გაიზარდა C ჰეპატიტის ანტისხეულების მქონე პირების პროცენტული წილი. თუ 2001 წელს C ჰეპატიტის ანტისხეულების ტესტზე დადებითი იყო

გამოკვლევული მოსახლეობის 6.7%, 2015-2016 წლებში ჩატარებული კვლევის დროს ასეთი აღმოჩნდა გამოკვლევული მოსახლეობის 8.1%⁷¹.

უფრო მნიშვნელოვანი განსხვავება დაფიქსირდა სარიკსო ქცევების პროცენტული გავრცელების მონაცემებში 2001 წელსა და 2015-2016 წლებს შორის. კერძოდ, 2015–2016 წლების კვლევის მონაწილეთა 46.2%-ს ჰქონდა ჩატარებული რაიმე სახის ინვაზიური სამედიცინო ჩარევა, მაშინ, როცა მსგავსი მანიპულაცია ჩატარებული ჰქონდა 2001 წლის კვლევის მონაწილეთა მხოლოდ 8.3%-ს. ასევე, 2015–2016 წწ. კვლევის მონაწილეთა 7%-ს გადაესხა სისხლი ან მისი პროდუქტები, მაშინ როცა 2001 წლის კვლევის მონაწილეთა შორის სისხლის რეციპიენტი მხოლოდ 2.3% აღმოჩნდა. რაც შეეხება ნარკოტიკების ინექციური გზით მოხმარებას, აღნიშნული მცირედ, მაგრამ მაინც უფრო მაღალი იყო 2001 წლის კვლევის მონაწილეთა შორის - 8.1% vs. 6.2%. შესაბამისად, მართალია ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისში C ჰეპატიტის ვირუსით ინფექცია ძირითადად კონცენტრირებული იყო ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში, ბოლო 15 წლის განმავლობაში ქვეყანაში, მათ შორის დედაქალაქში, სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი ეტაპობრივი ზრდის ფონზე, ინფექციის გავრცელება მოხდა ნიმი-ების პოპულაციიდან მთელ მოსახლეობაზეც, რასაც, სავარაუდოდ, ხელი შეუწყო სამედიცინო დაწესებულებებში ინფექციის კონტროლის ზომების არასათანადოდ გატარებამ. როგორც აღნიშნული ორი კვლევის შედეგების შედარებამ აჩვენა, თუ 2001 წელს ნარკოტიკების მოხმარების გარდა, მხოლოდ სისხლის გადასხმის ისტორია იყო C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირების პრედიქტორი, 2015-2016 წლებში არამომხმარებელთა კოჰორტაში მას დაემატა ინვაზიური სამედიცინო მანიპულაციების გამოცდილებაც, რომლის ფარდობითი რისკი საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა - 3.1. აღნიშნული შედეგების საფუძველზე ცალსახად მნიშვნელოვანი იყო 2016-2020 წლების C ჰეპატიტის ელიმინაციის ეროვნულ გეგმაში ინფექციის კონტროლის ზომების მკაცრი

⁷¹ Stvilia K, Tsertsvadze T, Sharvadze L, et al. Prevalence of hepatitis C, HIV, and risk behaviors for blood-borne infections: a population-based survey of the adult population of T'bilisi, Republic of Georgia. Journal of Urban Health : Bulletin of the New York Academy of Medicine. 2006 Mar;83(2):289-298.

გატარების ცალკე ამოცანად გამოტანა და ამ მიმართულებით პოლიტიკის განმსაზღვრელი და მარეგულირებელი ჩარჩოს განახლება და პროგრამული გაძლიერება.

ამოცანა 3

საქართველოში, როგორც პილოტურ ქვეყანაში, C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებას წინ უძღვოდა შემდეგი ძირითადი წინაპირობები:

- ❖ მოსახლეობაში დაავადების გავრცელების მაღალი დონე;
- ❖ ქვეყნის მოსახლეობის მცირე რაოდენობა;
- ❖ ხელისუფლების პოლიტიკურ დღის წესრიგში დაავადების ელიმინაციის მაღალი პრიორიტეტულობა;
- ❖ ქვეყანაში შესაბამისი ადამიანური და ტექნიკური რესურსების არსებობა;
- ❖ ჯანდაცვის სისტემის მზაობა აღნიშნული ფართემასშტაბიანი პროგრამის განხორციელებისთვის;
- ❖ აივ ინფექცია/შიდსის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მხრივ არსებული მდიდარი და წარმატებული გამოცდილება;
- ❖ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა საერთაშორისო პარტნიორების, მათ შორის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრების, ფარმაცევტული კომპანია გილიადის, შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის, ინოვაციური დიაგნოსტიკის ფონდ FIND -ის და სხვათა მხრიდან.

მიუხედავად უპრეცედენტო პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერისა როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან და გაწეული მნიშვნელოვანი ძალისხმევისა, სამწუხაროდ, 2020 წლის ბოლოსთვის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული C ჰეპატიტის ელიმინაციის კრიტერიუმების მიხედვით, საქართველოში არ იქნა მიღწეული C

ჰეპატიტის ელიმინაცია, თუმცა ქვეყანა ცალსახად გავიდა ელიმინაციის მართონის წამყვან პოზიციებზე მსოფლიო მასშტაბით და უპირობო ლიდერს წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის. ცხრილში #22 მოცემულია საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციისთვის პროგრამის ფარგლებში მიღწეული შედეგები და გლობალური სამიზნეები და მიღწევები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 2021 წლის ანგარიშის შესაბამისად⁷².

მიღწეულ წარმატებაში მნიშვნელოვანია ასევე საერთაშორისო ტექნიკური მრჩეველების ჯგუფის - TAG (Technical Advisory Group) დახმარება, რომლის შეკრება ყოველწლიურად ხდებოდა წლის შედეგების გაანალიზებისა და მომავალი წლისთვის რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. აღნიშნული ჯგუფის მხარდაჭერას ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციისთვის პროგრამის წარმატებისთვის, რაც აღიარებული იქნა საერთაშორისო დონეზე. 2019 წელს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს EASL - ევროპის ღვიძლის შემსწავლელი ასოციაციის მიერ მიენიჭა C ჰეპატიტის ელიმინაციის ბრწყინვალე მიღწევების ცენტრის (Center of Excellence) წოდება⁷³. საქართველოს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის წარმატებებს მიეძღვნა არა ერთი სამეცნიერო სტატია და მოხსენება საერთაშორისო, თუ ადგილობრივ სამეცნიერო ფორუმებზე^{74, 75}.

ცხრილი #22. საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციისთვის პროგრამის ფარგლებში მიღწეული შედეგები, გლობალური სამიზნეები და მიღწევები

⁷² . Global progress report on HIV, viral hepatitis and sexually transmitted infections, 2021. Accountability for the global health sector strategies 2016–2021: actions for impact. Geneva: World Health Organization; 2021. Licence: CC BY-NC-SA 3.0 IGO.

⁷³ EASL-International Liver Foundation launch the first Center of Excellence in Viral Hepatitis Elimination in Georgia. European Association for the Study of the Liver (EASL)-International Liver Foundation. 2019 [cited 2019 May 22]; Available from: https://easl-ilf.org/wp-content/uploads/2019/04/EILF-Press-Release_COE.pdf.

⁷⁴ Tengiz Tsertsvadze, Amiran Gamkrelidze, Nikoloz Chkhartishvili, Akaki Abutidze, Lali Sharvadze, Vakhtang Kerashvili, Maia Butsashvili, David Metreveli, Lia Gvinjilia, Shaun Shadaker, Muazzam Nasrullah, Tamar Gabunia, Ekaterine Adamia, Stefan Zeuzem, Nezam Afdhal, Sanjeev Arora, Karla Thornton, Francisco Averhoff. Poster Presentation, Abstract #27. Progress towards achieving hepatitis C elimination in the country of Georgia, April 2015 – June 2020. International Viral Hepatitis Elimination Workshop IVHEM 2020 Digital conference.

⁷⁵ Francisco Averhoff, Shaun Shadaker, Amiran Gamkrelidze, Tatia Kuchuloria, Lia Gvinjilia, Vladimer Getia, David Sergeenko, Maia Butsashvili, Tengiz Tsertsvadze, Lali Sharvadze, Jaba Zarkua, Beth Skaggs, Muazzam Nasrullah. Progress and challenges of a pioneering hepatitis C elimination program in the country of Georgia. J Hepatol. 2020 Apr;72(4):680-687. doi: 10.1016/j.jhep.2019.11.019. Epub 2019 Dec 4.

ეროვნული სამიზნეები	მიღწეული მაჩვენებელი აბსოლუტურ რიცხვში	მიღწეული პროცენტული მაჩვენებელი	გლობალური სამიზნე 2020 წლისთვის	გლობალური მიღწევები 2019 წლის ბოლოს
საქართველოს 2,85 მილიონი მოზრდილი მოქალაქის გამოკვლევა C ჰეპატიტზე სკრინინგული მეთოდებით	გამოკვლეულია 2.1 მილიონი	75.8%		
C ჰეპატიტის ქრონიკული ინფექციის მტარებელი 135 ათასი პირის (დაავადებულთა 90%) გამოვლენა	გამოვლენილია 92,341	68.4	30%	15.2 მილიონი (21.4%)
ჰეპატიტის ქრონიკული ინფექციის მტარებელი 128,250 ათასი (გამოვლენილთა 95%) ადამიანის მკურნალობა	მკურნალობაში ჩაერთო 74,150	57.3	80% 2030 წლისთვის	9.4 მილიონი (13.6%)
ნიმ-ებში დარიგებული შპრიცისა და ნემსის რაოდენობა კალენდარული წლის განმავლობაში	70	35%	200	33 (16.5%)

როგორც ცხრილიდან #22 ჩანს, მსოფლიოს მასშტაბით ქრონიკული C ჰეპატიტის მქონე მოსახლეობის სავარაუდოდ მხოლოდ 21.4%-მა იცის საკუთარი ინფექციის შესახებ, მაშინ, როცა, 2021 წლის მაისის ბოლოსთვის საქართველოში ეს პროცენტი სამჯერ და უფრო მაღალია და 68.4%-ს შეადგენს. ასევე, თუ გლობალურად ქრონიკული C ჰეპატიტის მქონე პაციენტების მხოლოდ 13.6%-მა ჩაიტარა C ჰეპატიტის მკურნალობის სპეციფიკური კურსი, საქართველოში აღნიშნული პროცენტი 4-ჯერ და უფრო მაღალია და 57.3%-ს შეადგენს. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ზიანის შემცირების შპრიცისა და ნემსის პროგრამის ფარგლებში დარიგებული შპრიცების რაოდენობამ ნიმ-ების სავარაუდო რაოდენობასთან მიმართებით მხოლოდ 70-ს მიაღწია, რაც სამიზნის მხოლოდ 35%-ია, აღმოჩნდა, რომ ეს რაოდენობა სულ მცირე ორჯერ აღემატება მსოფლიოში საშუალოდ ერთ ნიმ-ზე გავრცელებული შპრიცების რაოდენობას - 33 ცალი (2017 წ.)⁷⁶.

⁷⁶ Global progress report on HIV, viral hepatitis and sexually transmitted infections, 2021. Accountability for the global health sector strategies 2016–2021: actions for impact. Geneva: World Health Organization; 2021. Licence: CC BY-NC-SA 3.0 IGO.

საქართველოს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის მიღწევები განსაკუთრებით დასაფასებელია სხვა ქვეყნების, მათ შორის მაღალი განვითარების ქვეყნების შედეგებთან შედარებით. 2021 წელს გამოქვეყნებული განახლებული ანალიზის მიხედვით, 45 განვითარებული ქვეყნიდან მხოლოდ 11 (ავსტრალია, კანადა, საფრანგეთი, გერმანია, ისლანდია, იტალია, იაპონია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია და ბრიტანეთი) წარმატებით მისდევს 2030 წლისთვის C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის სამიზნეებს. თუ არსებული ტემპი შენარჩუნდა, ავსტრალიაში, მალტაში, დაავადების ელიმინაცია შესაძლებელი იქნება 2040 წლისთვის, ხოლო სამხრეთ არაბეთსა და ტაივანში მხოლოდ 2050 წლისთვის. კიდევ 27 ქვეყანაში კი C ჰეპატიტის ელიმინაცია არ არის მოსალოდნელი 2050 წლისთვისაც.⁷⁷

ჯერ კიდევ 2017 წლის ოქტომბრის თვეში ბრისტოლის უნივერსიტეტის (მელბურნი, ავსტრალია) ექსპერტებთან ერთად განხორციელებული მოდელირების კვლევის თანახმად, რომელიც ეფუძნებოდა 2015-2016 წლების სეროპრევალენტობის კვლევის მონაცემებს, მანამდე ჩატარებულ კვლევებს ნიმ-ებში და მიზნად ისახავდა ელიმინაციის პროგრამის სამიზნის მისაღწევად ყოველთვიურად სამკურნალო პაციენტების რაოდენობის განსაზღვრას, აჩვენა, რომ ელიმინაციის პროგრამის წარმატებისთვის აუცილებელი იყო თვის განმავლობაში 2050 პაციენტის ჩართვა მკურნალობის პროგრამაში. თუმცა 2015 წლიდან 2017 წლის ოქტომბრისთვის ქვეყანაში ნამკურნალები იყო 40,420 პაციენტი, რაც გულისხმობს, რომ ამ გასული პერიოდისთვის საშუალოდ თვის განმავლობაში მკურნალობის პროგრამაში ჩართული იყო მხოლოდ 1,350 პაციენტი⁷⁸. შესაბამისად, მოდელირების მიხედვით, 2020 წლის ბოლომდე დარჩენილ პერიოდში თვის განმავლობაში ქვეყანაში სულ მცირე

⁷⁷ Gamkrelidze I., Pawlotsky JM., Jeffrey V. Lazarus, Jordan J. Feld, Stefan Zeuzem, Yanjun Bao, Ana Gabriela Pires dos Santos, Yuri Sanchez Gonzalez, Homie Razavi, **Progress towards hepatitis C virus elimination in high-income countries: An updated analysis. Liver International. 02 January 2021. <https://doi.org/10.1111/liv.14779>**

⁷⁸ **Projected impact and pathways to success of the hepatitis C virus elimination program in Georgia, 2015–2020**, Josephine G. Walker, L. Hagan, Hannah Fraser, N. Martin, J. Morgan, M. Nasrullah, F. Averhoff, D. Otiashvili, I. Chikovani, M. Aladashvili, M. Kuniholm, I. Kirtadze, L. Gvinjilia, Alexander Asatiani, D. Baliashvili, I. Khonelidze, K. Stvilia, M. Butashvili, T. Tsertsvadze, A. Gamkrelidze, V. Kvaratskhelia, P. Vickerman less, Published 2017, Medicine, Journal of Hepatology.

4000 პაციენტი უნდა ყოფილიყო ჩართული მკურნალობის პროგრამაში ელიმინაციის სამიზნის მისაღწევად.

აღნიშნული მოდელირების კვლევა გამეორებული იქნა 2019 წლის თებერვლის ბოლოს, როცა ქვეყანაში C ჰეპატიტის მკურნალობა ჩატარებული ჰქონდა 54,313 პაციენტს, რაც, 2017 წლის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, გულისხმობს საშუალოდ 1000 პაციენტის მკურნალობას თვის განმავლობაში. თუ აღნიშნულ მიღწევას შევადარებთ 2015-2016 წლების პოპულაციური კვლევის მონაცემებს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 53,313 პაციენტის მკურნალობამ მოგვცა შესაძლებლობა, რომ ქვეყანაში ქრონიკული C ჰეპატიტის პრევალენტობა შემცირებულიყო 37%-ით (ინტერვალი 30-44, სარწმუნოების ინტერვალი 95%), ინციდენტობა ასევე შემცირდებოდა 37%-ით (29-44), ხოლო სიკვდილობა - 14%-ით (3-30). ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში მიღწეული შედეგების მიხედვით, ქვეყანაში აცილებული იქნა ინფექციის 3,516 ახალი შემთხვევა და დაავადებით გამოწვეული სიკვდილობის 252 შემთხვევა. როგორც მოდელირებამ აჩვენა, თვის განმავლობაში 1000 პაციენტის მკურნალობის შემთხვევაში 2020 წლის ბოლოს ქვეყანაში აქტიური ინფექციის პრევალენტობა და ინციდენტობა შემცირდებოდა 51%-ით, და არა სამიზნე 90%-ით, ანუ 0.5%-მდე. ელიმინაციის პროგრამის ტექნიკურ მრჩეველთა ჯგუფის (TAG) რეკომენდაციით, ეროვნული სამიზნეების მისაღწევად საქართველოში დარჩენილი 22 თვის პერიოდში საშუალოდ თვის განმავლობაში უნდა ემკურნალა სულ მცირე 4,144 პაციენტი⁷⁹.

სამწუხაროდ, მკურნალობის თვითური რაოდენობის ასეთი მაღალი მაჩვენებლის მიღწევა და სტაბილურად შენარჩუნება ვერ მოხერხდა საქართველოში. როგორც დიაგრამიდან #6 ჩანს (გვერდი 89), ყველაზე მეტი პაციენტი დარჩენილ პერიოდში

⁷⁹ **Interim effect evaluation of the hepatitis C elimination programme in Georgia: a modelling study**, Josephine G Walker, Tinatin Kuchuloria, David Sergeenko, Hannah Fraser, Aaron G Lim, Shaun Shadaker, Liesl Hagan, Amiran Gamkrelidze, Valeri Kvaratskhelia, Lia Gvinjilia, Malvina Aladashvili, Alexander Asatiani, Davit Baliashvili, Maia Butashvili, Ivdity Chikovani, Irma Khonelidze, Irma Kirtadze, Mark H Kuniholm, David Otiashvili, Lali Sharvadze, Ketevan Stvilia, Tengiz Tsertsvadze, Mamuka Zakgelashvili, Matthew Hickman, Natasha K Martin, Juliette Morgan, Muazzam Nasrullah, Francisco Averhoff, Peter Vickerman, *Lancet Glob Health* 2020; 8: e244–53 Published Online December 18, 2019 [https://doi.org/10.1016/S2214-109X\(19\)30483-8](https://doi.org/10.1016/S2214-109X(19)30483-8)

ჩართული იყო მკურნალობაში 2020 წლის მაისში, მაგრამ ამ თვეშიც პაციენტების რაოდენობა არ აღემატებოდა 2500-ს.

ცხრილიდან #23 ჩანს, რომ ქვეყანაში ყველაზე ახლოს დაგეგმილ სამიზნეებთან არის C ჰეპატიტის ანტისხეულებზე სკრინინგული კვლევით მოცული პირების პროცენტული მაჩვენებელი - თითქმის 88% დაგეგმილი სამიზნისა იქნა მოცული სკრინინგული კვლევებით, დადებითობის პროცენტმა შეადგინა 7.4%, რაც ახლოსაა 2015-2016 წლების პოპულაციური კვლევის ფარგლებში გამოვლენილი ანტისხეულებზე დადებითობის პროცენტთან - 7.7%. აღნიშნული მაღალი მაჩვენებელი მიღწეული იქნა სკრინინგული პროგრამის სწრაფი ეტაპობრივი გაფართოებით როგორც სპეციალიზებული კლინიკების, ისე ჰოსპიტალური და პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრების ჩართვით. თუკი ელიმინაციის პროგრამის დასაწყისში C ჰეპატიტზე სკრინინგული კვლევა ტარდებოდა 80-მდე სამედიცინო დაწესებულებაში, 2019 წლის ბოლოსთვის ქვეყნის მასშტაბით სკრინინგის პროგრამაში ჩართული იყო 1500-მდე დაწესებულება, მათ შორის ამბულატორიები, ქალთა საკონსულტაციო ცენტრები, ჰოსპიტლები, ზიანის შემცირების ქსელის ცენტრები, სისხლის ბანკები და სხვ.

ელიმინაციის პროგრამის მხარდასაჭერად შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის პროგრამის ფარგლებში საქართველოში მსოფლიოში პირველად მოხდა „C ჰეპატიტის, ტუბერკულოზისა და აივ ინფექციის ინტეგრირებული სკრინინგის“ ინოვაციური მოდელის პილოტირება 2017 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. მოდელი გულისხმობს ქვეყანაში არსებული ამბულატორიული კლინიკების ქსელისა და სოფლის ექიმების დახმარებით სამ ინფექციაზე - C ჰეპატიტი, ტუბერკულოზი და აივ ინფექცია, ერთდროულ სკრინინგულ კვლევას. ამ მოდელის ფარგლებში პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმები აღნიშნულ სამ ინფექციაზე სკრინინგულ კვლევას სთავაზობენ მათზე მიმაგრებულ მოზრდილი პოპულაციის წარმომადგენლებს როგორც უშუალოდ კლინიკაში მისვლისას, ისე კარდაკარ გასვლითი ვიზიტების ფარგლებში, რისთვისაც იღებენ მცირე ფულად წახალისებას - ინსენტივს. პილოტის წარმატებით დასრულების შემდეგ, C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამისა და

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამების, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების უდიდესი მხარდაჭერით მოხდა მოდელის გავრცობა ქვეყნის დარჩენილ რეგიონებზეც, რამაც მინიმალური დანახარჯებით ქვეყანაში C ჰეპატიტის ანტისხეულებზე სკრინინგული კვლევებით მოსახლეობის მოცვის გაფართოების უნიკალური შესაძლებლობა შექმნა. მოდელის წარდგენა მოხდა არა ერთ საერთაშორისო ფორუმზე, მისი შედეგები ასახული იქნა ჯანმოს მიერ 2020 წელს სამეცნიერო ჟურნალ „ლანცეტში-ინფექციური სნეულებები“ გამოქვეყნებულ თემატურ სტატიაში⁸⁰ და ასევე მას მიეძღვნა ჯანმოს ოფიციალურ გვერდზე შესაბამისი პუბლიკაციაც (2021 წლის 5 მაისი)⁸¹.

ცხრილში #23. მოცემულია მოზრდილი მოსახლეობის C ჰეპატიტზე უნიკალური სკრინინგით მოცვა, რომელიც გაანალიზებული იქნა მოქალაქის იურიდიული რეგისტრაციის მისამართის მიხედვით, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების შესაბამისად.

ცხრილი #23. C ჰეპატიტის ანტისხეულებზე მოსახლეობის სკრინინგული კვლევის შედეგები საქართველოს რეგიონების მიხედვით

რეგიონი	სამიზნე (18)	დასკრინულ პირთა რაოდენობა	სავარაუდო antiHCV დადებით პირთა რაოდენობა (2015 წ)	სკრინინგ დადებით პირთა რაოდენობა	კონფირმაციის ტესტი ჩაიტარა	კონფირმაციული ტესტით დადებითი	მკურნალობაში ჩართული	დასკრინულთა %	სკრინინგ დადებითი %
სამეგრელო-ზემო სვანეთი	245,916	238,762	26,810	21,332	17,208	14,264	10,683	97.1	8.9
რაჭა-ლეჩხ-ქვემო სვანეთი	23,158	22,816		1,863	1,489	1,167	866	98.5	8.2
გურია	84,732	79,689		5,184	4,402	3,531	2,979	94.0	6.5
აჭარა	265,543	213,666	20,179	12,264	10,783	8,385	6,999	80.5	5.7
იმერეთი	388,692	312,201	29,155	22,623	17,961	13,980	10,580	80.3	7.2
კახეთი	241,390	168,334	10,858	5,997	4,901	3,863	3,097	69.7	3.6
მცხეთა-მთიანეთი	71,927	47,438		2,248	1,706	1,346	1,014	66.0	4.7
შიდა ქართლი	198,755	122,660	14,513	6,594	5,161	4,058	3,243	61.7	5.4
თბილისი	888,494	519,007	74,626	49,197	41,214	32,943	28,155	58.4	9.5

⁸⁰ Masoud Dara , Soudeh Ehsani , Antons Mozalevskis , Elena Vovc , Daniel Simões , Ana Avellon Calvo , Jordi Casabona I Barbarà , Otar Chokoshvili , Irina Felker , Sven Hoffner , Gulmira Kalmambetova , Ecatarina Noroc , Natalia Shubladze , Alena Skrahina , Rasim Tahirli , Tengiz Tsertsvadze , Francis Drobniwski. Tuberculosis, HIV, and viral hepatitis diagnostics in Eastern Europe and central Asia: high time for integrated and people-centred services. Lancet Infect Dis. 2020 Feb; 20 (2):e47-e53. doi: 10.1016/S1473- 3099(19)30524-9.

⁸¹ Integrated screening for infectious diseases: a success story from Georgia. <https://www.euro.who.int/en/countries/georgia/news/news/2021/5/integrated-screening-for-infectious-diseases-a-success-story-from-georgia>

ქვემო ქართლი	331,488	183,406	21,876	8,976	6,800	5,419	4,312	55.3	4.9
სამცხე-ჯავახეთი	119,467	77,563		1,740	1,283	988	757	64.9	2.2
აფხაზეთი და ოსეთი		6,621		1,367	920	783	494		20.6
დაუდგენელი		53,542		2,084	1,586	1,198	825		3.9
სულ	2,859,562	2,045,775	215,000	141,469	115,414	91,925	74,004	71.5	6.9

როგორც ცხრილიდან ჩანს (ცხრილი #23), სკრინინგული ტესტირებით მოცვის სამიზნე მაჩვენებელთან გაცილებით უფრო ახლოა დასავლეთ საქართველოს რეგიონებში მიღწეული პროცენტული მაჩვენებლები. კერძოდ, ადგილობრივი მოზრდილი მოსახლეობის სკრინინგული ტესტირებით მოცვის მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სადაც სამიზნე პოპულაციის 98.5%-ია ტესტირებული. ასევე მაღალია სკრინინგული ტესტირებით მოცვა გურიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთში, სადაც მოცვის მაჩვენებლებმა შეადგინა 94.0% და 97.1% შესაბამისად. მართალია, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მაცხოვრებელი მოქალაქეების შედარებით მცირე რაოდენობა იყო გამოკვლეული C ჰეპატიტზე სკრინინგული ტესტით, სულ 6,621 პირი, მათ შორის ძალიან მაღალი აღმოჩნდა დადებითობის მაჩვენებელი - 20.6%. სკრინინგული ტესტით დადებითობის მაჩვენებელი ასევე მაღალი დაფიქსირდა სამეგრელო ზემო სვანეთის (8.9%) და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში (8.2%).

ქ. თბილისის მოსახლეობის სკრინინგული კვლევებით მოცვის მაჩვენებელი სამწუხაროდ ჩამორჩება საერთო ეროვნულ მაჩვენებელს - დედაქალაქში სკრინინგული კვლევით მოცული იქნა სამიზნის მხოლოდ 58.4%, დადებითობის პროცენტულმა მაჩვენებელმა კი შეადგინა 9.5%.

აღნიშნული შედარებითი ჩამორჩენის შესაძლო მიზეზებს შორის მნიშვნელოვანია ქ. თბილისში გამოსაკვლევ მისახლეობის დიდი რიცხვი და პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების ბაზაზე C ჰეპატიტზე, აივ ინფექციასა და ტუბერკულოზზე ე.წ. ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამის შედარებით გვიან დაწყება ქვეყნის რეგიონებთან შედარებით. დედაქალაქში აღნიშნულ პროგრამას ძალა უნდა მოეკრიბა 2020 წელს, რასაც დაემთხვა კოვიდ-19 ეპიდემია თავისი მძიმე უარყოფითი შედეგებით ჯანდაცვის პროგრამების განხორციელებაზე, მათ შორის C

ჰეპატიტის ელიმინაციის ეროვნულ პროგრამაზე. 2020 წელს 25%-ით შემცირდა C ჰეპატიტის ანტისხეულებზე გამოკვლულ პირთა რაოდენობა 2019 წელთან შედარებით. კოვიდ 19 პანდემიის უარყოფითი გავლენა C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციაზე სკრინინგულ ტესტირებაზე სხვა ქვეყნებშიც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, მათ შორის აშშ-ში, სადაც, 2018 და 2019 წლებთან შედარებით, C ჰეპატიტზე ჩატარებული სკრინინგული ტესტირების რაოდენობა 2020 წელს 59%-ით შემცირდა. ასევე შემცირდა ჩატარებული რნმ კონფირმაციული ტესტების რაოდენობაც და წინა წლებთან შედარებით 62%-ით ნაკლები ტესტი იქნა ჩატარებული აშშ-ში⁸².

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოვიდ 19 ეპიდემიის მიმართ ყველაზე მდგრადი აღმოჩნდა სწორედ სამ ინფექციაზე სკრინინგის ინტეგრირებული მოდელი პირველადი ჯანდაცვის ქსელის ბაზაზე, რადგან ამ პროგრამის ფარგლებში ჩატარებული სკრინინგული კვლევების რიცხვი 2019 წელთან შედარებით 2020 წელს მხოლოდ 12%-ით შემცირდა, მაშინ, როცა საქართველოში კუმულაციურად ჩატარებული კვლევების რაოდენობამ ამავე პერიოდში ზოგადად 51%-ით იკლო (ცხრილი #24).

ცხრილი #24. კოვიდ 19 ეპიდემიის გავლენა C ჰეპატიტზე, აივ ინფექციასა და ტუბერკულოზზე ინტეგრირებული სკრინინგული პროგრამის შედეგებზე ზოგადად და პირველადი ჯანდაცვის რგოლში

	სკრინინგით გამოკვლულ პირთა რ-ბასულ	სკრინინგი პირველად ჯანდაცვაში
2019	585 000	255 000
2020	288 000	251 000

ამასთან, თუ რეგიონებში პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების ნაწილმა დროულად მოახდინა ადაპტირება და კოვიდ 19 პაციენტების ჩართვა

⁸² Decreases in Hepatitis C Testing and Treatment during the COVID-19 Pandemic. Harvey W. Kaufman, MD at all, American Journal of Preventive Medicine, Published: May 10, 2021 DOI: <https://doi.org/10.1016/j.amepre.2021.03.011>

ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამაში, ეს ვერ მოხერხდა ქ. თბილისის პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების მიერ, რის ობიექტურ მიზეზს წარმოადგენს დედაქალაქში პირველადი ჯანდაცვის ექიმების მიერ სამართავი კოვიდ 19 პაციენტების შედარებით დიდი რიცხვი და მნიშვნელოვნად მაღალი დატვირთვა.

კოვიდ 19 ეპიდემიის უარყოფითი გავლენა მნიშვნელოვანი აღმოჩნდა C ჰეპატიტის მოვლისა და მკურნალობის კასკადის სკრინინგული ტესტის შემდეგ საფეხურზე - კონფირმაციულ კვლევებზე. კერძოდ, 2020 წლიდან 2021 წლის მაისის ჩათვლით სულ ჩატარდა 14,579 კვლევა, რაც 31%-ით ნაკლებია 2019 წლის რაოდენობასთან შედარებით. გამოვლინდა აქტიური ინფექციის მქონე 9,820 პაციენტი. თუმცა, 2020-2021 წლებში (მაისის ჩათვლით) კოვიდ 19 ეპიდემიის დროს მკურნალობაში ჩართული იქნა აქტიური ინფექციის მქონე 9,871 პაციენტი, რაც უაღრესად მაღალი მაჩვენებელია და სავარაუდოდ, განპირობებულია აღნიშნულ პაციენტებში მკურნალობის მაღალი მოტივაციით.

2016-2019 წლებში ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ასევე აქტიურ C ჰეპატიტზე კონფირმაციული ტესტირების ხელმისაწვდომობაც და 2019 წლის ბოლოს აღნიშნული კვლევის რაოდენობრივი ტესტის ჩატარება სხვადასხვა ლაბორატორიულ პლატფორმაზე შესაძლებელი იყო C ჰეპატიტის სამკურნალო 16 სპეციალიზებულ ცენტრში და დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ლუგარის ლაბორატორიაში, ხოლო GeneXpert -ით კვლევები ხელმისაწვდომი იყო ზიანის შემცირების 4 ცენტრში და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 8 რეგიონულ ლაბორატორიაში. რაც შეეხება რნმ ხარისხობრივ კვლევას, ის ხელმისაწვდომი გახდა C ჰეპატიტის სამკურნალო 14 დაწესებულებაში. კონფირმაციული კვლევების მნიშვნელოვანი ხარჯების შემცირების მიზნით ქვეყანაში ასევე დანერგილი იქნა HCV ბირთვის ანტიგენის ტესტიც (HCVcAg), რაც გამოყენებული იქნა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ცენტრალიზებული ტესტირებისთვის ლუგარის ცენტრის ბაზაზე, სადაც არასპეციალიზებულ კლინიკებში სკრინინგით დადებითი ტესტის სისხლის ნიმუში იგზავნება კონფირმაციული კვლევისთვის.

მკურნალობა

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ქვეყანაში C ჰეპატიტის ვირუსით აქტიური ინფექციის მქონე პაციენტებისთვის მკურნალობაზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაც, რაც მოხდა ეტაპობრივად განხორციელებული მკურნალობის რეჟიმებისა და მკურნალობისთვის საჭირო ლაბორატორიული კვლევების გამარტივების და აღნიშნული მომსახურების დეცენტრალიზაციის გზით 2016-2019 წლებში. თუ ელიმინაციის პროგრამის დასაწყისში C ჰეპატიტის მკურნალობის მომსახურება ქვეყნის მასშტაბით სულ ხელმისაწვდომი იყო 4 სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებაში, 2019 წელს მომსახურების მიღება შესაძლებელი გახდა 40, მათ შორის 11 პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებაში. დეცენტრალიზაციის შედეგად მკურნალობის შესაძლებლობა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა 10-ჯერ და მეტად გაიზარდა და თითქმის ყველა რაიონში გახდა შესაძლებელი მსხვილ სპეციალიზებულ სამკურნალო დაწესებულებებთან აფილირებული პირველადი ჯანდაცვის ორგანიზაციების საშუალებით. ადგილობრივი კადრების მომზადებისა და მათი მუდმივი პროფესიული მეთვალყურეობისთვის კი გამოყენებული იქნა ნიუ მექსიკოს უნივერსიტეტის (აშშ) ECHO ონლაინ პლატფორმა⁸³, რომლის ფარგლებში შექმნილი სწავლებისა და კლინიკური მხარდაჭერის ე.წ. „ჰაბები“ გახდა ქვეყნის მასშტაბით სამედიცინო პერსონალის მომზადების და მათი კლინიკური ზედამხედველობის ონლაინ ცენტრები. ასევე, სპეციალიზებული კლინიკებისგან განსხვავებით, პირველადი ჯანდაცვის რგოლისთვის მოწოდებულია HCV დიაგნოსტიკური კვლევების და ანტივირუსული მკურნალობის მონიტორინგის შედარებით გამარტივებული მოდელი. კერძოდ: პირველადი ჯანდაცვის ქსელში HCV ანტივირუსული მკურნალობა უტარდებათ მხოლოდ იმ ქრონიკული C ჰეპატიტით პაციენტებს, რომელთაც აქვთ ღვიძლის მსუბუქი დაზიანება (FIB-4 ქულა < 1.45) და რომელთაც წარსულში ანტივირუსული მკურნალობა არ ჩატარებიათ.

⁸³ New Mexico University “ECHO” Program. <https://hsc.unm.edu/echo/>

როგორც თ. ცერცვაძის, ლ. შარვაძისა და ა. აბუთიძის კვლევის წინასწარი მასალები გვიჩვენებს, 2018 წლის აგვისტოდან 2020 წლის ივნისის ბოლომდე მთლიანობაში პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში C ჰეპატიტის მკურნალობაში ჩართული იქნა 798 პაციენტი, დაასრულა მკურნალობა 674-მა პაციენტმა, SVR ტესტი ჩაიტარა 428 პაციენტმა, განკურნების მაჩვენებელმა შეადგინა ძალიან მაღალი 99%. ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ HCV დიაგნოსტიკის და მკურნალობის გამარტივებული მოდელის დანერგვამ პირველადი ჯანდაცვის რგოლში შექმნა რეალური პერსპექტივა აქტიური C ჰეპატიტის მქონე პაციენტების კლინიკურ სერვისებში ჩართულობის და მკურნალობაზე დამყოლობის მაჩვენებლების და სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისთვის⁸⁴.

C ჰეპატიტის მოვლისა და მკურნალობის კასკადის ქ. თბილისის და ეროვნული მონაცემების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ თუ ეროვნული კასკადისთვის გამოწვევას წარმოადგენს სკრინინგული კვლევებით დადებითი პირების კონფირმაციული კვლევის უზრუნველყოფა და მკურნალობაში ჩართვა და ასეთი ქვეყანაში არის დაახლოებით 0.6 მილიონი ადამიანი, ქ. თბილისის კასკადში ყველაზე მნიშვნელოვანი ჩამორჩენა აღინიშნება კასკადის პირველივე სვეტში, ანუ სკრინინგული ტესტით მოცვის ნაწილში, სადაც სამიზნე მოსახლეობის 42% ჯერ კიდევ მოსაძიებელი და გამოსაკვლევაა, რაც ფაქტობრივ რაოდენობაში 370,000 ადამიანს შეადგენს. რაც შეეხება კასკადის დანარჩენ საფეხურებს, კერძოდ კი კონფირმაციული კვლევით მოცვას და მკურნალობაში პაციენტების ჩართვას, აქ პირიქით, დედაქალაქის მონაცემები ოდნავ უკეთესიცაა, რადგან, თუ ქვეყნის მასშტაბით სკრინინგდადებითი პირების კონფირმაციული კვლევით მოცვა შეადგენს 82%-ს, თბილისისთვის ეს მაჩვენებელი 84%-ია, ასევე მკურნალობაში ქ. თბილისში ჩაერთო დადასტურებული აქტიური ინფექციის მქონე პაციენტების 85%, რაც საერთო ეროვნულ მაჩვენებელს 4%-ით უსწრებს (დიაგრამა #14).


⁸⁴ T. Tsertsvadze, L. Sharvadze., A. Abutidze Nikoloz Chkhartishvili, Amiran Gamkrelidze, Lia Gvinjilia Maia Butsashvili, David Metreveli, Vakhtang Kerashvili, Shaun Shadaker, Muazzam Nasrullah, Tamar Gabunia, Ekaterine Adamia, Stefan Zeuzem, Nezam Afdhal, Sanjeev Arora, Management of hepatitis c in primary healthcare in the country of Georgia Abstract Number 3857 . The International Liver Congress™ 2020. Digital conference.

რაც შეეხება ქ. თბილისისთვის ჩვენი კვლევის ფარგლებში განსაზღვრულ ელიმინაციის პროგრამის სამიზნეებთან მიმართებაში 2020 წლის ბოლოსთვის მიღწევებს, ქ. თბილისის მაჩვენებლები ბევრად უსწრებს წინ საერთო ეროვნულ მაჩვენებლებს:

ქრონიკული ინფექციის მქონე პირთა გამოვლენა - 71.6% (საერთო ეროვნული მაჩვენებელი 68.4%)

გამოვლენილ პაციენტთა მკურნალობაში ჩართვა - 64.0% (საერთო ეროვნული მაჩვენებელი 57.3%)

დიაგრამა #14



თუ აღნიშნულ მიღწევებს შევადარებთ 2015-2016 წლების კვლევის შედეგებს (ამოცანა 1), რომლის მიხედვით იმ პირებს შორის, რომელთათვისაც ცნობილი იყო C კეპატიტის ანტისხეულებზე დადებითობის სტატუსი, მხოლოდ 26%-ს ჰქონდა ჩატარებული რაიმე ტიპის მკურნალობა, 2021 წლის მაისის თვისთვის ასეთი პირების 84%-ის კონფირმაციული კვლევით მოცვა და ამ კვლევით დადებითი პირების 85%-ის ჩართვა მკურნალობის პროგრამაში უდაოდ მნიშვნელოვანი პროგრესის და ელიმინაციის პროგრამის წარმატების მაჩვენებელია.

თუმცა, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ქ. თბილისში მცხოვრები C ჰეპატიტის ვირუსის ანტისხეულდადებით 8,000-მდე პირს ჯერ კიდევ არ ჩატარებია კონფირმაციული კვლევა და 4,788 ცნობილი აქტიური ინფექციის მქონე პირი არ ჩართულა მკურნალობის პროგრამაში.

მიკროელიმინაცია

C ჰეპატიტის მიკროელიმინაციის მოდელები არაერთ ქვეყანაში იქნა გამოყენებული მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფში დაავადების ელიმინაციის მიზნით. უფრო მეტიც, მიკროელიმინაციის მიდგომები დაინერგა ცალკეულ სამედიცინო დაწესებულებებშიც მათ ბაზაზე სკრინინგით გამოვლენილი C ჰეპატიტის ანტისხეულდადებითი პაციენტების მოძიების და მკურნალობაში ჩართვის მიზნით^{85 86}.

საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი იქნა პოპულაციის რიგი ჯგუფები, სადაც შესაძლებლად იქნა მიჩნეული შედარებით მცირე, მაგრამ ფოკუსირებული ინტერვენციებით C ჰეპატიტის ელიმინაცია. ამ ჯგუფებს შორის მოიაზრებოდა ტუბერკულოზით დაავადებულები, აივ ინფიცირებულები, ჰემოფილიით დაავადებულები, დიალიზზე მყოფი პირები, მედპერსონალი და ომის ვეტერანები.

ცხრილი #25. C ჰეპატიტის მიკროელიმინაციის შედეგები პოპულაციის ცალკეულ ჯგუფებში

⁸⁵ Guerra Veloz MF, Del Pino Bellido P, Cordero Ruiz P, Vega Rodriguez F, Bellido Muñoz F, Ramirez de Arellano E, Caunedo Álvarez A, Pascual Hernandez A, Carmona Soria I. HCV microelimination strategies: An interventional study in diagnosed patients without access to the system. *Liver Int.* 2021 May;41(5):928-933. doi: 10.1111/liv.14824. Epub 2021 Mar 8. PMID: 33587789.

⁸⁶ Garvey LJ, Cooke GS, Smith C, Stingone C, Ghosh I, Dakshina S, Jain L, Waters LJ, Mahungu T, Ferro F, Sood C, Freeman C, Phillips C, Dhairyawan R, Burholt R, Sharp H, Ullah S, Gilleece Y, Brown A, Orkin C, Rodger A, Bhagani S. Decline in Hepatitis C Virus (HCV) Incidence in Men Who Have Sex With Men Living With Human Immunodeficiency Virus: Progress to HCV Microelimination in the United Kingdom? *Clin Infect Dis.* 2021 Jan 27;72(2):233-238. doi: 10.1093/cid/ciaa021. PMID: 32211763; PMCID: PMC7840101.

Yen HH, Su PY, Liu II, Zeng YH, Huang SP, Hsu YC, Hsu PK, Chen YY. Retrieval of lost patients in the system for hepatitis C microelimination: a single-center retrospective study. *BMC Gastroenterol.* 2021 May 8;21(1):209. doi: 10.1186/s12876-021-01792-8. PMID: 33964873; PMCID:

Martin NK, Boerekamps A, Hill AM, Rijnders BJA. Is hepatitis C virus elimination possible among people living with HIV and what will it take to achieve it?. *J Int AIDS Soc.* 2018;21 Suppl 2(Suppl Suppl 2):e25062. doi:10.1002/jia2.25062

მოსახლეობის ჯგუფები	სამიზნე	სკრინინგით მოცული	სკრინინგ დადებითი	კონფირმაციით მოცული	კონფირმაციით დადებითი	მკურნალობა ში ჩართული
ტუბდაავადებულები	3245	2032 63%	437 21.5%	402 92%	321 80%	218 68%
აივ ინფიცირებულები	4544	4388 97%	1516 35%	1005 66%	923 92%	842 91%
ჰემოფილით დაავადებულები	394	391 99%	142 36%	105 74%	79 75%	61 77%
დიალიზზე მყოფი პირები	3058	2807 92%	629 22%	503 80%	392 78%	103 26%
მედპერსონალი	43859	26885 61%	762 2.8%	320 42%	240 75%	195 81%
ომის ვეტერანები	69254	41137 59.4%	4473 11%	3778 84%	3007 80%	2544 85%

როგორც ცხრილიდან #25. ჩანს, სკრინინგის ნაწილში მიკროელიმინაციის სამიზნე მიღწეულია ტუბდაავადებულ პირებში, აივ ინფიცირებულებში, დიალიზზე მყოფ და ჰემოფილით დაავადებულ პირებში, თუმცა ვეტერანებსა და მედპერსონალში ამ მხრივ მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა და სკრინინგული კვლევებით მოცულია სამიზნის დაახლოებით 60%. ანტისხეულდადებითობის პროცენტი ყველაზე მაღალი იყო აივ ინფიცირებულ და ჰემოფილით დაავადებულ პირებში, 35% და 36% შესაბამისად. კონფირმაციული კვლევებით მოცვის მხრივ გამოირჩევა ტუბდაავადებულები, 437 სკრინინგით დადებითი პაციენტების 92%-ს (407) ჩაუტარდა კონფირმაციული კვლევა. კონფირმაციული კვლევებით მოცვის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ასევე ვეტერანებსა და დიალიზზე მყოფ პაციენტებში, 84% და 80% შესაბამისად. რაც შეეხება მკურნალობაში ჩართვას, ამ მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია აივ ინფიცირებულ პირებში, აქტიური ინფექციის მქონე 923 პაციენტთა 91% (842) ჩაერთო C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამაში. აღნიშნული მაჩვენებელი ასევე მაღალია ვეტერანებსა და მედპერსონალში, 85% და 81% შესაბამისად. როგორც წარმოდგენილი მონაცემები გვიჩვენებს, მიკროელიმინაციის მიდგომა C ჰეპატიტის ელიმინაციის ერთ-ერთ ეფექტიან სტრატეგიას წარმოადგენს და იგი უნდა შენარჩუნდეს ქვეყანაში C ჰეპატიტის ელიმინაციის სტრატეგიის მომდევნო ეტაპზეც.

სკრინინგით დადებითი პირების მიდევნების პროგრამა

C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის როგორც ეროვნული, ისე დედაქალაქის კასკადებიდან ნათლად ჩანს იმ პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა, ვინც ჩაიტარა სკრინინგული ტესტი და ანტისხეულდადებითია, მაგრამ არ მიუმართავს კონფირმაციული კვლევის ჩასატარებლად. ეროვნულ დონეზე ასეთია 22,000-მდე პირი, მათ შორის თბილისში - 8000-მდე. ასევე, მნიშვნელოვანია იმ პირების რაოდენობაც, ვინც იცის, რომ აქვს აქტიური ინფექცია და საჭიროებს მკურნალობას, მაგრამ არ ჩართულა მკურნალობის პროგრამაში, და ასეთი ეროვნულ დონეზე არის 18,000-მდე პირი, მათ შორის თბილისში - 4800-მდე პირი. ამ მონაცემების ანალიზის საფუძველზე 2019 წლიდან აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრების ფინანსური მხარდაჭერით საქართველოში დაწყებული იქნა ასეთი პირების ე.წ. მიდევნების პროგრამა, რომელიც გულისხმობს სამედიცინო პერსონალის წახალისებას ამ პირებთან კომუნიკაციის საშუალებით მათი C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამის შემდეგომი საფეხურებით გათვალისწინებული სერვისებისთვის მიმართვიანობის უზრუნველყოფის მიზნით. მედპერსონალს ეძლევა აღნიშნულ პირთა საკონტაქტო ინფორმაცია და ისინი სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით იწვევენ პაციენტებს სერვისების მისაღებად. 2020 წლის ბოლოსთვის სულ აღნიშნული მოდელისთვის C ჰეპატიტის ელიმინაციის მონაცემთა ბაზიდან მოძიებული და გაფილტრული იქნა 7130 პირის ინფორმაცია, მათგან ტელეფონით დაკავშირება მოხერხდა 3822 პირთან, 2844-მა, ანუ მოძიებულთა 74%-მა ჩაიტარა კონფირმაციული ტესტი, აქტიური ინფექცია დაუდგინდა 1585 პირს, ხოლო მკურნალობაში ჩაერთო 758 პაციენტი, რაც ამ კოჰორტაში მკურნალობის საჭიროების მქონე პაციენტების 48%-ს შეადგენს. ინტერვენციის განხორციელების დროს გამოიკვეთა სამი მნიშვნელოვანი პრობლემა:

ა) პაციენტების ნაწილმა არ იცოდა, რომ იყო C ჰეპატიტის ანტისხეულების ტესტით დადებითი;

ბ) მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული ტელეფონების დიდი ნაწილი (60%) აღარ იყო მოქმედი, რის გამოც პიროვნებასთან დაკავშირება შეუძლებელი აღმოჩნდა.

არსებობს გადაუმოწმებელი ვარაუდიც, რომ იმ პირების ნაწილმა, ვისთანაც ვერ მოხერხდა დაკავშირება, შესაძლოა კიდევ დატოვა ქვეყანა და იმყოფება ემიგრაციაში.

გ) მხოლოდ მედპერსონალის წახალისება არ არის საკმარისი აღნიშნული პირების დასაინტერესებლად მკურნალობის პროგრამაში ჩართვისთვის. სავარაუდოდ, მნიშვნელოვანია მოხდეს უშუალოდ პაციენტების მატერიალური ან სხვა ფორმით (ჯანდაცვის ან სოციალური მომსახურება) წახალისება მათი C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამაში ჩართვის და დამყოლობის უზრუნველყოფისათვის. მსგავსი პრევენდენტი არსებობს, მაგალითად, ტუბერკულოზის მკურნალობის პროგრამაში, სადაც ხდება პაციენტების ფულადი წახალისება მკურნალობის რეჟიმზე დამყოლობის უზრუნველყოფის მიზნით.

იმ პაციენტების დიდი ნაწილი, ვისთვისაც უცნობი იყო C ჰეპატიტის ანტიხეულეებზე საკუთარი დადებითი სტატუსი, აღმოჩნდა, რომ გამოკვლეული იყო ჰოსპიტალური სექტორის ბაზაზე აღნიშნული სამედიცინო დაწესებულებებისთვის C ჰეპატიტზე პაციენტების სკრინინგის სახელმწიფო ვალდებულების შექმნის საფუძველზე. როგორც ანალიზმა აჩვენა, აღნიშნულ დაწესებულებებში სკრინინგული ტესტით დადებითი პაციენტების 20%-ზე ნაკლები იქნა წარმატებით გადამისამართებული C ჰეპატიტის ვირუსზე შემდგომი კონფირმაციული კვლევის მომსახურების მისაღებად და, საჭიროებისამებრ, მკურნალობის პროგრამაში ჩართვისთვის, რაც ცალსახად მიუთითებს მოდელის გაუმჯობესების აუცილებლობაზე უშუალოდ პაციენტების შემდგომ კვლევებსა და მკურნალობაში ჩართვის მხარდასაჭერად⁸⁷.

C ჰეპატიტის ელიმინაცია ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებში

როგორც კვლევის ფარგლებში მოპოვებული და გაანალიზებული მონაცემები გვიჩვენებს, მნიშვნელოვანი ძალისხმევა იქნა ჩადებული გასული 5 წლის მანძილზე ნიმ-ებზე, როგორც C ჰეპატიტის ელიმინაციის ეროვნული

⁸⁷ Shaun Shadaker, Muazzam Nasrullah, Amiran Gamkrelidze, Jessica Ray, Lia Gvinjilia, Tinatin Kuchuloria, Maia Butashvili, Vladimer Getia, David Metreveli, Maia Tsereteli, Tengiz Tsertsvadze, Ruth Link-Gelles, Alexander J. Millman, Aleksandre Turdziladze, 3 Averhoff, **Screening and linkage to care for hepatitis C among inpatients in Georgia's national hospital screening program**, Preventive Medicine, Volume 138, 2020, 106153, ISSN 0091-7435, <https://doi.org/10.1016/j.ypmed.2020.106153>, <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0091743520301778>

პროგრამის ერთ-ერთ ძირითად სამიზნე პოპულაციაზე, მიმართულ სკრინინგის და მკურნალობის ღონისძიებებში. ამ მხრივ ყველაზე ახლოს C ჰეპატიტის ელიმინაციის მხრივ აღმოჩნდა ნიმ-ების ის ნაწილი, ვინც ჩართულია მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის (მჩთ) პროგრამაში. როგორც ჩვენს მიერ ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, 2019 წლის ბოლოს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ელექტრონულ ბაზაში (ELIMC) რეგისტრირებული იყო C ჰეპატიტის ანტისხეულებზე გამოკვლეული 6,828 მჩთ პაციენტი. ანტისხეულების ტესტით დადებითი იყო 5,843 (86%) პაციენტი, მათგან 5,476-მა (94%) ჩაიტარა აქტიური ინფექციის დამადასტურებელი კონფირმაციული ტესტირება, C ჰეპატიტის ვირუსით აქტიური ინფექცია დაუდასტურდა 5,275 (96%) მჩთ პაციენტს. C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამაში ჩაერთო 4,000 (76%) პაციენტი. კიდევ უფრო დამაიმედებელი აღმოჩნდა შემდეგ წელს გაკეთებული ანალიზის შედეგები. კერძოდ, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, 2020 წლის ბოლოს 12,045 ნიმ-იდან, ვინც ისარგებლა მჩთ პროგრამით, 10,768 (89%) გამოკვლეული იყო C ჰეპატიტის სკრინინგული ტესტით, მათგან სკრინინგით დადებითი 9,079 პირიდან 88% იყო გამოკვლეული კონფირმაციული კვლევით. აქტიური ინფექცია დაუდასტურდა 6,711 ნიმ-ს, რომელთაგან მკურნალობაში ჩაერთო 5,773 (86%). როგორც ვხედავთ, მჩთ პაციენტების მხოლოდ მცირე ნაწილი რჩება C ჰეპატიტის ანტისხეულებზე გამოსაკვლევი და ასევე არ არის ძალიან დიდი რაოდენობა იმ პაციენტებისა - 1,089 პირი, ვინც უნდა ჩაიტაროს კონფირმაციული კვლევა. ამაზე ოდნავ ნაკლებია იმ პაციენტთა რაოდენობა - 938, ვინც იცის აქტიური C ჰეპატიტის ინფექციის სტატუსის შესახებ და უნდა ჩაერთოს მკურნალობის პროგრამაში. შესაბამისად, მცირე, მაგრამ მიზანმიმართული ინტერვენციით ახლო მომავალში სრულად შესაძლებელია მჩთ პროგრამის ბენეფიციარ ნიმ-ებში მიღწეული იქნას C ჰეპატიტის ელიმინაცია.

რაც შეეხება ზიანის შემცირების შპრიცისა და ნემსის პროგრამის ბენეფიციარ ნიმ-ებს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სტაბილურად იყო

შენარჩუნებული ყოველწლიურად 20,000-ზე მეტი ნიმ-ის სკრინინგული ტესტირება C ჰეპატიტის ვირუსის ანტიხეულებზე, თუმცა, სკრინინგით დადებითობის მნიშვნელოვანი შემცირება სავარაუდოდ უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ბენეფიციარების დიდმა ნაწილმა იცის საკუთარი C ჰეპატიტის ვირუსის ანტიხეულებზე დადებითობის შესახებ წინა წლებში ჩატარებული კვლევების შედეგად და არ საჭიროებს განმეორებით სკრინინგს. სავარაუდოდ, მათგან მნიშვნელოვან ნაწილს, სულ მცირე ნახევარს მაინც, ჩატარებული აქვს კონფირმაციული კვლევა და მკურნალობაც. როგორც ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, მხოლოდ 2018 წელს ELIMC-ში რეგისტრირებული ანტიხეულდადებითი 2,780 ნიმ-იდან კონფირმაციული კვლევა ჩაიტარა 1,626 (58.5%). აქტიური C ჰეპატიტი დაუდასტურდა 1370 (84.3%) ნიმ-ს, რომელთაგან მკურნალობის პროგრამაში ჩაერთო 75.1% (1029). თუმცა, ამ საკითხზე მსჯელობა ვერ ცდება ვარაუდის და მოდელირების დონეს ნიმ-ების სკრინინგის პროგრამასა და მკურნალობის პროგრამებში განსხვავებული რეგისტრაციის მეთოდების გამო. შედეგად, რეალურად ამ პოპულაციაში კონფირმაციული კვლევებითა და მკურნალობით მოცვის ფაქტობრივი მაჩვენებლებიც არ არსებობს. განსაკუთრებით ეს ეხება 2015-2017 წლებს, ხოლო 2018-2020 წლებში ნიმ-ების რეგისტრაცია ELIMC-ში დაიწყო არა მხოლოდ ეროვნული პირადი ნომრით, არამედ ზიანის შემცირების 15-ნიშნა ინდივიდუალური კოდითაც, თუმცა მაინც არასრულად.

შესაბამისად, თუ არ მოხერხდა რეგისტრაციის სისტემის უნიფიცირება, მომავალშიც რთული იქნება შპრიცისა და ნემსის პროგრამის ბენეფიციარ ნიმ-ებში აქტიური C ჰეპატიტის პრევალენტობის შეფასება და პაციენტების ეფექტიანი გადამისამართება მკურნალობის პროგრამაში ჩართვისთვის და მათთვის ზიანის შემცირების პროგრამის სოციალური მუშაკების მიერ მკურნალობაზე დამყოლობის მხარდაჭერის მომსახურების მიწოდება.

რეგისტრაციის უნიფიცირების ყველაზე მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული მკაცრი ნარკოპოლიტიკა, ადმინისტრაციული სასჯელისა და პატიმრობის შიში და ნარკოტიკების

მოხმარებასთან დაკავშირებული სტიგმის მაღალი დონე, ასევე დაბალზღურბლოვანი პრევენციული პროგრამებისთვის, როგორცაა შპრიცისა და ნემსის პროგრამა, მხარდამჭერი პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოს არარსებობა. იგივე ბარიერების გამო ვერ ხერხდება ქვეყანაში ზიანის შემცირების პროგრამის ფარგლებში დარიგებული შპრიცისა და ნემსის რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდა, ჯანმოს მიერ მოწოდებული რეკომენდაციების შესაბამისად.

თუმცა, ასევე უნდა აღინიშნოს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის განხორციელების პარალელურად, შპრიცისა და ნემსის პროგრამის სარგებლიანობის აღიარებისა და მისი ბენეფიციარების მიმღებლობის დონის მნიშვნელოვანი ამაღლება. უფრო მეტიც, სახელმწიფოს მხრიდან გადაიდგა მხარდამჭერი შემხვედრი ნაბიჯები შპრიცისა და ნემსის 5 ცენტრის ბაზაზე C ჰეპატიტის სამკურნალო ცენტრების ორგანიზებისათვის. აღნიშნულის ფინანსური მხარდაჭერა კი განხორციელდა აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრების მიერ. ინტეგრირებული სერვისის მიწოდება შესაძლებელი გახდა მკურნალობის კლინიკური მონიტორინგის ალგორითმის მნიშვნელოვანი გამარტივების შედეგად.

შპრიცისა და ნემსის პროგრამის ცენტრებში ინტეგრირებული C ჰეპატიტის სამკურნალო ცენტრების არსებობამ მოხსნა ნიმ-ების იმ ნაწილისთვის აღნიშნული სამედიცინო სერვისის მიღების ბარიერი, ვინც სტიგმისა და დისკრიმინაციის შიშის გამო არ მიმართავს სამედიცინო დაწესებულებებს. აქვე უნდა აღინიშნოს ინოვაციური დიაგნოსტიკის ფონდ FIND-ის მიერ მოწოდებული GeneXpert აპარატურის კრიტიკული მნიშვნელობა ამავე ცენტრების ბაზაზე ერთი ფანჯრის პრინციპით ნიმ-ებისთვის სულ რაღაც 1 საათში კონფირმაციული ტესტის პასუხის მიწოდების შესაძლებლობის შესაქმნელად და აქტიური ინფექციის მქონე ნიმ-ების მკურნალობის პროგრამაში ჩართვისთვის. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო მსგავსი ინტეგრირებული ცენტრების რაოდენობის 8-მდე გაზრდა, თუმცა, კოვიდ19 ეპიდემიის ფონზე გართულდა დასახული გეგმების რეალიზება. როგორც გასულ

წელს მ. ბუწაშვილის და სხვათა ავტორობით გამოქვეყნებული კვლევიდან ჩანს, ნიმ-ები იგივე ხარისხის და მოცულობის მომსახურებას ღებულობენ ზიანის შემცირების პროგრამის ცენტრებთან ინტეგრირებულ კლინიკებში, როგორც სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებებში. ამასთან, როგორც აღმოჩნდა, ინტეგრირებულ კლინიკებში გამოკითხული ნიმ-ების 42.9%-მა მკურნალობა დაიწყო კლინიკაში მიმართვიდან ორ კვირაში, მაშინ როცა სპეციალიზებულ კლინიკებში დროის ამავე ინტერვალში მედიკამენტის პირველი დოზა გაიკა მხოლოდ ნიმ-ების 4.6%-ზე, რაც ცალსახად ინტეგრირებული მოდელის სასარგებლოდ მეტყველებს⁸⁸.

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის ბაზაზე განხორციელებული ე.წ. თანასწორის მიერ კვლევაში ჩართვის (peer driven intervention - PDI) ბოლო ინტერვენციამ, რომელიც 2019 წელს განხორციელდა, აჩვენა, რომ იმ ნიმ-ების 70.2%, ვინც არ სარგებლობს ზიანის შემცირების სერვისებით, არასდროს გამოკვლეულა აივ ინფექციაზე⁸⁹. დიდი ალბათობით, ნიმ-ების პოპულაციის საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამებისთვის დაფარული ეს ნაწილი არც C ჰეპატიტზე იქნება გამოკვლეული, რის მიზეზად ისევ მკაცრი ნარკოპოლიტიკა მოიაზრება. აივ ინფექცია/შიდსზე თვითტესტირების მეთოდის დანერგვამ ბევრ ქვეყანაში შესაძლებელი გახადა ნიმ-ის და მაღალი რისკის სხვა პოპულაციების დაფარული ნაწილის ტესტირებაც, მათ შორის ბინაზე ან ნარკოტიკების ჯგუფური მოხმარების სხვა ადგილზე^{90 91}. მსგავსი თვითტესტირების მიმდებლობა და შესაძლებლობა ჩვენი მონაწილეობით შესწავლილი იქნა ნიმ-ებსა და მსმ პოპულაციებში უკვე C ჰეპატიტის ანტისხეულებზე სკრინინგისთვის

⁸⁸ Butsashvili M, Kamkamidze G, Kajaia M, Gvinjilia L, Kuchuloria T, Khonelidze I, Gogia M, Dolmazashvili E, Kerashvili V, Zakalashvili M, Shadaker S, Nasrullah M, Sonjelle S, Japaridze M, Averhoff F. Integration of hepatitis C treatment at harm reduction centers in Georgia-Findings from a patient satisfaction survey. *Int J Drug Policy*. 2020 Oct;84:102893. doi: 10.1016/j.drugpo.2020.102893. Epub 2020 Jul 31. PMID: 32739613; PMCID: PMC7738314.

⁸⁹ Gogia, M., Lawlor, C., Shengelia, N. Stvilia K. *et al.* Hidden populations: discovering the differences between the known and the unknown drug using populations in the Republic of Georgia. *Harm Reduct J* **16**, 15 (2019). <https://doi.org/10.1186/s12954-019-0287-5>

⁹⁰ Mavedzenge SN, Baggaley R, Corbett EL. A review of self-testing for HIV: research and policy priorities in a new era of HIV prevention. *Clin Infect Dis*. 2013;57(1):126–138. doi: 10.1093/cid/cit156

⁹¹ Wong V, Johnson C, Cowan E, Rosenthal M, Peeling R, Miralles M, et al. HIV self-testing in resource-limited settings: regulatory and policy considerations. *AIDS Behav*. 2014;18(4):415–421.

HCV ანტისხეულების ნერწყვის სწრაფი მარტივი თვით-ტესტების გამოყენებით. კვლევამ, რომელიც FIND-ის დაფინანსებით განხორციელდა, ნიმ-ებსა და მსმ-ებში აჩვენა რომ C ჰეპატიტზე თვითტესტირების მიმდებლობა მაღალი იყო ორივე პოპულაციაში. თვითტესტის სწორად დამოუკიდებლად ჩატარება შემლო მსმ-ებისა და ნიმ-ების 70%-ზე მეტმა (მსმ-ების 84%-მდე და ნიმ-ების 71%-მა). ასევე ძალიან მაღალი აღმოჩნდა ტესტირების ამ მეთოდის მიმდებლობაც ორივე ჯგუფში (>95%). თუმცა, ტესტირების ზუსტად ჩატარების პროცენტი უფრო მაღალი იყო მსმ-ებში. შესაბამისად, ნიმ-ებში რეკომენდებულია ე.წ. ასისტირებული თვითტესტირების დანერგვა, და/ან პროცესის ნაბეჭდ ინსტრუქციასთან ერთად ვიდეო ინსტრუქციითაც მხარდაჭერა⁹².

ფარულ პოპულაციებში ჩატარებულმა თვითტესტირების კვლევამ აჩვენა, რომ მსგავსი სტრატეგია ასევე შეიძლება იყოს წარმატებით დანერგილი პოპულაციის იმ სემენტის გამოსაკვლევად, ვინც ნეკლებად ან საერთოდ არ მიმართავს სამედიცინო დაწესებულებებს და რჩება C ჰეპატიტზე სკრინინგული კვლევის მომსახურების მიღმა. როგორც პოპულაციის სკრინინგული კვლევით მოცვის ანალიზმა აჩვენა, ელიმინაციის პროგრამის სამიზნე ასაკობრივ ჯგუფში, და უფრო მეტად მამაკაცებში, ჯერ კიდევ დარჩენილია მნიშვნელოვანი რაოდენობა იმ პირებისა. ვისაც არ ჩატარებია სკრინინგული ტესტირება C ჰეპატიტის ანტისხეულებზე. კერძოდ, 2014 წლის მოსახლეობის აღწერისა და სკრინინგის რეესტრში 2021 წლის მაისის ბოლოსთვის არსებული მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ 250,000-ზე მეტი 30-59 წწ. ასაკობრივი ჯგუფის მამაკაცი და 270,000-ზე მეტი იგივე ასაკობრივი ჯგუფის ქალი ჯერ კიდევ არ არის სკრინინგული კვლევით მოცული საქართველოში. თვითტესტირების გამოყენებით, რომლის რეკომენდაციაც ჯანმომ სულ ახლახანს (2021 წლის 15 ივლისი) გამოაქვეყნა⁹³, შესაძლებელია თვითტესტირება აღნიშნული ასაკობრივი და სქესობრივი ჯგუფების დარჩენილი ნაწილის C ჰეპატიტის ვირუსის ანტისხეულებზე

⁹² Recommendations and guidance on hepatitis C virus self-testing , WHO, July 2021, Web Annex E. **Hepatitis C virus self-testing: multi-country evidence on usability and acceptability** Elena Ivanova Reipold, Thi Thuy Van Nguyen, Gamal Shiha, Ketevan Stvilia, Aliza Monroe-Wise, Cheng Wang, Muhammad S. Jamil, Cheryl C. Johnson, Philippa Easterbrook

